

# გოგუას ვიტესში?

ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველთან

გვ. 4




გვ. 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 სექტემბერი **პარასკევი** 2010

№213(13201) ფასი 60 თეთრი




გვ. 3

## კალაძეს ჯენოაშიც ლიგა უნდა

# რი ატამი, რა ტატამი



# საქმე ძალიან ქართულადაა

გვ. 11

## ლადო ვარძელაშვილი

# გადაწყვეტილება უმკაცრესი იქნება!

ტოკიოში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ, რის გამოც ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** ტურნირიდან მოიხსნა, ოფიციალური კომენტარი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** გააკეთა.

ლადო ვარძელაშვილი ტოკიოში 10 სექტემბერს ჩაფრინდება. მინისტრის თქმით, მომხდარში დამნაშავეს პასუხი მოეთხოვება: *„ახლა იაპონიაში მივემგზავრები მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრებად. ტელეფონით უკვე ვესაუბრე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილსა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებს. ჩვენი ინფორმაციით, როგორც გადმოგვცეს, დაშვებული იქნა შეცდომა მწვრთნელებისა და ფედერაციის მხრიდან, მათ დროულად ვერ გააფრთხილეს სპორტსმენი და გამორჩათ, რომ ტატამზე გასვლის დრო ახლოვდებოდა. ცირეკიძე ამ დროს სავარჯიშო დარბაზში ემზადებოდა, ტატამზე კი ქართველი სპორტსმენის გვარი სამჯერ გამოაცხადეს და მას დაგვიანებას არავინ აპატიებდა... რაც არ უნდა იყოს, ჩვენი დელეგაციის თბილისში დაბრუნების შემდეგ ყველაფერს დეტალურად გავარკვევთ და დამნაშავეებს პასუხს მოვთხოვთ. ასეთი ფაქტები უნდა დამთავრდეს. სახელმწიფო სპორტის დასახმარებლად ყველაფერს აკეთებს, მით უმეტეს, ოლიმპიური სახეობებისთვის. დღესდღეობით, ძიუდოს ფედერაციის დაფინანსება ყველაზე უფრო მაღალია, რაც კი აქამდე ყოფილა. ასე რომ, ბუნებრივია, ფედერაციის მიმართ მოთხოვნაც შესაბამისი იქნება“*, - განაცხადა მინისტრმა.

**სამინისტროს პრესსამსახური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატი. V ტურის წინათქმა

# შემოდგომის მარათონი

სანაკრებო თამაშებმა ჩაიარა და ორკვირიანი პაუზის მერე დღეს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. თუმცა უმაღლესი ლიგის გუნდებს, აგვისტოსგან განსხვავებით, მეტად დატვირთული თვე ელოდებათ. შეგახსენებთ, რომ წინა თვეში გუნდებმა სამ-სამი მატჩი ჩაატარეს. ახლა კი... „გამძლეობაზე ტესტის“ ჩაბარება მოუწევთ.

თავად განსაჯეთ: მომდევნო სანაკრებო პაუზამდე გუნდებმა 22 დღის განმავლობაში ექვს-ექვსი შეხვედრა უნდა გამართონ; ანუ, ფაქტობრივად, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ტურია და ჩემპიონატის ეს ურთულესი მონაკვეთი სატურნირო ცხრილში სერიოზულ კორექტივებს რომ შეიტანს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. სწორედ ამ პერიოდში (10 სექტემბერი-3 ოქტომბერი) „გამოჩნდება“ კიდეც თითოეული გუნდის მიერ გავლილი მოსამზადებელი პერიოდის „ეფექტიანობის ხარისხი“, აღარაფერს ვამბობთ იმ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორზე, ასევე თითოეულ გუნდს გრძელი სათადარიგოთა სკამი რომ უნდა ჰქონდეს - აბა, 22 დღეში 6 მატჩის ერთი და იმავე შემადგენლობით ჩატარება ხომ, უბრალოდ, წარმოუდგენელია. მოკლედ, მართლაც საინტერესო, „შემოდგომის მარათონის“ რთული ეტაპი გველოდება, ინგლისური პრემიერლიგის „ბოქსინგ დეის“ ანალოგს რომ წარმოადგენს; ოღონდ, დროის მოკლე პერიოდში მატჩების ხშირ-ხშირად ჩატარებას ვგულისხმობთ, თორემ სხვა მხრივ როგორ უნდა შევედაროთ...

V ტურში, სულ მცირე, სამი ისეთი მატჩია, მართლაც განსაკუთრებულ ინტერესს რომ იწვევს; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოთხწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში კვლავაც ვიხილავთ ფოთის „კოლხეთისა“ და თბილისის „დინამოს“ დაპირისპირებას! არანაკლებ დამაინტრიგებელი შეხვედრა უნდა ჩატარდეს ზუგდიდშიც: ახალი სეზონის დაწყების წინ საგრძნობლად გაძლიერებული და ამბიციამოძალებული „ბაია“ ჩემპიონატის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტს „ზესტაფონს“ მასპინძლობს.

თუმცა ჩვენ მიერ ნახსენები ორივე ეს მატჩი, პლუს კიდევ ორი დაპირისპირება („სიონი“-“ვიტ ჯორჯია“ და „ოლიმპი“-“სპარტაკი“) შაბათს გაიმართება; დღეს კი ტურის ერთადერთი და ამასთან მეტად საინტერესო პაექრობა გველოდება: „იმერულ დერბიში“ ერთმანეთს „სამტრედია“ და „ტორპედო“ დაუპირისპირდებიან!

## იმერული დერბის დაბრუნება

სამტრედია-ტორპედო

10.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე

**16:00**

არბიტრი: ლ. სილაგავა
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია
მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

როცა ჩემპიონატში მხოლოდ სამი ტურია ჩატარებული, გუნდების ლიდერებად თუ აუტსაიდერებად დაყოფა, ცოტა არ იყოს, უადგილოდაც გვეჩვენება; თუმცა, საპირისპირო შემთხვევაში სატურნირო ცხრილის არსებობის ლეგიტიმურობის საკითხი დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, „სამტრედიას“ და „ტორპედოს“ საქმე საამაყოდ ნამდვილად არა აქვთ - ჩემპიონატში მხოლოდ ეს ორი გუნდია, მოგებათა გრაფაში ნული რომ უწერიათ! კი ბატონო, სეზონის დასაწყისია, ორივე გუნდში ახალი მწვრთნელები (შესაბამისად, **გელა სანაია** და **რამაზ მუმლაძე**) მუშაობენ, ასევე ორივე გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობაც ახალწვეულია და ასეთ დროს კი, მოგეხსენებათ, ერთმანეთში შეთამაშების პრობლემაც მეტისმეტად აქტუალური ხდება.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ნაკლებად აღელვებს „სამტრედიასა“ და „ტორპედოს“ ერთგულ ქომაგებს - მათი საყვარელი გუნდები ცხრილის ბოლოში მოექცნენ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერჯერობით თამაში არ მოუგიათ...

ამ სეზონში „სამტრედიას“ პროგრამა-მაქსიმუმიცა და მინიმუმიც, მხოლოდ და მხოლოდ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა იყოს. სამწუხაროდ, ახალგაზრდა მწვრთნელის გელა სანაიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ჯერჯერობით მხოლოდ 1 ქულის აღება მოახერხა (თანაც, არცთუ ძლიერ მეტოქესთან); დღესაც არანაკლებ რთული მატჩი ელოდება, მით უფრო, რომ მეტოქე გარკვეულ ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდის - „ტორპედოს“ აუტსაიდერობას ნამდვილად არავინ მოელოდა.

გასაგებია, რომ ქუთათურთა საყვარელ გუნდს სეზონის სტარტზე ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავდა, 2-3 ფეხბურთელის გარდა, დანარჩენი ყველა ფეხბურთელი ახალწვეულია, მაგრამ „ტორპედოს“ ქომაგებისთვის ეს ობიექტური მიზეზები... მეორეხარისხოვანია! ანუ, უმაღლეს ლიგაში სერიოზული მიზნებითა და დიდი ამბიციებით დაბრუნებული გუნდისგან პირველსავე სეზონში... მაქსიმუმ - ჩემპიონობისათვის, მინიმუმ კი - ევროტურნირის საგზურისათვის ბრძოლას ითხოვენ. ქუთაისში არც ის მოსწონთ, „ტორპედომ“ იმ სამ ტურში მხოლოდ 1 გოლის გატანა რომ მოახერხა...

თუმცა გუნდის პრობლემები, გულშემატკივრებზე უკეთ მთავარ მწვრთნელს ეცოდინება და სწორედ ამას ემსახურებოდა კიდეც რამაზ მუმლაძის ბოლო სატრანსფერო გადაწყვეტილებაც: საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრფორვარდი **ვახტანგ კვარაცხელია** ამიერიდან „ტორპედოს“ ღირსებას დაიცავს. თანაც, უცნაური დამთხვევაც არის: „ვიტ ჯორჯიას“ მაისურით მოასპარეზე ვახტანგ კვარაცხელიამ უკანასკნელ ტურში „დუბლი“ შეასრულა და მეტოქე... „სამტრედია“ იყო. ანუ, ისეთი სიტუაციაა, როცა ახალგაზრდა ფორვარდი ორი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში ერთი და იმავე გუნდს ზედიზედ ორჯერ უნდა შეხვდეს...

„სამტრედია“ და ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში უკანასკნელად ერთმანეთს 9 წლის წინათ დაუპირისპირდნენ; სამწუხაროდ, 2000-01 წლების სეზონის შემდეგ „სამტრედია“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მერე მეზობლის ბედი ტიტულოვანმა „ტორპედომ“ გაიზიარა და აი, როგორც იქნა, „იმერული დერბიც“ აღსდგა.

საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში „სამტრედიამ“ და „ტორპედომ“ ერთმანეთში 25 მატჩი ჩაატარეს და უპირატესობას ქუთაისელები ფლობენ: 13 მოგება, 5 ფრე და 7 წაგება (ბურთების სხვაობა 54-24). ოღონდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ტორპედომ“ ამ უპირატესობას ბოლო სეზონებში მიაღწია: 1996 წლის მერე ამ ორ გუნდს შორის ჩატარებული 9 მატჩიდან 8 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა. მანამდე კი „სამტრედია“-“ტორპედოს“ დაპირისპირებები უდიდეს ინტერესს იწვევდა და ამ შეხვედრებშიც ფავორიტი და აუტსაიდერი, ფაქტობრივად, არც არსებობდა.

**გია ტუხაშვილი**



რამაზ მუმლაძე

სამტრედია



# გელა სანაია: ჩვენთან იოლად ვერავინ გაისეირნებს

XX ეროვნული ჩემპიონატი „სამტრედიასთვის“ არცთუ წარმატებულად დაიწყო. იმერულმა კლუბმა სასტარტო ტურში სტუმრად „სპარტაკთან“ ფრეს მიაღწია, ამას კი ორი მარცხი მოჰყვა - შინ „სიონთან“ და სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან“. სამტრედიელთათვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ბოლო წაგებაა - გუნდმა ხომ ორბურთიანი უპირატესობა გააწიავა.

„სამტრედიას“ მთავარი მწვრთნელი გელა სანაია იმედოვნებს, რომ მისი ფეხბურთელები თამაშის ხარისხს სულ მალე გამოასწორებენ და გუნდის შედეგებიც გაუმჯობესდება.

- ყველაზე კარგად მე ვიცი, რომ საწყის სამ ტურში მოპოვებული ერთი ქულა არასახარბიელო შედეგია, მაგრამ მაინც მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ ძალიან მალე გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ვითამაშებთ. საგანგაშო არაფერია, ოპტიმალურ ფორმაში მალე შევალთ და „სამტრედიას“ რეალური ძალაც მაშინ გამოჩნდება.

**- სეზონის წარუმატებლად დაწყება მოსამზადებელი ეტაპისას გაჩენილმა პრობლემებმა ხომ არ განაპირობა?**

- ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული პრობლემები გვქონდა. ჩვენი შესაძლებლობების კლუბი სეზონისთვის იდეალურ გარემოში ვერ მოემზადება, მაგრამ უქმადაც არ ვყოფილვართ და ზაფხულში ბევრი ვიშრომეთ. რა დასამალია და „სამტრედია“, სხვა არაერთი ქართული კლუბის მსგავსად, ფინანსურად დალხენილი არაა, მაგრამ ელემენტარული სავარჯიშო პირობები ნამდვილად გვაქვს.

**- ამბობდნენ, რომ „სამტრედიაში“ მალე კერძო ინვესტორი მოვიდოდა.**

- ამის იმედი არ დაგვიკარგავს და კვლავაც სპონსორს ველი. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, კლუბის განვითარება მიზანმიმართულად გაგრძელდება და ჩვენს პოტენციალს სრულად გამოვავლენთ.

**- გუნდის დაკომპლექტება უკვე დასრულებულია?**

- ჩვენს შემადგენლობას გაძლიერება არ აწყენდა და, თუ სპონსორი გამოგვიჩნდა, ახალ ფეხბურთელებს აუცილებლად დავიმატებთ. როგორც იცით, „სამტრედიას“ ბოლო ახალწვეულები ჯერჯერობით, ლაშა ქებაძე და მიხეილ კაკალაძე არიან. ორივე გამოცდილი და კვალიფიციური ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, დიდ სამსახურს გაგვიწევენ.

**- მიმდინარე სეზონში „სამტრედიას“ მიზანი, ალბათ, მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება...**

- შევეცდებით, ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ. დარწმუნებული ვარ, მიმდინარე ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იქნება. რამდენიმე ლიდერს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თითქმის ყველა გუნდი დაახლოებით თანაბარი დონისაა და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად დიდი ბრძოლა გაიმართება. ვფიქრობ, „სამტრედია“ ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად დარჩება და ჩვენთან იოლი გასეირნების იმედი არავის უნდა ჰქონდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი. პრეზენტაცია

## კახა კალაძე

# ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაა

### საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯენოაში 13 ნომრით ითამაშებს

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე 57 წუთით (!) ადრე საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** მისამართი შეიცვალა - „ჯენოასთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. გუშინ ლიგურიული კლუბის მესვეურებმა ქართველი ახალწვეული მასმედიისა და გულშემატკივართა წინაშე წარადგინეს. შესაბამისად, კალაძემ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა და იტალიურ ვებგვერდებზე ამ თემაზე გამოქვეყნებული მასალები ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

„მილანის" ყოფილი ნახევარმცველი კახა კალაძე „მილანში" უთამაშებლობას ვერ შეეგუა და „ჯენოაში" გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. გასულ სეზონში უთამაშებლობის პერიოდში ქართველმა მცველმა არაერთხელ გამოთქვა პროტესტი, რომელიც „როსონერის" ბოსებმა ყურად არ იღეს. კალაძემაც „ჯენოას" მიაშურა და ამ გუნდიდან სურს დაამტკიცოს, რომ კვლავაც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. „მილანის" მესვეურები შეცდნენ, როცა მას არ ათამაშებდნენ. შეძლებს თუ არა ამის დამტკიცებას ქართველი მცველი, ამას დრო გვაჩვენებს", - წერს ვებგვერდი cittadigenova.com-ი.

ახლა კი იმაზე, თუ რა თქვა კალაძემ პრეზენტაციაზე: „დიახ, „იუვენტუსში" ჩემს გადასვლაზე იყო საუბარი, მაგრამ აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. ახალი გუნდის ძიებისას არჩევანი „ჯენოაზე" შევაჩერე და მჯერა, არ შევმცდარვარ. ამ ნაბიჯის გადადგმაში რამდენიმე ფაქტორი იყო გადამწყვეტი. „ჯენოა" ძველი კლუბია და სკუდეტო არაერთხელ აქვს მოპოვებული. კლუბის პრეზიდენტ ენრიკო პრეციოზისა და მთავარ მწვრთნელ ჯან პიერო გასპერინის მხრიდან დიდი ნდობა და ენთუზიაზმი ვიგრძენი. გარდა ამისა, გუნდის შემადგენლობაც არ ყოფილა ჩემთვის მეორეხარისხოვანი. ეს გუნდი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისას მნიშვნელოვნად გაძლიერდა. თუნდაც ლუკა ტონის დამატება რად ღირს", - აღნიშნა კალაძემ.

ჩვენებურმა „ჯენოას" თავკაცი **ჯან პიერო გასპერინი** ლეგენდარულ უკრაინელ მწვრთნელ **ვალერი ლობანოვსკის** შეადარა.

„კარიერის განმავლობაში არაერთ მწვრთნელთან მიმუშავია. კარგი სპეციალისტებისგან ბევრი ვისწავლე. განსაკუთრებით ვალერი ლობანოვსკის გამოვარჩევდი, რომელმაც ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და ჯერ საბჭოური, მერე კი უკრაინული ფეხბურთის პროგრესში დიდი წვლილი შეიტანა. ფეხბურთი გუნდური თამაშია და ლობანოვსკი ამას ქადაგებდა. ჯან პიერო გასპერინის კრედოც ეს არის. ის ლობანოვსკივით გამოცდილი სპეციალისტია და აქამდეც დიდ პატივს ვცემდი".

საინტერესოა, თუ რომელ პოზიციაზე ითამაშებს კალაძე „ჯენოაში", დაცვის ცენტრში თუ მარცხენა ფრთაზე? ამ კითხვით იტალიელი ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ და კახას მიმართეს.

„მცველი ვარ და ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ცენტრალურ მცველად ვითამაშებ თუ მარცხენა ფრთაზე. ამ ფუნქციებიდან ჩემთვის არც ერთია უცხო და არც მეორე. გუნდის თავკაცი თავად გადაწყვეტს სად გამამწესოს. საჭიროების შემთხვევაში, ორივე პოზიციაზე შემიძლია თამაში", - განმარტა კალაძემ.

ჩვენებურს ფიზიკურ კონდიციებზეც ჰკითხეს: „ბოლოს მუხლის ტრავმა მაწუხებდა, მაგრამ ეს რამდენიმე თვის წინ იყო და ახლა ჩინებულად ვგრძნობ თავს. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარ და ახლახან, 4 დღის შუალედით, ეროვნული გუნდის რიგებში ორივე მატჩში სრულად ვითამაშე. კარგ კონდიციაში ვარ, მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნება და უკეთ წარმოვჩნდები".

რა მიზნისთვის იბრძოლებს „ჯენოა"? ამ კითხვით კალაძესაც მიმართეს: „ჩინებული შემადგენლობა გვყავს, კარგი მწვრთნელი და პრეზიდენტი, რომლებიც წარმატებული შედეგისთვის ყველაფერს გააკეთებენ. ვფიქრობ, ჩვენს გუნდში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ მეოთხე ადგილისა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ვიბრძოლოთ. ეს სულაც არ არის გადაჭარბებული ამბიცია. ლიგის საგზურის მოპოვება ჩვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება".



კახა კალაძე პრეზენტაციისას

„როსონერისთან" გამოთხოვებამდე კალაძემ „მილანის" ბოსები პრესაში გააკრიტიკა და პრეზენტაციაზე ამ კითხვამაც თავი იჩინა.

„მილანის" მესვეურებთან კამათის გაგრძელებას არ ვაპირებ. „როსონერიში" ცხრა-ნახევარი წელი გავატარე და ამ გუნდის გულშემატკივრის ტაში და აპლოდისმენტები ბევრჯერ დავიმსახურე. მათი მადლიერი ვარ. თუმცა ახლა „ჯენოაში" ვარ და ამ გუნდის წარმატებისთვის ვიბრძოლებ".

„ჯენოაში" კალაძე 13 ნომრით ითამაშებს. სხვათა შორის, სწორედ ამ ნომრით დაიწყო ჩვენებურის კარიერა „მილანში", მერე კი კახამ 4-ნომრიანი მაისურა მოირგო.

„დიახ, „ჯენოაში" 13 ნომრით ვითამაშებ. ამ ნომრით დავიწყე თამაში „მილანში" და ყველაფერი კარგად აეწყო, პირველად სკუდეტო ამ ნომრით მოვიგე და მინდა, „ჯენოაშიც" წარმატებული სტარტი მქონდეს", - განმარტა კახა კალაძემ.

დაბოლოს, „ჯენოა", რომელმაც სტარტზე „კატანია" სტუმრად 1:0 დაამარცხა და მე-6 ადგილზეა, მომდევნო ტურში „კიევოს" უმასპინძლებს. ეს შეხვედრა კვირას, 12 სექტემბერს გაიმართება და, შესაძლოა, „ჯენოაში" კალაძის ოფიციალური დებიუტი სწორედ ამ შეხვედრაში შედგეს.

**დავით ცაბაძე**

კლუბები და ფინანსები

# ვინ რა შემოსავალი მიიღო ევროთასებიდან

### ქართველებისთვის ტელეკონტრაქტები არ არსებობს?!

**მიშელ პლატინი** უეფაში რევოლუციონერის იმიჯით მივიდა და ამ სახელს ამართლებს კიდეც. კონტინენტური ფეხბურთი, რომელიც დასავლეთ ევროპის საკუთრებად იყო ქცეული, უეფას პრეზიდენტმა აღმოსავლეთ ევროპისა და ღარიბი ქვეყნებისთვისაც სარფიანი და ხელმისაწვდომი გახადა. ორგანიზაცია „სოლიდარობის ფონდიდან" ღარიბებისთვის მეტი თანხის გადახდა დაიწყეს, მათთვის გამოიყო მეტი ადგილი ალმასკომსა და სხვადასხვა კომიტეტში. შედეგად, ევროტურნირებიდან, ქართული კლუბების ბიუჯეტებიც უფრო გამდიდრდა.

საინტერესოა, ევროპულ ტურნირებში წლევანდელი მონაწილეობით ქართულმა კლუბებმა რა თანხა მიიღეს? სახსრები ხშირად იცვლება და თუკი ადრე უეფა კლუბებს მხოლოდ ტრანსპორტირებისთვის საჭირო ოდენობით უხდიდა, ახლა ეს დახმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1996 წელს თბილისის „დინამო" უეფას თასის მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვდა და იმ დროისთვის ფანტასტიკური თანხა - 470 ათასი შვეიცარიული ფრანკი მიიღო - ეს დღევანდელი კურსით დაახლოებით 310 ათასი დოლარია. თუმცა მაშინდელი ფანტასტიკა დღეს სასაცილო თანხაა, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე წაგებული გუნდები უფრო მეტს იღებენ. ამაზე ჩვენ მიერ წარმოდგენილი ცხრილი და ფაქტები მეტყველებენ:

ამ ციფრების მოპოვება რთული აღმოჩნდა. ინფორმაცია გასაიდუმლოებული არ არის, მაგრამ უეფა, რომელიც კლუბების ბიუჯეტების გამჭვირვალეობას თხოვს, თავად საფინანსო შინაარსის ინფორმაციას ერთად თავს არ უყრის და საჯაროს არ ხდის.

პლატინიმ უეფას „სოლიდარობის ფონდიდან" ნაადრევად გავარდნილი გუნდებისთვის დახმარების მოცულობა გაზარდა და ახლა ჩემპიონთა ლიგის თითოეულ საკვალიფიკაციო ეტაპში მონაწილეობისთვის კლუბი 130 ათას ევროს იღებს, ევროპის ლიგის ეტაპზე კი 90 ათას ევროს. საერთოდ, ჩემპიონთა და ევროპის ლიგის საპრიზო ფონდებს შორის დიდი განსხვავებაა.

უცნაურია, მაგრამ მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი ფეხბურთს არ შეხებია: გასულ სეზონში ლიგაში გასვლისთვის 3 მილიონ ევროს იძლეოდნენ, ახლა - 3.8-ს, ჯგუფში თითოეული მატჩისთვის, 400 ათასის ნაცვლად, 550 ათასს. მოგებისთვის კი შემოსავალი მთელი 200 ათასით გაიზარდა (800 ათასი, ნაცვლად 600 ათასისა) და ა.შ.

საშუალო ევროპული შეძლების გუნდი, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლით ერთი წლის ბიუჯეტს მიიღებს, ანუ 7.1 მილიონ ევროს - 3.8 მილიონს ჯგუფში გასვლისთვის, ხოლო 3.3 მილიონს ჯგუფის ექვსივე მატჩში მონაწილეობისთვის, ერთი მოგება კი დამატებით 800 ათასია. მოკლედ, ევროპულ ფეხბურთში დიდი თანხები ტრიალებს.

| | ჩლ* | ელ |
|---|---|---|
| საპრიზო ფონდი | 1.09 მლრდ. | ? |
| საკვალიფიკაციო ეტაპის რაუნდი | 130.000 | 90.000 |
| ჯგუფურ ეტაპზე გასვლა | 3.8 მლნ | 600.000 |
| ჯგუფური ეტაპის მატჩი | 550.000 | 50.000 |
| ჯგუფურ ეტაპზე მონაწილეობისთვის | 3.3 მლნ, 6 მატჩი | 300.000, 6 მატჩი |
| ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვებისთვის | 800.000 | 120.000 |
| ჯგუფურ ეტაპზე ფრისთვის | 400.000 | 60.000 |
| ჯგუფურ ეტაპიდან გასვლისთვის | 3 მლნ. | |
| 1/16 ფინალში გასვლისთვის | - | 180.000 |
| 1/8 ფინალში გასვლისთვის | - | 270.000 |
| 1/4 ფინალში გასვლისთვის | 3.3 მლნ | 360.000 |
| 1/2 ფინალში გასვლისთვის | 4 მლნ | 630.000 |
| ფინალში გასვლისთვის | 5.2 მლნ | 2 მლნ. |
| გამარჯვებისთვის | 9 მლნ | 3 მლნ |

* - შენიშვნა: ჩლ - ჩემპიონთა ლიგა; ელ - ევროპის ლიგა. თანხები მოცემულია ევროში

თუმცა ჩვენთვის ეს მაღალი მატერიაა და მოდით, უფრო „მშობლიურ" თემებს შევეხოთ: წლევანდელი ევროთასებიდან რომელმა ქართულმა კლუბმა რა თანხა მიიღო და ვინ უფრო გამდიდრდა.

#### ოლიმპი

ლიგის თითოეულ საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისთვის აღებული თანხის გარდა (130 ათასი ევრო), უეფა ჩემპიონს დამატებით 200 ათას ევროს ტიტულის მოპოვებისთვის ურიცხავს. ანუ ლიგის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე აქტიუბინსკის „აქტობესთან" გამოვარდნილი რუსთავის „ოლიმპის" (0:2, 1:1) ბიუჯეტი 330 ათასი ევროთი შეივსება (თანხა ტურნირის შემდეგ დაირიცხება). რუსთაველებმა, რომელთა წლიური ბიუჯეტი 1.2 მილიონ დოლარს არ აღემატება, თანხის მესამედი გამოიმუშავეს.

#### დინამო

ტალინის „ფლორას" (2:1, 1:1) და შვედური „გეფლეს" (2:1, 2:1) ძლევის შემდეგ, თბილისის „დინამო" გრაცის „შტურმთან" (0:2, 1:1) დამარცხდა. სამ ეტაპზე მონაწილეობისთვის, თბილისელები 270 ათას ევროს მიიღებენ. მართალია, კლუბმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 3 მატჩი მოიგო და 2 ფრედ დაასრულა, მაგრამ ამისთვის პრემიალურ თანხას ვერ მიიღებს - ჩემპიონთა და ევროპის ლიგის კვალიფიკაციაში მოგებასა და ფრეზე უეფა პრემიებს არ გასცემს.

#### ზესტაფონი

„ზესტაფონმა" დაამარცხა სან მარინოს „ფაეტანო" (5:0, 0:0), სლოვაკეთის „დუკლა" (3:0, 0:1) და ლვოვის „კარპატთან" წააგო (0:1, 0:1). მესამე ეტაპზე გაღწევისთვის იმერული კლუბის ბიუჯეტი 270 ათასი ევროთი გამდიდრდება.

#### ვიტ ჯორჯია

„ვიტ ჯორჯია" ყველაზე ცოტას დასჯერდა: საქართველოს თასის მფლობელმა ტიტულების სია კი გაიმდიდრა, მაგრამ ფინანსურად დაზარალდა, რადგან ევროპის ლიგის გათამაშების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი გამოტოვა და ამით 90 ათასი ევრო დააკლდა. მეორე ეტაპზე ჩეხეთის „ბანიკთან" დამარცხებით (0:6, 0:0) კი ტურნირსაც გამოეთიშა. ვეტერინარები მხოლოდ 90 ათას ევროს დასჯერდნენ.

#### სატელევიზიო შემოსავლები

უეფადან ზემოთ დასახელებული შემოსავლის გარდა, კლუბები ბიუჯეტს სატელევიზიო კონტრაქტებითაც ამდიდრებენ. ევროპულ ტელესააგენტოებთან ხელშეკრულებები ჩვენს კლუბებსაც აქვთ გაფორმებული, მაგრამ ამას ფაქტობრივად, ფორმალური სახე გააჩნია, რადგან ქართული გუნდები ევროთასებს ნაადრევად ეთიშებიან და, რაც მთავარია, საწყის ეტაპზე მონაწილე გუნდების უმრავლესობასთან რეპორტაჟებს ჩალის ფასი აქვს.

ასე მოხდა წელსაც და ერთადერთი გამონაკლისი თბილისის „დინამო" გახლდათ, რომელმაც მეტ-ნაკლებად ნორმალური თანხა მიიღო.

» მე-5 გვერდზე



ლეგიონი

## უკვე აფრიკაშიც...

თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი, 28 წლის ნახევარმცველი **გიორგი ნერგაძე** პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც აფრიკული ქვეყნის ჩემპიონატში ითამაშა და პირველი ქართველი მეგოლეცაა. ნერგაძე სამხრეთ აფრიკის პრემიერ სუპერლიგის „მოროკა სვოლოუსის" წევრია. ის ჩემპიონატის მე-2 ტურში სასტარტო შემადგენლობაში იყო კეიპთაუნის „აიაქსის" წინააღმდეგ. თავის მეორე შეხვედრაში აფრიკის კონტინენტზე ნერგაძემ პირველი გოლი გაიტანა - მე-40 წუთზე მან „აიაქსის" კარი დალაშქრა. ქართველის გოლმა იოჰანესბურგელებს ვერ უშველა, სტუმრებმა 3:2 მოიგეს. „მოროკა სვოლოუსს", რომელსაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი გერმანელი სპეციალისტი **რაინერ ცობელი** წვრთნის, 2 მატჩიდან ქულაც არ აუღია.

ნერგაძე თავიდანვე აქტიურად ჩაერთო თამაშში, „აიაქსის" გოლკიპერმა ნახტომში არ დაანება ქართველს პირველივე წუთზე თავით გაეტანა, მან ბურთი კუთხურზე მოიგერია. შეხვედრის 34-ე წუთზე ჩვენებურს ბურთი ხელზე მოხვდა და სტუმართა სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, **ფანტენიმ** დუბლი შეასრულა - 0:2. ნერგაძემ 6 წუთში გამოასწორა თავისი შეცდომა, როცა კუთხურს კვლავ თავური დაუხვედრა, ამჯერად მან აჯობა მეტოქის ცნობილ გოლკიპერ **ჰანს ვონკს**. თამაშის შემდეგ ცობელმა შეაქო ქართველი დებიუტანტი და აღნიშნა მისი კარგი თამაში.

## კაკულიას პირველი გოლი

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში პირველი გოლი გაიტანა 19 წლის **დავით კაკულიამ**. ქართველი ნახევარმცველი დიდი ხანი არაა, რაც „სფინტულ გეორგეს" შემადგენლობაში ჩაირიცხა. „სფინტულ გეორგემ" სტუმრად 3:0 მოუგო „კოსტულენის", მასპინძელთა რბევას კი სათავე ქართველმა ლეგიონერმა დაუდო მე-16 წუთზე. კაკულიამ ჩემპიონატში 6 მატჩი ჩაატარა. „სფინტულ გეორგე" 4 ქულით მე-11 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ

# გოგიტა გოგუა
# ჯერ არაფერია დაკარგული, ბრძოლა გრძელდება
## რაზე ესაუბრა ჟორდანია გოგუას?

**საქართველოს ნაკრებისა და ნალჩიკის „სპარტაკის“ შემტევმა ნახევარმცველმა გოგიტა გოგუამ ეროვნულ გუნდში კვლავაც ჩვეული თავდადებით ითამაშა. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ მონდომებული იყო ჩვენი ნაკრების უკლებლივ ყველა ფეხბურთელი. ეგ არის ოღონდ, რომ მარტო მონდომება გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის. ესე იგი, თემურ ქეცბაიას გუნდს რაღაც დააკლდა გამარჯვებისთვის...**

**მაინც რა? ამის გაგება გოგიტა გოგუასგან ვცადეთ. ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით მოედნის უხარისხობასაც. თუმცა მიზეზები უფრო ღრმადაა საძებნელი, ეს კი მთავარი მწვრთნელის საქმეა და თემურ ქეცბაიას ალბათ გარკვეული დასკვნებიც ექნება გაკეთებული...**

**ჩვენ კი დავუბრუნდეთ გოგუას. მიმდინარე რუსული სეზონის ბოლოს გოგუას ნალჩიკელებთან კონტრაქტი ეწურება. ის ხელშეკრულების გაგრძელებას არ ჩქარობს. საინტერესოა, რომელი იქნება გოგუას ახალი კლუბი (თუ „სპარტაკთან“ კონტრაქტი არ გააგრძელა) - სხვა, უფრო ძლიერი რუსული გუნდი თუ გოგუასაც მერაბ ჟორდანიასთან, არნემის „ვიტესში“ ვიხილავთ...**

**ახლა კი დროა, ინტერვიუზეც გადავიდეთ...**

**- მოდი, საუბარი ისრაელთან სამშაბათის მატჩით დავიწყოთ. დღეს როგორ აფასებთ ამ თამაშს?**

- რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ საბერძნეთის ნაკრების შემდეგ ისრაელთან არანაკლებ დაძაბული მატჩი გვექნებოდა და ამისათვის სათანადოდაც ვემზადებოდით. კარგად გვესმოდა ისიც, რომ საბერძნეთთან სტუმრად მოპოვებული ქულის შემდეგ ისრაელთან თამაშზე გულშემატკივარი მრავლად მოვიდოდა. ქომაგობა არ გვაკლდა და გვინდოდა, მიმდინარე შესარჩევ ციკლში ქომაგი პირველი გამარჯვებით გაგვეხარებინა. მიმაჩნია, რომ ისრაელის ნაკრებს თამაშით ვაჯობეთ, არაერთი საგოლე მომენტიც შევქმენით... მეც შემეძლო გატანა... მაგრამ ვერ მოვიგეთ... რა ვუყოთ, ასეც ხდება ხოლმე.

**- როგორ ფიქრობთ, რა დააკლდა ჩვენს ნაკრებს მოსაგებად?**

- ვფიქრობ, ყველაზე მეტად იღბალი დაგვაკლდა, თორემ როგორ ვერ მოვიგებდით?! თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, 3 ქულა გვეკუთვნოდა და, რომ მოგვეგო, ეს აბსოლუტურად ლოგიკური იქნებოდა. ძალიან დაგვწყდა გული...

**- უმრავლესობამ ვერმოგება მოედნის საფრის მეტისმეტად ცუდი მდგომარეობით ახსნა. თქვენ რა აზრის ხართ?**

- ბალახი მართლაც ცუდ მდგომარეობაში იყო და ვეთანხმები იმ ხალხს, ვინც ასე ფიქრობს - დიახ, ცუდმა გაზონმაც შეგვიშალა ხელი. გულშემატკივარი ტრიბუნაზე ზის და ძნელია, აუხსნა მას, რომ, თუ რაღაც ვერ გამოგდის, ეს მოედნის ბრალია... სხვა რა გითხრათ... ეს ბალახის საფარი კი არა, როგორც ჩვენმა მწვრთნელმა თქვა, მართლაც ყანა იყო. შეამჩნევდით, როგორი მტვერი იდგა მოედანზე... არადა, თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერს წამის მეასედები წყვეტს, საშინალი საფარი კი სერიოზულად გვაფერხებდა... სხვათა შორის, მეტოქესაც. საერთოდ, მიზეზებზე წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ... ფაქტია - ასეთი მოედანი იმ გუნდს დაეხმარა, რომელიც თამაშის აწყობაზე კი არა, ჩაშლაზე იყო ორიენტირებული.

**- თუმცა ცუდმა გაზონმა მაინცდამაინც ვერ შეგიშალათ ხელი იმ ჯარიმის შესრულებაში, ხარიხას რომ მოხვდა. ეს რომ არა...**

- დიახ, სამწუხაროდ, ბურთი ხარიხას მოხვდა... ჩემ გარდა, სხვებსაც ჰქონდათ საგოლე მომენტები. ვფიქრობ, ერთი ბურთი მაინც რომ შეგვეგდო, ეს თამაშის ხასიათს შეცვლიდა და მერე კიდევ მოგვეცემოდა გატანის შანსი.

**- ისრაელთან მატჩში ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა მეუღლეებმა ორგანიზებულად გიქომაგათ. ეს ნოვაცია ბევრმა დადებითად შეაფასა...**

- რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმული იყო. როცა ტრიბუნიდან საყვარელი ადამიანი გიმზერს და გქომაგობს, შენც ორმაგად მონდომებული ხარ და გინდა, მოგებით გაახარო. კარგი იქნება, თუ ეს ტრადიცია დამკვიდრდება და მეუღლეები ყველა საშინაო მატჩზე გვიქომაგებენ.

**- 2 მატჩი და 2 ქულა. ნაკრების სასექტემბრო მონაგარს როგორ შეაფასებდით?**

- საბერძნეთში მოპოვებულმა ქულამ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს ისრაელთან მოგების მოლოდინი გაგვიძლიერა, მონდომებაც არ დავაკელით, მოლოდინი რეალობად გვექცია, მაგრამ... ახლა ორი მატჩის შემდეგ 2 ქულა გვაქვს და ვფიქრობ, ცუდი შედეგი მაინც არ არის. შინ ვერმოგება დასანანია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს 2 ქულა ისრაელთან დავკარგეთ და არა... ვთქვათ, მალტასთან. ასე რომ, ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, ჯერ არაფერია დაკარგული, ბრძოლა გრძელდება. ჯერ მალტას უნდა მოვუგოთ შინ, მერე კი არ მოვეშვათ და ლატვიაშიც წარმატებაზე ვიზრუნოთ. ფაქტია - ნაკრები პროგრესის გზით მიდის და ეს მომავალში უფრო ნათლად გამოჩნდება.

**- ახლა საკლუბო თემაზე გადავიდეთ. მიმდინარე სეზონში ჩინებული სტარტი გქონდათ. ცხრილის სათავეშიც იყავით, ამჟამად კი მეოთხეზე ხართ. არადა, რუსეთში ნალჩიკის „სპარტაკზე“ ფინანსურად ბევრად ძლიერი კლუბები უკან მოიტოვეთ. ეს რით ავხსნათ?**

- ნებისმიერ ჩემპიონატში კლუბის ფინანსური სიძლიერე ბევრს წყვეტს და ამ მხრივ არც რუსეთია გამონაკლისი. სასურველია, ჩვენს გუნდში სხვადასხვა პოზიციაზე, უფრო ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგრამ, როცა ფინანსური საშუალება არ არის, იძულებული ხარ იმით დაკმაყოფილდე, ვინც გყავს. უკეთესი ბიუჯეტი რომ გვქონდეს, ალბათ, ახლაც მოწინავე სამეულში ვიქნებოდით. ამის მიუხედავად, რუსეთში დღესაც ბევრი აღნიშნავს ამას - მცირე ფინანსებით კარგი შედეგის მიღწევა რომ შეიძლება, ეს ნალჩიკის „სპარტაკმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცაო. ერთ მუშტად შეკრული გუნდი გვყავს, ყველა თამაშში მაქსიმალურად ვიხარჯებით და შედეგიც ჩანს.

**- ცხადია, წარმატებაში მწვრთნელის ფაქტორიც მნიშვნელოვანია. არადა, ცოტა ხნის წინ თქვენი გუნდის თავკაც იური კრასნოჟანს არავინ იცნობდა...**

- იმიჯი შედეგით უნდა შექმნა და კრასნოჟანმა სწორედ ეს შეძლო. მას უკვე დიდი გამოცდილება აქვს და რუსულ ფეხბურთში ავტორიტეტითაც სარგებლობს. მაღალი დონის მწვრთნელი გვყავს, ქვედა ლიგებში ეძებს გამორჩეულ ფეხბურთელებს, მოჰყავს გუნდში და რუსული პრემიერლიგის დონის მოთამაშეებად ზრდის.

**- ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისას გამოგაკლდათ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე ამისულაშვილი, რომელიც თურქულ „ქაისერისფორში“ გადავიდა. კრასნოჟანს ის არ ეთმობოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა...**

- ალეკო ჩვენი გუნდის ლიდერი იყო, დაცვის საიმედოობას განაპირობებდა და ამიტომაც ვერ ელეოდა კრასნოჟანი... ახლა ალეკოს პოზიციაზე ვიქტორ ვასინი თამაშობს.

**- ამ სეზონის ბოლოს თქვენც გიმთავრდებათ კონტრაქტი. ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ აპირებთ...**

- კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზეს, მაგრამ არ ვჩქარობ. უკეთეს კლუბში მინდა თამაში, რამდენიმე ვარიანტზე არის ლაპარაკი... ვნახოთ...

**- ამბობენ, ერთ-ერთ მოსკოვურ კლუბში გააგრძელებს კარიერასო...**

- არ მინდა, წინასწარ რამე ვთქვა. რუსულის გარდა, სხვა ვარიანტიც მაქვს. სეზონი დასრულდება და გამოჩნდება...

**- ჩვენი ინფორმაციით, მერაბ ჟორდანია დაგიკავშირდათ და „ვიტესში“ გადასვლა შემოგთავაზათ. ისიც თქვეს, კონტრაქტი ზამთრის პაუზისას გაფორმდებაო...**

- არ ვიცი, ვნახოთ... რომ გითხრათ, „ვიტესის“ ვარიანტზე არაფერი მსმენია-მეთქი, არ ვიქნები მართალი. თუმცა ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- რუსეთის ჩემპიონატში თამაშისას ორივე მაჯაზე გიკეთიათ სამკლავური, რომელზეც საქართველოს დროშაა გამოსახული. რუსეთში ამაზე რა რეაქცია აქვთ?**

- ეს სამკლავურები ჩემთვის სტიმულია, ერთგვარი თილისმაა და წარმატებაშიც მეხმარება. უარყოფითი რეაქცია არ მოჰყოლია, ანდა, რატომ უნდა მოჰყოლოდა? ქართველი ვარ და ქართული სიმბოლოთი ვთამაშობ.

**დავით ცაბაძე**



გოგიტა გოგუა (№7)

● პირველი ლიგა. II ტური



**სქური-კოლხეთი (ხ) 0:0**

სქური: ა. მაქაცარია, სვირავა, ფარცვანია, ყველაშვილი, დ. კვიტატიანი, გერგედავა, რაფავა (67. დ. კუტალია), გ. ქირია, ბ. გუჯეჯიანი, ლ. გაბუნია, გ. ჭკუასელი (75. ზ. სახოკია).

*სათადარიგოები:* ხარჩილავა, დ. თოდუა, ნ. შონია, სვანიძე, პ. ქომეთიანი.

*მთავარი მწვრთნელი:* ვასო გულორდავა.

კოლხეთი (ხ): ხარძეიშვილი, გ. გოგენია (70. მ. შონია), გ. ფარფალია, ა. კვირკველია, ლ. ჩაჩიბაია, ი. კუტალია, ო. ფიფია, დ. ქირია, ვ. ფირცხალავა (80. მ. ბესარაშვილი), ღლონტი (67. ლეფსაია), მ. ჭკადუა.

*სათადარიგოები:* ზ. გელაშვილი, ბ. ბუკია, დ. სართანია, პ. გაბრავა.

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

გაფრთხილება: დ. ქირია, ლეფსაია, გ. ჭკუასელი, გ. ქირია, ფარფალია.

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ჩხერიმელა-ლოკომოტივი 1:1**

1:1 ჯ. ავალიშვილი (38), 1:1 თ. ბახტაძე (45)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, გ. მეტრეველი, ნ. ხარაბაძე, გ. ზაქარაშვილი, ლ. ქურდაძე, ვ. თაბუკაშვილი, დ. კოსტავა, ლ. მაჩალაძე, ვ. ჭაჭიაშვილი (70. კეპულაძე), თ. დანელია, ჯ. ავალიშვილი.

*სათადარიგოები:* მ. ლომსაძე, ი. ღიბრაძე, გ. ხეცურიანი, ბ. ტყეშელაშვილი, ზ. კაპანაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ჭყოიძე

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, გვაძაბია, ქვრივიშვილი, ქაჯაია, გადელია, ჩარგეიშვილი, წულაძე, დ. მიქავა (75. მაკარაშვილი), დ. ბაქრაძე (55. ხოკერაშვილი), ბ. მახარაძე (89. ი. გონაძე), თ. ბახტაძე.

*სათადარიგოები:* ნიორაძე, ძიძიგური, ჯ. მიქავა, გ. ბოჭორიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭალიაშვილი

გაფრთხილება: დ. მიქავა, ბ. მახარაძე

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**გორი-სამგურალი 2:1**

0:1 უგრეხელიძე (22-პენ), 1:1 ხანიშვილი (27-პენ), 2:1 ი. ლომიძე (59)

გორი: კეჩხუაშვილი, ტლაშაძე, შათირიშვილი, ქარქუზაშვილი, ცარელაშვილი, კ. ხანიშვილი, ნ. ნოდარის ძე ნოზაძე, ა. სირბილაძე (57. საჩალაშვილი), ი. ლომიძე, გ. ნინამძღვრიშვილი (62. ნ. ნიკოლოზის ძე ნოზაძე), რაჟამაშვილი (69. გ. მიხანაშვილი).

*სათადარიგოები:* თათანაშვილი, რუსიშვილი, ბოლოთაშვილი, პაპიტაშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ხაჭაპურიძე.

სამგურალი: დ. ხურცილავა, გ. ჩიხლაძე (62. პ. მიქაძე), ჩაკვეტაძე, ზვ. ჩიხლაძე, გ. ლიპარტელიანი, ხ. უგრეხელიძე, კუხალაშვილი (82. ბუხაიძე), გ. უგულავა, ზვ. ქუთათელაძე, ნავერიანი.

*სათადარიგოები:* ბ. ფირცხალავა, სალინაძე, ხუჯაძე, გ. ჯიმშელეიშვილი, გედენიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ე. ჯიმშელეიშვილი.

გაფრთხილება: ცარელაშვილი, ხურცილავა, ტლაშაძე, ბუხაიძე

არბიტრი: ბ. ნინუა (ქუთაისი)

**ჩიხურა-გაგრა 2:2**

1:0 დ. ქამუშაძე (25-პენ), 1:1 ორდინსკი (32), 1:2 ოვონიკოკო (71), 2:2 ა. ალავიძე (84)

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, ცარციძე, ი. გვეტაძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, დ. ქამუშაძე (46. ჭილლაძე), ა. ივანიშვილი, ბ. პეტრიშვილი (60. ა. ალავიძე), გ. ენუქიძე (70. სტეფანიშვილი), თ. მეტრეველი.

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, მ. მიქაძე, მაჭარაშვილი, ი. ტყებუჩავა.

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

გაგრა: ლ. ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, ტყეშელაშვილი, ნაკონეჩნი, ნ. ჯიშკარიანი, შარიქაძე, ზვ. ჩხეტიანი, ოვონიკოკო, ხუციძე, ორდინსკი (90. ლ. კალანდაძე), კვანტალიანი (78. ნათენაძე).

*სათადარიგოები:* ი. ხომერიკი, გიგაური, გედენიძე, მოსიაშვილი, ცხადაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ანატოლი პისკოვეცი

გაფრთხილება: ნაკონეჩნი, ხუციძე, ორდინსკი, ზაბახიძე, ზივზივაძე

გაძევება: ზვ. ჩხეტიანი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ნ/დინამოელი-მეშახტე 2:3**

1:0 რეხვიაშვილი (18), 1:1 ლ. კობახიძე (37), 2:1 ხვთისავრიშვილი (45), 2:2 ა. ნოზაძე (69), 2:3 გაბრიჭიძე (72)

ნ/დინამოელი: ცინცაბაძე, გ. ჯელაძე, გ. ოდიშარია, ზ. გელაშვილი, ზვ. კვარაცხელია, ლ. ლაბარტყავა (81. ოსეფაშვილი), თანიაშვილი (46. ახალბედაშვილი), ელიზბარაშვილი, ხვთისავრიშვილი, თ. ტაბატაძე (67. გ. მაისურაძე), რეხვიაშვილი.

*სათადარიგოები:* ნ. ჯალალონია, ზაალიშვილი, გაგნიძე, თვალავაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერი გაგუა

მეშახტე: ს. ორბელაძე, გ. პირველი, ა. ქუთათელაძე (46. თ. შეყრილაძე), ბუცხრიკიძე, ვაჩიბერაძე, ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, ლ. კობახიძე, გ. აბურჯანია (69. ცუცქირიძე), გ. ჯულელი, ლ. გაბრიჭიძე.

*სათადარიგოები:* დ. ოდიშარია, შარვაშიძე, რ. კალანდაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: აბურჯანია, გაბრიჭიძე, ბუცხრიკიძე, თ. ტაბატაძე.

გაძევება: რეხვიაშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**ჭიათურა-მარტვილი 0:2**

0:1 ლ. კუჭუხიძე (27), 0:2 ამბროლაძე (54)

ჭიათურა: ბადურაშვილი, ჭუმბურიძე, კახნიაშილი (67. რობაქიძე), ცუცქირიძე, ასანიძე, გ. ზაბახიძე (55. თემურ მიშველიძე), ჯ. ლაშხი, გაფრინდაშვილი, ვ. ჯელაძე, მეცხოვრიშვილი, ზ. ნოზაძე.

*სათადარიგოები:* ა. დარბაიძე, ჯ. კაპანაძე

მთავარი მწვრთნელი: ა. სევასტოპულო

მარტვილი: ჯ. შეროზია, გ. ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, თ. კაკუშაძე, გ. ილურიძე (77. ი. ხვადაგიანი), გ. წოწორია (72. ბერუაშვილი), იატრო, ლ. კუჭუხიძე, ამბროლაძე, ტაპე (63. გიორგობიანი).

*სათადარიგოები:* მელიავა, ი. შარანგია, ი. ფაცაცია, ა. ბილიხოძე.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: გ. ზაბახიძე, გ. ილურიძე, ჯ. ლაშხი, ნ. ნადირაშვილი

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი).

**ბათუმი-გურია 5:1**

1:0 გ. ბოხუა (65), 2:0 ე. გრიგალაშვილი (71), 2:1 ს. ურუშაძე (73), 3:1 ე. გრიგალაშვილი (83), 4:1 თ. ბერიძე (87), 5:1 თ. ბერიძე (90)

დინამო (ბთ): თ. კაკალაძე, სამსეიშვილი, ა. ბაჯელიძე (63. მ. ჟვანია), ლ. რამიშვილი, ზვ. ლობჟანიძე, კაჭკაჭიშვილი, მანწკავა, გ. ხარაბაძე (56. თ. ბერიძე), ბოხუა, ნ. ხუხია, დ. მალაზონია (50. ე. გრიგალაშვილი).

*სათადარიგოები:* ბ. დემურაძე, ბაციკაძე, გ. გოგიტიძე, დ. კეკელიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

გურია: მ. გოგუაძე, გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ქურიძე, ი. კილაძე, ა. დოლონაძე (46. მ. აბაშიძე, 70. ფირცხალაიშვილი), გ თოლორდავა, ტ. კუკულაძე, კ. ძაგანია, ი. ტულუში, ს. ურუშაძე.

*სათადარიგოები:* ხვედელიძე, გ. ჭეიშვილი, გრ. იმნაძე, ტოროტაძე.

მთავარი მწვრთნელი: გია ჩხაიძე.

გაფრთხილება: ა. ბაჯელიძე, მანწკავა, დოლონაძე, ტულუში.

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია)

**მერცხალი-ადელი 2:1**

1:0 ლ. ჩხაიძე (6), 2:0 მ. ქობულაძე (55), 2:1 გ. ზოიძე (68)

მერცხალი: ვერულაძე, ვ. რამიშვილი, თ. ჩხატარაშვილი, გ. აკობია, ს.ვ. ჩიგოგიძე, ნ. ჭკუასელი (81. ს.ვ. ჩიგოგიძე), მ. ქობულაძე, ი. ნაჭყებია, აჩუაშვილი (46. გულიტაშვილი), რ. ჭეიშვილი, ლ. ჩხაიძე (87. ნ. ხინთიბიძე).

*სათადარიგოები:* გ. პაპკოვი, ი. ბაჯელიძე, ბ. გოლიაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

ადელი: ბეკტაშევი, მ. ფუტკარაძე, ლ. მახარაძე, ვ. ხიდეშელი, ბესიკ თედორაძე (58. გ ზოიძე), ფალავანდიშვილი (46. ფ. მარტი), კ. ქაცარავა, დარჩიძე, ნ. ნასუაშვილი, ი. ცანავა, მამეიშვილი (65. აბუსელიძე).

*სათადარიგოები:* ი. დევაძე, ლ. ჯაში, ნ, გოგუაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ნასუაშვილი.

გაფრთხილება: ნ. ჭკუასელი, ი. ნაჭყებია, ვ. რამიშვილი, ვერულიძე, მამეიშვილი, ცანავა, ბ. თედორაძე, მ. ფუტკარაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გაძ. | გაშ. | |
| 1 | მეშახტე | 2 | 2 | 0 | 0 | 7 | 3 | 6 |
| 2 | მერანი | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 |
| 3 | გორი | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 2 | 6 |
| 4 | გაგრა | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 3 | 4 |
| 5 | მერცხალი. | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 4 |
| 6 | ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 4 |
| 7 | ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 5 | 2 | 3 |
| 8 | სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 3 | 3 |
| 9 | გურია | 2 | 1 | 0 | 1 | 5 | 7 | 3 |
| 10 | ლოკომოტ. | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 |
| 11 | ჩხერიმელა | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 |
| 12 | სქური | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 13 | კოლხეთი (ხ) | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 |
| 14 | ნ/დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 3 | 5 | 0 |
| 15 | იმერეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2 | 4 | 0 |
| 16 | ადელი | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 4 | 0 |
| 17 | ჭიათურა | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 6 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბები და ფინანსები

# ვინ რა შემოსავალი მიიღო ევროთასებიდან

## ქართველებისთვის ტელეკონტრაქტები არ არსებობს?!

« მე-3 გვერდიდან

„დინამო“-“შტურმის“ შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი ავსტრიის ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ გადასცა. ტელეკონტრაქტით მიღებული თანხა საკლუბო საიდუმლოა, მაგრამ საქმეში ჩახედულმა პიროვნებამ გვითხრა, რომ თბილისურ კლუბს ტელესააგენტოდან 22.000 ევრო გადაუხადეს. მცირე თანხაა, მაგრამ კარგი ისაა, რომ შემოსავლის ეს წყარო „დინამოს“ გამოადგა, ზედმეტი შემოსავალი კი არც ერთ ქართულ კლუბს არ აწყენს.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ მატჩის რეპორტაჟების შესყიდვისას, ტელესააგენტოები გუნდის სახელს და ისტორიას ითვალისწინებენ. „დინამო“ კი საქართველოში უპირველესი საკლუბო ბრენდია და აქედან გამომდინარე, სხვა ქართულ კლუბებზე უკეთეს ტელეკონტრაქტს სთავაზობენ, ჩემპიონზე უკეთესაც კი - ერთსა და იმავე ტურნირში, ერთსა და იმავე მეტოქესთან, „დინამოს“ მატჩი მეტად ფასობს, ვიდრე „ზესტაფონის“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ოლიმპის“.

ევროთასების შემდეგ „დინამოს“ ბიუჯეტი კიდევ ერთი სარფიანი გარიგებით გაიზარდა - „ვიტესში“ გადასული **გურამ კაშიას** სანაცვლოდ თბილისელებმა საკომპენსაციო თანხა მიიღეს, რაც 100 ათას ევროს აღემატება. ანუ ზაფხულში „დინამომ“ ყველაზე მეტი - 392 ათასი ევრო გამოიმუშავა, რაც დღეისათვის კლუბის ბიუჯეტის შესავსებად სოლიდური თანხაა. თუმცა, კაშიას ტრანსფერიდან მიღებულ ფულს ევროთასების შემოსავლებში არ ვითვალისწინებთ.

აქვე ვიტყვით, რომ ყველაზე სასურველი გერმანულ კლუბებთან დაპირისპირებაა, რადგან ამ მატჩებში ტელესააგენტოები ყველაზე მეტ თანხას იხდიან - გერმანიას მსოფლიო ფეხბურთის ფინანსურ გულს ტყუილად არ ეძახიან.

გერმანიის შემდეგ, დაფასებული არიან, ინგლისის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის კლუბები. მეორე კატეგორიის ქვეყნებია თურქეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, ნორვეგია, დანია და ბელგია. პრემიერლიგაში უზარმაზარი ინვესტიციის დაბანდების შემდეგად, ამ კატეგორიას რუსეთიც დაემატა. ყველა დანარჩენი ქვეყნის გუნდი „სხვების“ კატეგორიაშია, მათ შორის, საქართველოს გუნდები, რომლებთან მატჩიც, ფაქტობრივად, არაფრის მომტანია.

ასე მოუვიდა „ზესტაფონს“: „კარპატის“ ზესტაფონური მატჩის რეპორტაჟი ლვოვის ტელევიზიით გადასცეს და ბუნებრივია, ქართულ გუნდს სატელევიზიო შემოსავალი ეკუთვნოდა, თუმცა, მეტად მცირე თანხა - უკრაინაც „სხვებს“ განეკუთვნება და ლვოვის ტელევიზიამ რეპორტაჟი 10 ათას დოლარად შეიძინა, რაც დაახლოებით 7.860 ევროს ექვივალენტურია.

„ოლიმპი“-“აქტობეს“ მატჩის რეპორტაჟის გადაცემა ყაზახებს კი სურდათ, მაგრამ მხოლოდ 5.000 დოლარს იხდიდნენ. ეს თანხა ქართული მხარის ხარჯებსაც ვერ ანაზღაურებდა და უარით გაისტუმრეს. აქედან გამომდინარე, „ოლიმპმა“ ტელერეპორტაჟით ვერ იხეირა.

„ვიტ ჯორჯია“-“ბანიკის“ მატჩის რეპორტაჟი „სხვების“ კატეგორიაში მოხვედრილ ჩეხეთში არ გადაუციათ და ვეტერინარებმა ტელეკონტრაქტით მიზერული თანხაც ვერ მიიღეს.

ასე რომ, ევროტურნირებიდან მიღებული შემოსავლებითაც, ქართულ კლუბებში რუსთავის „ოლიმპი“ ჩემპიონობს. საერთო სურათი ასეთია (იხ. ცხრილი).

„ლელოს“ მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ ევროპის კლუბების ასოციაციაში „ვიტ ჯორჯიამ“ მოამზადა წინადადება: ევროთასების საწყისი ეტაპიდან გამოვარდნილი კლუბებს, უეფას სოლიდარობის ფონდიდან შემოსავლების 4,4 პროცენტის ნაცვლად, 10 პროცენტი გადაუხადონ. წინადადება 14 ქვეყნის წარმომადგენელმა გაიზიარა და თუკი მისი გატანა ორ წელიწადში მაინც მოხერხდება, ჩვენნაირი ქვეყნის ჩემპიონი მინიმუმ 750 ათას ევროს მიიღებს: 450.000-ს ჩემპიონობისთვის, ლიგის ერთ ეტაპზე მონაწილეობისთვის კი - 300.000-ს.

ბევრად ნაკლებია გათვალისწინებული ევროპის ლიგის ერთი ეტაპის მონაწილე გუნდისთვის - 200.000 ევრო. რეალობიდან გამომდინარე, ეს ქართული კლუბებისთვის სერიოზული დახმარება იქნება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ შარშან ევროპის კლუბების ასამბლეაზე მსგავსი წინადადება თბილისის „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** წარადგინა. უეფადან დარიცხული თანხები ჩვენი კლუბებისთვის შემოსავლის წყაროდ იქცა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია: უეფა მალე აპირებს, რომ კლუბების ფინანსური მდგომარეობა გააკონტროლოს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, უეფა ითხოვს, კლუბის ოფიციალური შემოსავალი მისივე დანახარჯს არ აღემატებოდეს. ამით ორგანიზაციის პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** ევროპულ ფეხბურთში ტოტალიზატორებიდან და კრიმინალური სამყაროდან შესული ფულის ნაკადის შეჩერება სურს, რამაც გარყვნა და წალეკა ეს სახეობა.

თუმცა იდეალური ვარიანტი სულ სხვაა: ამგვარად გამდიდრებასა და უეფას შემოსავლების იმედად ყოფნას, ჩვენი კლუბების ჩემპიონთა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა გვირჩევნია. ასე ბევრად უფრო დამსახურებული შემოსავლები გვექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

| გუნდი | უეფას სოლიდ. ფონდიდან | ტელერეპორტაჟიდან | სულ |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | 330.000 EUR | - | 330.000 EUR |
| დინამო | 270.000 EUR | 22.000 EUR | 292.000 EUR |
| ზესტაფონი | 270.000 EUR | 7.860 EUR | 277.860 EUR |
| ვიტ ჯორჯია | 90.000 EUR | - | 90.000 EUR |

პრობლემა

## დავით ენდელაძე

# ეს საფარი თავიდანვე უვარგისი იყო

**თემურ ქეცბაიას მიერ ეროვნული სტადიონის საფარის „ყანად“ მონათვლამ მოედნების პრობლემა კვლავ აქტუალური გახადა. რატომ არის ეროვნული სტადიონის საფარი ცუდ მდგომარეობაში? ამის თაობაზე დაველაპარაკეთ ადამიანს, რომელიც მის ხარისხზეა პასუხისმგებელი - კომპანია „გრინტექსის“ დირექტორ დავით ენდელაძეს.**

- ეროვნულზე ეს საფარი 2006 წლის ზაფხულში დააგეს. თუმცა, სტადიონის ძველმა მმართველებმა ძველ კომპანიას ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს და საფარის მოვლა კომპანია „აგრონოვაციას“ გადააბარეს, რომლის საფუძველზეც შემდეგ ჩამოყალიბდა ჩვენი დღევანდელი კომპანია „გრინტექსი“. სწორედ სპორტული მოედნების წარმოებასა და მოვლაზე ვართ ორიენტირებულები. საფრის მდგომარეობაზე უწინაც მსურდა მელაპარაკა და ვერიდებოდი, მაგრამ ახლა დამალვას აზრი აღარ აქვს და მადლობა თემურ ქეცბაიას, ეს თემა რომ წამოწია.

**- არა მხოლოდ ქეცბაიას, ფეხბურთელების საერთო აზრიცაა, ასეთ ცუდ საფარზე არასდროს გვითამაშიაო.**

- დიახ, მართლა ასეა.

**- მოედანს თქვენ უვლით და გამოდის, რომ კარგად ვერ მოგივლიათ...**

- საქმე ისაა, რომ საფარი თავიდანვე არასწორად დააგეს და დღეს ამის შედეგებს ვიმკით, ის უვარგისია და შესაცვლელია და არა მხოლოდ საფარი. მომხრე ვარ, რომ პრობლემა საფუძვლიანად განიხილონ და ერთხელ და სამუდამოდ მოევლოს. ამიტომ ვარ ქეცბაიას მადლობელი. ისიც ვიცი, რომ პრობლემა ჩვენი მიზეზით არ მომხდარა. უხარისხობა ორმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი - კლიმატია. წვიმები არ იყო და საფარი ჯამურმა მაღალმა ტემპერატურამაც წაახდინა. თუმცა იკითხავთ - სიცხეები სხვა ქვეყანაში არ იყოო? კი, მაგრამ იქ საფარი უვარგათ. სწორედ აქ უნდა მივადგე მეორე ფაქტორს - როდესაც საფარს აგებდნენ, არ გაითვალისწინეს, თუ რა ტიპის საფარი იყო საჭირო სპორტულ მოედანზე.

**- რა არ გაითვალისწინეს და რა დააგეს?**

- მკითხველი პროფესიული ტერმინებით რომ არ დავღალოთ, უბრალო ენით გეტყვით - არის სპორტული მოედნებისა და ჩვეულებრივი, ქალაქის გაზონის ჯიშები, ეროვნულ სტადიონზე კი სპორტული არ დაუგიათ. ამ ბალახს სტრესულ ვითარებაში - მაღალი სიცხის, ან სიცივის, ან დიდი დატვირთვისა და ბუცებით სირბილის შემდეგ სწრაფად აღდგენის უნარი არ გააჩნია. ახლანდელი გაზონი ქუჩის ბალახის მსგავსია და, ბუნებრივია, საშინელ მდგომარეობაში იქნება. ამას გარდა, სტანდარტს არ შეესაბამება ნიადაგის შემადგენლობაც. ასე რომ, საფარიც და ნიადაგიც შესაცვლელია. ისიც მიკვირს, დღევანდელზე უარეს მდგომარეობაში რომ არაა. იცით, ეს ვითარება რას შეიძლება შევადარო? რეანიმაციაში მომაკვდავი ფეხზე რომ დააყენო, მაგრამ იმას დიდხანს მაინც ვერ აცოცხლებ. ჯერ კიდევ ორი თვის წინ ვთქვი, რომ ისრაელთან მოედანი არ ივარგებდა. სხვათა შორის, მაქსიმალურად კარგი მდგომარეობისთვის რომ მიგვეღწია, ამიტომაც ვთხოვეთ თბილისის „დინამოს“, „ბაიასთან“ მატჩის ზუგდიდში გადატანა, თორემ 7 სექტემბერს ეროვნული ნაკრები უფრო საშინელ მოედანზე ითამაშებდა. მოკლედ, საფარი და ნიადაგი სასწრაფოდ შესაცვლელია, მაგრამ ამას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება.

**- მაინც რამდენი?**

- დაახლოებით 360 ათასი ლარი მარტო საფარისა და ნიადაგისთვის, 50 ათასი თანამედროვე სარწყავი სისტემის დასამონტაჟებლად. გარდა ამისა, სტადიონზე უნდა იყოს საფარის ლაბორატორია, მოსავლელად საჭირო სპეცტექნიკა და ათასი წვრილმანი. ეს აუცილებელი ხარჯია. თუმცა პრობლემა ისაა, რომ საქართველოში ამჟამად სპორტული მოედნის ჯიშის საფარი დათესილი არაა, მის მოსაყვანად კი ერთწლიანი ციკლია საჭირო. მე საფარი დათესილი კი მაქვს და მითხრეს, თქვენი დავაგოთო, მაგრამ სპორტული ტიპის არ არის და ფულისთვის ყველაფერს ხომ არ ვიკადრებ?!

**- უცხოეთიდან ჩამოტანა პრობლემაა?**

- შეიძლება უცხოეთიდან ჩამოტანა, მაგრამ საფარი მოჭრიდან 24 საათში უნდა დაიგოს, მაქსიმუმ 72-ში. უცხოეთიდან ჩამოტანილი კი ხშირად ფუჭდება, რადგან გზაში 72 საათზე მეტ ხანს ყოვნდება...

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები


ჯონ ტოშაკი

## ტოშაკი გადადგა

**ჯონ ტოშაკმა** უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა. 61 წლის სპეციალისტს ამ ნაბიჯის გადადგმა აქამდეც სურდა, მაგრამ ევრო-2012-ის შესარჩევი კამპანიის პირველ მატჩში გუნდი უპატრონოდ არ მიატოვა.

უელსელთა სამწუხაროდ, მათი ეროვნული გუნდისთვის კონტინენტის პირველობაზე მოხვედრისთვის ბრძოლა წარუმატებლად დაიწყო - ტოშაკის გუნდი ჩერნოგორიაში დამარცხდა. 8 ოქტომბერს კი ამ ნაკრებს მასზე მეტად წარუმატებელი ბულგარეთის ეროვნული გუნდის მასპინძლობა უწევს. სხვათა შორის, ბულგარეთის ნაკრების დამრიგებელმა თავის უელსელ ვიზავის ერთი დღით დაასწრო - **სტანიმირ სტოილოვი** თანამდებობიდან ოთხშაბათს წავიდა...

*„მე მივდივარ, - თქვა ტოშაკმა კარდიფში მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელიც ტელევიზიის პირდაპირ ეთერშიც გადაიცემოდა, - მაგრამ ჩვენი ნაკრები კვლავ შესარჩევ ჯგუფშია და ერთი წაგებიდან ტრაგედიის შექმნა არ ღირს. იმედია, ორი მომდევნო მატჩი წარმატებული გამოვა და სიტუაციაც გამოსწორდება“.*

## კარიუ: გამარჯვება ამ ტრავმად ღირდა

„ასტონ ვილასა“ და ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელმა **იონ კარიუმ** პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებთან ევრო 2012-ის შესარჩევი მატჩის მსვლელობისას ტრავმა მიიღო და მოედანი უკვე 38-ე წუთზე დატოვა, თუმცა იქამდე მაინც მოასწრო თავის გამოჩენა - 21-ე წუთზე კარიუს გადაცემით **ერიკ ანდრე ჰუსეკლეპმა** მატჩის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

*„ბურთის ვარდნაშიართმევა ვცადე და იმ მომენტში კუნთი დამეჭიმა. მოედნის ნაადრევად დატოვება მომიხდა, თუმცა გუნდის გამარჯვება ამ ტრავმად ნამდვილად ღირდა“*, - თქვა ნორვეგიელმა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კარიუ ორშაბათს „სტოკისა“ და „ასტონ ვილას“ მატჩს გამოტოვებს, რომელშიც ბირმინგემელებს ახალი მთავარი მწვრთნელი **ჟერარ ულიე** უხელმძღვანელებს.

## ბალოტელი საოპერაციოა

**მარიო ბალოტელი** იტალიაში გაემგზავრა. სამშობლოში „მანჩესტერ სიტის“ ახალწვეულს მარჯვენა ფეხის მენისკზე ოპერაცია ელის.

20 წლის ფორვარდმა ტრავმა „სიტიში“ თავის სადებიუტო მატჩშივე მიიღო - ევროპის ლიგაში რუმინულ „ტიმიშოარასთან“ შეხვედრაში.

*„იმედი გვქონდა, რომ ბალოტელის მუხლის მოშუშება მხოლოდ დროის ამბავი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვცდებოდით. მარიოს ტკივილმა არ გაუარა და როცა წვრთნა განაახლა, ნათელი გახდა, რომ ქირურგიული ჩარევის გარეშე არაფერი გამოვიდოდა“*, - თქვა „სიტის“ ექიმმა.

მედიკოსთა ვარაუდით, 20 წლის ფორვარდის პოსტოპერაციული სარეაბილიტაციო პერიოდი დაახლოებით ექვს კვირას გასტანს.

## ფაბიანსკი: პირველი მე ვიქნები!

ლონდონის „არსენალის“ გოლკიპერი **ლუკაშ ფაბიანსკი** „მეთოფეთა“ ძირითად მეკარეობას ლამობს.

იმის მიუხედავად, რომ ლონდონურ კლუბში ეს პოზიცია დღესდღეობით **მანუელ ალმუნიას** უკავია და გუნდის დამრიგებელ **არსენ ვენგერს** ბოლო ხანებში ეყტობოდა, რომ ესპანელის თამაშით უკმაყოფილოა, 25 წლის ფაბიანსკიმ წინასასეზონო მზადების პერიოდში მწვრთნელის ნდობის მოპოვება ვერ შეძლო.

სავარაუდოდ, შაბათს „ბოლტონისა“ და ერთი კვირის შემდეგ „სანდერლენდის“ წინააღმდეგ პრემიერლიგურ მატჩებში „არსენალის“ კარში კვლავ ალმუნია ჩადგება, ხოლო პოლონელი თავისი შანსის გამოყენებას 21 სექტემბერს შეეცდება, როცა „მეთოფეები“ ინგლისის ლიგის თასზე თავის მოსისხლე მტერ „ტოტენემ ჰოთსპურს“ დაუპირისპირდებიან.

*„ჩემი მიზანი „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაა და მის მისაღწევად ნებისმიერი შესაძლებლობის გამოყენებას ვაპირებ, - თქვა ფაბიანსკიმ „არსენალის“ საკლუბო ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში, - დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს შანსს „ტოტენჰემთან“ ლიგის თასის მატჩში გამოვიყენებ. ბოსს დავუმტკიცებ, რომ პირველნომრობის ღირსი ვარ“.*

## გარის 19 ფანტასტიკური სეზონი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა **გარი ნევილმა** მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მანკუნიანელი ვეტერანის თქმით, ის ველარ გრძნობს საკუთარ თავში იმ ენერგიას და თამაშის სურვილს, რომელიც „ოლდ ტრაფორდზე“ ასპარეზობის პირველ წლებში ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელ ძმათაგან უფროსი, „მანჩესტერის“ წევრი 1991 წლიდანაა, არადა გარი არც ისეთი „ბებერია“ - 35 წლისაა.

*„ორი წლის წინათ, დილით გამეღვიძა და საკუთარ თავს ვუთხარი: „მანჩესტერ იუნაიტედში“ სამი მატჩიღა დაგრჩა ჩასატარებელი“. კლუბის ხელმძღვანელებს არც დავლაპარაკებივარ, მაგრამ შინაგანად დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო ჩემი უკანასკნელი სამი კვირა საყვარელ კლუბში. დავრჩი. ასეთი სიტუაცია შარშანაც გამეორდა, მაგრამ მაშინაც დავრჩი. უნდა ვაღიარო: მეეჭვება, მომავალ ზაფხულშიც გადავიფიქრო. კონტრაქტი რომ ამომეწურება, მის გაგრძელებას არც ვიფიქრებ. აქ ფანტასტიკური 19 წელიწადი გავატარე. კლუბთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, მხოლოდ მადლიერების გრძნობა“*, - თქვა გარი ნევილმა, ვისაც „წითელი ეშმაკუნების“ შემადგენლობაში თითქმის 400 მატჩი აქვს ჩატარებული.

**სლავა გასპაროვი**


გარი ნევილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

● გერმანია

ბუნდესლიგა.
III ტური. პარასკევის მატჩის წინ

## შალკეს მათი გოლები სჭირდება!

### ხუმარებისთვის ჰოფენჰაიმთან წაგება აკრძალულია

ორკვირიანი სანაკრებო პაუზის შემდეგ, საკლუბი ფეხბურთი გვიბრუნდება. პარასკევის მატჩი ბუნდესლიგის მესამე ტურშიც ძალიან საინტერესოა, რადგან დღეს ზინსჰაიმში ლიდერი „ჰოფენჰაიმი“ ორი ტურის შემდეგ უქულოდ მყოფ „შალკეს“ მასპინძლობს. მართალია, ორი ტურის შემდეგ სერიოზული დასკვნების გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ „ჰოფე“ ბუნდესლიგის ცხრილს დამსახურებულად ლიდერობს: „სოფლელებმა“ პირველ ტურში „ვერდერს“ გადაურბინეს (4:1), მეორე ტურში კი „ზანკტ პაული“ დაამარცხეს (1:0) და თავს ექვსი ქულით იწონებენ.

„შალკე“ კი აბსოლუტურად საპირისპირო მდგომარეობაშია: **ფელიქს მაგათის** ამბიციურმა გუნდმა ორივე თამაში წააგო, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს გელზენკირხენულ კლუბს მინიმუმ ქულა ჰაერივით სჭირდება. შექმნილი კრიზისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო იმისა, რომ მაგათმა აგვისტოს ბოლოს მილიონები დახარჯა და ათ ახალწვეულს კიდევ სამი მაღალი კლასის მოთამაშე მიამატა: **კლაას იან ჰუნტელაარი, ნიკოლა პლესტანი** და **მანუელ ხურადო**. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ დღეს რაულს ჰუნტელაარის სახით იდეალური მეწყვილე ეყოლება, მაგათს კი სასწრაფოდ სჭირდება ამ დუეტის გოლები, რათა „შალკემ“ შვებით ამოისუნთქოს.

დღეს „დესპოტი ფელიქსი“ სავარაუდოდ ახალგაზრდა იაპონელ მარჯვენა მცველს, **აცუტო უჩიდას** ვერ გამოიყენებს - ეს უკანასკნელი ტრავმირებულია და სალამომდე გამოჯანმრთელება არ უწერია. თუმცა უჩიდას არყოფნა „შალკესთვის“ სერიოზული დანაკლისი ნაღდად არ არის, რადგან იაპონელმა ფეხბურთელმა პირველ ორ თამაშში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა და „კიკერისგან“ საშინელი შეფასებები (ორივე მატჩში 5 ბალი) დაიმსახურა.

სამაგიეროდ, **ჯეფერსონ ფარფანს** ძირითად შემადგენლობაში თამაში ჰუნტელაარის ყიდვის შემდეგაც კი განაღდებული აქვს. მაგათი ამბობს, ფარფანს სასტარტოდან ამოვარდნის საფრთხე არ ემუქრებაო. „ბოლო წამს“ ნაყიდ ახალწვეულთაგან კი ძირითად შემადგენლობაში სავარაუდოდ მხოლოდ ჰუნტელაარი ითამაშებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ჰოფენჰაიმი (4-3-3):** შტარკე - ბეკი, შიმუნიჩი, ვორსა, კომპერი - ვაისი, ლუის გუსტავო, სალიჰოვიჩი - მლაპა, იბიშევიჩი, ბა.

**შალკე (4-1-3-2):** ნოიერი - ჰიოვედესი, მატიპი, მეტცელდერი, შარპეი - ჯონსი - კლუგე, რაკიტიჩი, ფარფანი - რაული, ჰუნტელაარი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. კაიზერსლაუტ. | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. მაინცი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 4. ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 5. ჰანოვერი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 6. ბორუსია (მ) | 2 | 1 | 1 | 0 | 7-4 | 4 |
| 7. ზტ. პაული | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 8. ბორუსია (დ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 9. ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| 10. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| 11. ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 12. ბაიერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 13. ნიურნბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14. ვოლფსბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 4-6 | 0 |
| 15. შალკე | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 16. აინტრახტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 17. კიოლნი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |
| 18. შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**

● ბრაზილიის ნაკრები



## ბრაზილიამ ბარსელონას რეზერვი გაანადგურა

სანაკრებო პაუზისას „ბარსელონას“ სანვრთნელ ბაზას... ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ესტუმრა. ბრაზილიის ნაკრები ლიეუს ბაზაზე იყო დაბანაკებული და იქ ვარჯიშობდა, ბოლოს კი **მანო მენეზესის** გუნდმა ამხანაგური მატჩიც გამართა „ბარსელონას“ სარეზერვო გუნდთან და 3:0 მოიგო. „კანარინიას“ შემადგენლობაში გოლებით თავი **ლუკასმა, ალეშანდრე პატომ** და **ფერნანდინიომ** გამოიჩინეს.

თამაშს დაესწრო „ბარსელონას“ თავკაცი **ხოსეპ გვარდიოლა**, რომელსაც გვერდით ტრავმირებული **კარლეს პუიოლი** ეჯდა, იქვე იყო გუნდის სპორტული დირექტორი **ანდონი სუბისარეტა**. ცნობილ ბრაზილიელთაგან ტრიბუნებზე ორ მსოფლიო ჩემპიონს იხილავდით: **მაზინიოს** (1994 წ) და **ედმილსონს** (2002). ბრაზილიის ნაკრები ამ თამაშზე დანომრილი სავარჯიშო ფორმით გამოცხადდა. ანგარიში ლუკასმა მე-12 წუთზე გახსნა, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და უძლიერესი დარტყმით გაიტანა. ორ წუთში „სელესაოს“ უპირატესობა გაორმაგდა - **ფილიპე კოუტინიოს** ბრწყინვალე პასის შემდეგ ფორმაში მყოფმა პატომ გაიტანა - 2:0.

მენეზესმა შესვენებაზე მინდვრის ათივე მოთამაშე შეცვალა. ბრაზილიელთა უპირატესობა მაინც აშკარა იყო, მათ ერთი გოლიც გაუტანეს მასპინძლებს, **ანდრემ** „ბლაუგრანას“ მცველთა ცუდი პასი ჩაჭრა, გოლი კი ფერნანდინიომ შეაგდო - 3:0.

ბრაზილიის ნაკრებმა ამ შემადგენლობით ითამაშა (I ტაიმი): *დიეგო ალვეში - დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუიზი, ანდრე სანტოსი - ლუკასი, რამირესი, კოუტინიო, ედუარდო - რობინიო, პატო. (II ტაიმი): დიეგო ალვეში (გაბრიელი) - რაფაელი, ენრიკე, ალექსი, ადრიანო - ფერნანდინიო, ერნანესი, სანდრო, დუგლასი - ანდრე, ჰალკი.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ბარსელონა

## პუიოლი ერკულესთან ვერ ასწრებს

„ბარსელონას“ ვეტერანმა მცველმა **კარლეს პუიოლმა** ჯერ ვერ მოირჩინა კოჭის ტრავმა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის პრიმერა დივიზიონის მეორე ტურის მატჩს გამოტოვებს უმაღლესში დაბრუნებული ალიკანტეს „ერკულესის“ წინააღმდეგ. პუიოლმა ტრავმა I ტურის წინ, სანტანდერში მოთელვაზე მიიღო და მას მერე ესპანეთის ნაკრების ორი შეხვედრა გამოტოვა: ევრო-2012-ის შესარჩევი მატჩი ლიხტენშტაინის წინააღმდეგ და ამხანაგური შეხვედრა ბუენოს აირესში. თავად პუიოლი გამოჯანმრთელების ტემპით მაინც კმაყოფილია: *„ყოველდღიურად თავს უკეთ და უკეთ ვგრძნობ. მომავალს იმედით ვუყურებ“*, - განაცხადა პუიოლმა.

ექიმების დასკვნის საფუძველზე პუიოლს სამი კვირა უნდა დაესვენა. მაგრამ ენერგიული ვეტერანი უფრო მალე დადგება ფეხზე, შესაძლოა მან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩშივე ითამაშოს, ბერძნული „პანათინაიკოსის“ წინააღმდეგ.

### ალვეში სიამოვნებით დარჩება

„ბარსას“ ბრაზილიელმა მცველმა **დანი ალვეშმა** დაადასტურა, რომ კლუბთან მოლაპარაკება ახალი კონტრაქტის შესახებ დაწყებულია. დანი **ხოსეპ გვარდიოლას** ერთ-ერთი პირველი შენაძენი იყო, მასში „სევილიას“ 32 მილიონი ევრო გადაუხადეს, თუმცა ბრაზილიელმა გაამართლა ეს სარისკო ტრანსფერი, განსაკუთრებით კარგად მან 2009 წელს ითამაშა, როცა „ბარსელონამ“ სასწაული ჩაიდინა - 6 ტიტული მოიგო.

რადიოშოუ „კადენა კოპეს“ ეთერში საუბრისას ბრაზილიელმა ლეგიონერმა განაცხადა: *„მართალია, რომ მოლაპარაკება დაწყებულია და ის წარმატებით დაგვირგვინდება, რადგან ახლა თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ „ბარსაში“ და დარჩენა მინდა“.* ალვეშმა ზლატან იბრაჰიმოვიჩზეც ისაუბრა: *„ზლატანთან დაპირისპირება არასოდეს მომსვლია და მგონი, არც არავის - უბრალოდ, იბრა გუნდის სათამაშო სტილს ვერ მოერგო, სულ ეს არის“.*

### ვინ უნდა უფრთხოდეს მესის?

„ბარსელონას“ არგენტინელი ვარსკვლავი **ლეო მესი** განსაკუთრებით ორი კლუბის წინააღმდეგ „ილესავს კბილებს“, - მას ძალიან უნდა „ერკულესს“ (რომელსაც „ბარსა“ ახლა ხვდება) და „რეალ სოსიედადს“ გაუტანოს. მიზეზი კი ასეთია, მხოლოდ ეს ორი კლუბია პრიმერა დივიზიონში, რომელთათვისაც მესის ჯერ გოლი არ გაუტანია, დანარჩენი 18 კლუბი მან ერთხელ მაინც „დააჯილდოვა“ გოლით.

შარშანდელი სეზონის წინ მხოლოდ სამი გუნდი იყო ასეთი: „ვალიადოლიდი“, „ტენერიფე“ და „ვილიარეალი“ - მესიმ სამივეს გაუტანა. ახლა პრიმერაში სამი სხვა გუნდი გადმოვიდა, „ლევანტეს“ კარში „ლა პულგას“ გაუტანია, რჩება მხოლოდ „რეალ სოსიედადი“ და „ერკულესი“. გასულ სეზონში მესიმ პირადი რეკორდი დაამყარა, როცა „ბარსელონას“ მაისურით 47 გოლი გაიტანა (34 ლა ლიგაში). ახალი სეზონიც ასევე დაიწყო - სულ ორ ოფიციალურ მატჩში ითამაშა და უკვე 4 გოლი გაიტანა (ამას დავუმატოთ გოლი ნაკრების შემადგენლობაში). არგენტინელი თუკი ცაციათი გაიტანს, ეს მისი მე-100 გოლი იქნება მარცხენა ფეხით „ბარსელონას“ მაისურით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● რეალი

## ბუტრაგენიო: აცალეთ მოუს!

მადრიდის „რეალის“ ლეგენდა **ემილიო ბუტრაგენიო** კლუბს და მის ფანებს ურჩევს, აცადონ თავის გამორჩენა **ჟოზე მოურინიოს**. ბუტრაგენიომ, რომელმაც 11 წელიწადი ითამაშა „რეალში“ (1984-1995 წწ) განაცხადა, რომ პორტუგალიელის შრომა ნაყოფს სეზონის მეორე ნახევარში გამოიღებს. *„ახლა მოურინიოს იმის საშუალებაც არა აქვს, რომ სრულფასოვანი ვარჯიშები ჩაატაროს, სანაკრებო პაუზა და ტრავმები ხელის შემშლელი ფაქტორებია. ჩვენ უნდა ვიყოთ მომთმენნი და მშვიდები, მოურინიოს დრო უნდა მივცეთ, ეს აუცილებელია. გუნდში რამდენიმე ახალწვეულია, ცალკე მათ ესაჭიროებათ დრო სრული ინტეგრაციისათვის. შემდეგ კი გუნდის თამაშიც უკეთესი გახდება“*, - განაცხადა ბუტრაგენიომ.

### პერესი: აი, ბიუჯეტი!

„რეალის“ პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** ხელი მოაწერა კლუბის ახალ ბიუჯეტს, რომელიც „სამეფო კლუბისთვის“ სარეკორდოა - 450 მილიონი ევრო. აქამდე რეკორდი შარშანდელ სეზონს ეკავა 400-მილიონიანი ბიუჯეტით. შარშან ამხელა ბიუჯეტის მიუხედავად გუნდმა ერთი ტიტულიც კი ვერ მოიგო. ეტყობა პრეზიდენტმა გამოსავალი ხარჯების გაზრდაში იპოვა. პერესი მოწადინებულია, რომ „რეალის“ „ახალმა გალაქტიკამ“ ესპანური ტახტიდან „ბარსელონა“ ჩამოაგდოს, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში დაასრულის წარუმატებელი სერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ემილიო ბუტრაგენიო



● სავარაუდო ტრანსფერი

## დემიკელისი ნახევარ ესპანეთს სურს

„ბაიერნის“ არგენტინელი მცველი **მარტინ დემიკელისი** კიდევ ერთ ესპანურ კლუბს მოუნდა, მას შემდეგ, რაც დემიკელესით „ბარსელონა“, „სევილია“, „ატლეტიკო“ და „სარაგოსა“ დაინტერესდნენ, სამომავლო ტრანსფერზე ბასკურმა „რეალ სოსიედადმაც“ დაიწყო მუშაობა. მოკლედ, როგორც კი ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, დემიკელისზე ტაციაობა დაიწყება.

მარტინს არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს „ბაიერნის“ მწვრთნელ **ლუის ვან გაალთან** და მას უჭირს სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა. მისით ახლაც ბევრი გუნდი იყო დაინტერესებული, თუმცა ტრანსფერის ფანჯრის დახურვამდე ვერ განხორციელდებოდა და დემიკელისიც გერმანიაში დარჩა. „დიარიო ასი“ ამტკიცებს, რომ „რეალ სოსიედადი“ არგენტინელში 10 მილიონ ევროს გადაიხდის. 29 წლის დემიკელისი 2003 წელს გადავიდა „რივერ პლეიტიდან“ „ბაიერნში“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამბები

### იტალიელი სარაგოსაში

სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ „სარაგოსა“ კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა - არაგონელებმა უკლუბოდ დარჩენილი თავისუფალი აგენტი **მაურიციო ლანძარო** შეიძინეს. იტალიელმა მცველმა ბოლო ხუთი სეზონი „რეჯინაში“ გაატარა. 28 წლის ფეხბურთელს იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია. ლანძარო სერია ბ-ს კლუბმა ივნისში გაუშვა და მას შემდეგ ის უგუნდოდ იყო. „სარაგოსამ“ იტალიელს სამწლიანი კონტრაქტი (1+2 სისტემით) გაუფორმა. *„მზად ვარ მსოფლიოში საუკეთესო ლიგაში სათამაშოდ. გამოწვევის არ მეშინია, თავს აუცილებლად გამოვიჩენ. როგორც კი „სარაგოსაში“ თამაშის შანსი გაჩნდა, მაშინვე დავთანხმდი წინადადებას, რადგან საზღვარგარეთ თამაში ძალიან მინდოდა. მით უფრო ასეთ ლამაზ ქალაქში, როგორიც სარაგოსაა“.*

### ხანგრძლივი კონტრაქტი ამორებიეტას

ბილბაოს „ატლეტიკი“ ცენტრალურ მცველ **ფერნანდო ამორებიეტას** ახალ, მრავალწლიან კონტრაქტს უმზადებს. ახალი კონტრაქტის მიხედვით ამორებიეტა გაცილებით მეტ ხელფასს მიიღებს, ვიდრე ახლა. ბასკთა შეფუცხუნების მიზეზი ამორებიეტას შეძენით რუსეთის ჩემპიონ „რუბინის“ დაინტერესებაა. „ატლეტიკმა“ და თავად ფეხბურთელმა რუსებს ტრანსფერზე უარი უთხრეს. შეგახსენებთ, რომ 25 წლის ამორებიეტა ვენესუელაშია დაბადებული და სერიოზულად განიხილავს წინადადებას ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მაისურა მოირგოს. *„მოლაპარაკების მაგიდაზე ახალი კონტრაქტის მონახაზი დევს, ის ხომ კლუბისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია“*, - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა **ხინეს კარვახალმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# გალიანი წყობიდან გამოიყვანეს

იტალიელი ჟურნალისტების გამოსწორება არ იქნება - მთელი გასული სეზონის განმავლობაში წერდნენ იმის შესახებ, რომ „მილანის“ მესვეურებმა **კლაას იან ჰუნტელაარში** სულ ტყუილად გადაყარეს ფული, დღეს კი იმას ამტკიცებენ, ჰოლანდიელის „შალკეში“ გაშვება დიდი შეცდომა იყო და **ადრიანო გალიანიმ** არასწორი ნაბიჯი გადადგა. საქმე ის არის, რომ ჰუნტემ ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში ორი წარმატებული შეხვედრა ჩაატარა და ჯამში ხუთი გოლი გაიტანა. ის, რომ ჰოლანდიის უმთავრესი გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფს სათავეში უდგას, დიდწილად სწორედ კლაას იანის დამსახურებაა, რაც, ბუნებრივია, იტალიელ ჟურნალისტებს არ გამოჰპარვიათ. მყისვე შეეხმიანნენ გალიანის და მიახალეს, ეს რა ქენი, ასეთი ფორვარდი რატომ გაყიდეო. აქვე, გაცხარებული სინიორ ადრიანოს პოზიცია:

„ჰუნტელაარი რომ ძალიან კარგი თავდამსხმელია, თქვენზე უკეთ ვიცი და ამის შესახებ მთელი წლის განმავლობაში თავის მართლების პოზიციიდან გესაუბრებოდით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ, რომ მე მთავარი მწვრთნელის მითითებებით ვმოქმედებ. არ შეიძლება შედეგზე პასუხისმგებელი მწვრთნელი იყოს და ფეხბურთელებს სხვა ადამიანი არჩევდეს. მასიმილიანო ალეგრიმ მკაფიოდ მითხრა, რომ ჰოლანდიელი მის გეგმებში არ ჯდებოდა და, თუ შესაძლებელი იყო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი გვეყიდა. მისი თხოვნა 100%-ით შევასრულეთ და ამისთვის, მწვრთნელმა დიდი მადლობაც გადაიხადა. ჰუნტელაარს დიდ წარმატებებს ვუსურვებ როგორც „შალკეში“, ისე ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში“.

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად იწერება პრესაში იმის შესახებ, თუ როგორი სქემით უნდა ითამაშოს ახალი ტრანსფერების შემდეგ „როსონერიმ“. **მასიმილიანო ალეგრის** განკარგულებაში ხუთი სუპერვარსკვლავია, რომელთაგან ერთი ალბათ განწირულია სათადარიგოთა სკამზე ჯდომისთვის - **ფილიპო ინძაგის** ვგულისხმობთ, რომელსაც



ადრიანო გალიანი

აუცილებლად ექნება თავისი სათამაშო დრო, მაგრამ ასაკი აღარ უწყობს ხელს იმაში, რომ ასეთი დონის კლუბში სასტარტო შემადგენლობის უცვლელი წევრი იყოს.

მთავარი კითხვა კი ასე ჟღერს: შეიძლება თუ არა, რომ ძირითად შემადგენლობაში ერთდროულად ვიხილოთ შემდეგი ოთხეული: **ალეშანდრე პატო, რონალდინიო, რობინიო** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე არაერთმა სპეციალისტმა, ჟურნალისტმა და ფეხბურთელმა გამოთქვა მოსაზრება და ყველა ერთხმად აცხადებს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. მოვუსმინოთ ზლატან იბრაჰიმოვიჩს:

„შვედეთის ნაკრებში აპრობირებულია ასეთი მოდელი და უნდა გითხრათ, რომ წარმატებულადაც მუშაობს. მართალია, გასვლით რთულ პაექრობებში უფრო დაცვაზე ორიენტირებული ტაქტიკა გვაქვს, მაგრამ საშინაო პაექრობებში ოთხი შემტევით არაერთხელ გვიასპარეზია. ასე რომ, ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ პატოს, რონალდინიოს და რობინიოს მხარდამხარ მომიწიოს თამაშმა. ვფიქრობ, ასეთი შეტევის წინააღმდეგ დადგომა ნებისმიერ დაცვას გაუჭირდება“.

დაახლოებით ანალოგიური პოზიცია აქვს **კრისტიან აბიატის**, რომელიც თავს იღბლიან ადამიანად მიიჩნევს და თუ რატომ, ამას ქვემოთ შეიტყობთ: „ძალიან გამიმართლა, რომ „მილანში“ ვთამაშობ და ჩემს კარს იბრაჰიმოვიჩი, პატო, რონალდინიო და რობინიო არ დაემუქრებიან. ეს არის ფანტასტიკური შეტევის ხაზი, რომლისაც აბსოლუტურად ყველას უნდა ეშინოდეს. ნამდვილად არ მშურს ჩემი კოლეგების, რომლებსაც ჩვენ წინააღმდეგ მოუწევთ თამაში. იქნება თუ არა ოთხივე სასტარტო შემადგენლობაში? - ეს ალეგრის გადასაწყვეტია, თუმცა ჩემი პირადი აზრით, საშინაო შეხვედრებში ეს სავსებით დასაშვებია“.

მოკლედ, ყველა იმ აზრზეა, რომ ოთხივემ ძირითადში უნდა იასპარეზოს და დროა გავიაზროთ, რას ნიშნავს ეს ოთხივე ძირითადში? - ზლატან იბრაჰიმოვიჩი რომ ცენტრფორვარდის პოზიციაზე გაირჯება, ამას წყალი არ გაუვა. ერთ-ერთი გარემარბი აუცილებლად ალეშანდრე პატო უნდა იყოს, რადგან ამპლუით თავდამსხმელია და სიღრმეში მისი ჩაწევა არცთუ გონივრული და ლოგიკური გადაწყვეტილება იქნებოდა. ანუ, დაგვრჩა მეორე გარემარბის ადგილი და გამთამაშებლის პოზიცია. დიახ, მივიღეთ ზეშემტევი, ცოტა უცნაური ტაქტიკა, მაგრამ ჩვენი იტალიელი კოლეგები სწორედ ამაზე წერენ და როგორც ხედავთ, ფეხბურთელებიც ეთანხმებიან. სხვაგვარად უბრალოდ ვერ წარმოგვიდგენია, რადგან კლასიკურ ნახევარმცველად არც ერთი ჩამოთვლილთაგანი არ ივარგებს.

მოკლედ, მეორე გარემარბი ან რონალდინიო უნდა იყოს, ანაც რობინიო და შესაბამისად, რომელიც არ იქნება, ის გამთამაშებლობის პოზიციას გაამაგრებს. გაუჩომ ძალიან კარგად მოირგო გარემარბის ამპლუა და წესით, მას არ უნდა შეუცვალონ პოზიცია - გამომდინარე აქედან, სიღრმეში სწორედ რობინიო შეიწევს. ასეთ შემთხვევაში, ძირითადი შემადგენლობიდან **კლარენს ზეედორფი** უნდა ამოვარდეს, რადგან **ანდრეა პირლო** და **მასიმო ამბროზინი** ხელშეუხებელნი არიან. რობინიოს კი მისთვის უჩვეულო ფუნქციების შესრულება მოუწევს, ის აქტიურად უნდა დაეხმაროს დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში „როსონერის“ დაცვაზე ორიენტირებული ორი ნახევარმცველი შერჩება, ასე კი თანამედროვე ფეხბურთში არავინ თამაშობს. და მაინც, არაფრით შეიძლება ფილიპო ინძაგის დავიწყება, რომელმაც სერია A-ს პირველ ტურში უკვე მოასწრო თავის გამოჩენა.

**ლაშა წიკლაური**

პერსპექტივა



ანდრეა რანოკია

# რანოკია ინტერს და ნაკრებს უმიზნებს

საბოლოოდ, ახალგაზრდა უკანახაზელი მილანის „ინტერმა“ შეიძინა და იჯარის წესით „ჯენოაში“ გაუშვა. ძალიან ლოგიკური გადაწყვეტილება იყო, რადგან მილანურ გრანდში პერსპექტიულ ფეხბურთელს სათამაშო დროის დეფიციტი ექმნებოდა. ყველამ ვიცით **დავიდე სანტონი** და მისი მილანური პრობლემები - აშკარად, არ არის „ინტერში“ მისი ადგილი, მაგრამ ბედს არ ურიგდება და შედარებით ნაკლებად ამბიციურ გუნდში გადასვლას თაკილობს. არადა, ერთ დროს იტალიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი დღეს ყველას მიავიწყდა და თუ პოზიცია არ შეიცვალა, ვგონებთ, კიდევ ბევრ დროს დაკარგავს. რანოკია კი „ჯენოაშია“ და მასაც „ინტერში“ თამაშზე ეფიქრება. ეს მისი კომენტარიდან ნათლად ჩანს:

„გენუაში თავს კარგად ვგრძნობ და ახალ სეზონს დიდი ენთუზიაზმით შევხვდი. ამასთან, ბედნიერი ვარ, რომ უმძიმესი ტრავმა, როგორც იქნა, მოვიშუშე და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. „ჯენოაში“ კიდევ დიდხანს ვითამაშებდი, მაგრამ არა მგონია ეს ამბავი გამოვიდეს, რადგან „ინტერს“ ჩემი დაბრუნება სურს. ეს ან იანვარში მოხდება, ან უკიდურეს შემთხვევაში, მომავალ ზაფხულს. ბუნებრივია, ამის საწინააღმდეგო არც მე მექნება რამე, რადგან „ნერაძური“ ევროპული ფეხბურთის გრანდია და მუდმივად მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. საუბარი რაფაელ ბენიტესთან და მასიმო მორატისთანაც მქონდა, ორივემ დიდი სიმპათია გამოხატა ჩემ მიმართ და ასე რომ არ იყოს, არც შემიძენდნენ“.

თუ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ბრძანდებით, შესაძლოა გახსოვდეთ კიდეც, რომ **ლეონარდო ბონუჩისა** და **ანდრეა რანოკიას** ტანდემზე ჯერ კიდევ მაშინ ვწერდით, როდესაც მათ შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა. მაშინ, ეს ორი ფეხბურთელი „ბარიში“ ასპარეზობდა, დაცვის ცენტრს ამაგრებდნენ და შესანიშნავად ირჯებოდნენ. მაშინვე ვთქვით, რომ ამ ახალგაზრდა მოთამაშეებს დიდი მომავალი ჰქონდათ და ჯერჯერობით, ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის.

ანდრეა რანოკიას გასული სეზონის მეორე ნახევარი მთლიანად გაუცდა, რადგან მძიმე ტრავმა მიიღო და საოპერაციო შეიქნა. არადა, ახალგაზრდულ ნაკრებში სტაბილურად იწვევდნენ და ეროვნულ გუნდში მოხვედრის რეალური კანდიდატი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ექვსი თვე არ უთამაშია, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მასზე მაინც დიდი მოთხოვნა იყო.

რანოკიას იტალიის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივაზეც ჰკითხეს: „რა თქმა უნდა, ეს ჩემი ოცნებაა და მჯერა, რომ ეროვნულ გუნდში ადგილს დავიმკვიდრებ. მთავარია, რომ ტრავმებმა აღარ შემაწუხოს და სტაბილურად ვიასპარეზო. ნაკრების ბოლო ორ თამაშს ვუყურე და მინდა აღვნიშნო, რომ ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს. ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი, ამბობენ თაობა არ მოდისო, მაგრამ მე რადიკალურად განსხვავებული პოზიცია მაქვს. ჩემი აზრით, ძალიან ნიჭიერი თაობა წამოვიდა, რომელსაც დიდი ამოცანების გადაჭრა ხელეწიფება“.

**ლაშა წიკლაური**

ბოლეადორი

# კლოზე რეკორდებისკენ

## მირო მათეუსისა და გერდ მიულერის ტახტიდან ჩამოგდებას გეგმავს

აზერბაიჯანთან მატჩის მეორე დღეს **მიროსლავ კლოზე** იქ იყო, სადაც ყოფნა ყველაზე მეტად უყვარს: სახლში, სამზარეულოს მაგიდასთან. მის ტყუპებს, **ლუანს** და **ნოას** (5) იმ დღეს სასურველი კერძის მირთმევის უფლება ჰქონდათ, მეუღლე სილვია, პოლონურ ბორშჩს ამზადებდა, „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი კი ბედნიერი გახლდათ. ბუნდესგუნდმა აზერბაიჯანს 6:1 მოუგო, კლოზემ კი დუბლი შეასრულა და ამ მატჩით ისტორია შექმნა.

ეს იყო მიროს რიგით 103-ე შეხვედრა ბუნდესგუნდში და ამ მაჩვენებლით ის თვით **ფრანც ბეკენბაუერს** გაუთანაბრდა. ამას გარდა, კლოზეს გერმანიის ნაკრების მაისურით უკვე 55 გოლი აქვს გატანილი, რითაც ბუნდესგუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მეორე ადგილზეა.

„შესანიშნავი განცდაა ის, რომ ასეთ სტატისტიკას ჩემი კარიერის დასრულების შემდეგაც კი არავინ დაივიწყებს. რაც ყველაზე მთავარია, ჩემი კარიერა გრძელდება. პირდაპირ გეტყვით: ჩემი მიზანი გერდ მიულერისა და ლოთარ მათეუსის რეკორდების დამხობაა,“ - უთხრა კლოზემ „ბილდის“ კორესპონდენტს. **მიულერი** და **მათეუსი** გერმანული ფეხბურთის მთავარი რეკორდსმენები არიან: „ნაციის ბომბარდირად“ წოდებულ გერდს ბუნდესგუნდის ფორმით 68 გოლი აქვს გატანილი, მათეუსს კი 150 მატჩი აქვს ჩატარებული.

„ცხადია, გერდ მიულერის კვოტის გაუმჯობესება შეუძლებელია, რადგან მას 62 მატჩში გატანილი 68 გოლით არაამქვეყნიური ბალანსი აქვს. მან ორ მუნდიალზე 14 გოლი გაიტანა - ესეც განუმეორებელი შედეგია. შესაბამისად, ჩემი მხრიდან საკუთარი თავის მიულერთან შედარება უაზრობაა, მაგრამ მასზე მეტი გოლის გატანა კი მინდა და ვფიქრობ, გერმანიის ნაკრებში მინიმუმ 13 გოლის გატანას ნამდვილად შევძლებ და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გავხდები. მინდა, ლოთარსაც გავასწრო, მაგრამ ეს უფრო ძნელი იქნება, რადგან გამოდის, რომ გერმანიის ნაკრებში კიდევ 47 მატჩი უნდა ჩავატარო,“ - აცხადებს კლოზე, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მას მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატამდე სურს გერმანიის ნაკრებში თამაში, მათეუსის რეკორდის დამხობა უტოპიად აღარ მოგვეჩვენება.

32 წლის მიროს კარიერაში ჩავარდნებიც ჰქონდა, მაგრამ... „ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს კარგი და ცუდი პერიოდები. მთავარია, სასოწარკვეთას არ მიეცე და ყოველთვის გჯეროდეს საკუთარი შესაძლებლობების,“ - ამბობს მირო, რომელმაც ისიც კარგად იცის, რომ თუკი უნდა, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყოს, სანაკრებო დონეზე მინიმუმ ერთი ტიტული მაინც უნდა მოიგოს. კლოზეს მიზანი 2012 წელს ევროპის, ხოლო 2014-ში კი მსოფლიოს ჩემპიონობაა.

| ბუნდესგუნდში ჩატარებული მატჩები | |
|---|---|
| 1. ლოთარ მათეუსი | 150 |
| 2. იურგენ კლინსმანი | 108 |
| 3. იურგენ კოლერი | 105 |
| 4. მიროსლავ კლოზე | 103 |
| 5. ფრანც ბეკენბაუერი | 103 |

| ბუნდესგუნდში გატანილი გოლები | |
|---|---|
| 1. გერდ მიულერი | 68 |
| 2. მიროსლავ კლოზე | 55 |
| 3. იოახიმ შტრაიხი | 55 |
| 4. იურგენ კლინსმანი | 47 |
| 5. რუდი ფიოლერი | 47 |

**გოტფრიდ ლენცი**



მიროსლავ კლოზე მათეუსისა და მიულერის რეკორდებს უმიზნებს

მოსალოდნელი ტრანსფერი

## ვან ბომელს მონტოლივო შეცვლის?

მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტან **მარკ ვან ბომელს** რეკორდმაისტერთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ცნობილია, რომ „პსვ ეინდჰოვენში“ დაბრუნებას გეგმავს. შესაბამისად, „ბაიერნის“ ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, მისი შემცვლელის ძებნა დაიწყონ და როგორც იტალიური „ტუტოსპორტი“ იტყობინება, ბავარიელებმა „ფიორენტინას“ და იტალიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **რიკარდო მონტოლივოს** დაუმიზნეს. ამ უკანასკნელის შეძენა კი „იუვენტუსს“, „ინტერს“ და „არსენალსაც“ სურთ. მონტოლივოს ფლორენციულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრავმა



ჟერმაინ დეფო

# დეფოსაც ძვირად დაუჯდა...

**თეო უოლკოტის** არ იყოს, „ტოტენჰემისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელ **ჟერმაინ დეფოსაც** ძვირი დაუჯდა შვეიცარიასთან გამარჯვება. მან მუხლის მყესები დაიზიანა და ახლა 6-კვირიანი უქმობა მოუწევს. შვეიცარიასთან თამაშზე მეტად დეფომ თავი გასულ პარასკევს, ბულგარეთის წინაალმდეგ გამოიჩინა - სამი გოლი გაუტანა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მას მერე ერთი კვირაც კი არ გასულა და ფორვარდმა შეიტყო, რომ ჩემპიონთა ლიგაში „სფურზის“ პირველი სამი თამაში და ინგლისი-ჩერნოგორიის შესარჩევი დაპირისპირება მის გარეშე ჩაივლის.

გამოდის, რომ ლონდონური გუნდის მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** ინგლისის ნაკრების გამო უკვე მეორე ფეხბურთელი დაკარგა, სატრანსფერო ფანჯარა კი დახურულია და ახალს ვერავის შეიმატებს.

პირველი, ვინც ნაკრებმა „სფურზს“ მოაკლო, მცველი **მაიკლ დოუსონი** გახლდათ. მას დეფოზე ცუდად აქვს საქმე, ბულგარელებთან შეხვედრაში მუხლის გარდა კოჭის მყესებიც დაუზიანდა და ორი თვე ექიმებთან უნდა იაროს. დეფო კი, მოგეხსენებათ, ისედაც საოპერაციო იყო - საზარდულის ტკივილი არ აძლევდა მოსვენებას - მაგრამ ამის მიუხედავად მაინც ჩინებულ ფორმაში გახლდათ.

კლუბსა და ნაკრებში ჩატარებულ ბოლო ექვს შეხვედრაში მან ოთხი გოლი გაიტანა, თუმცა შვეიცარიელებთან დაპირისპირების 70-ე წუთზე შეცვალეს. შემდეგ დეფო ინგლისში გუნდთან ერთად ჩაფრინდა და „ტოტენჰემშიც“ დათქმულ დროს გამოცხადდა, თუმცა კლუბის ექიმებმა შუადღისას მუხლზე რენტგენი გადაუღეს და ნახეს, რომ ფორვარდი ტრავმირებულია...

ჟურნალი
რომელსაც კითხულობენ
სექტემბრის ნომერი




ავტორთა ნაკრები:
აკა მორჩილაძე, ილია ბაბუნაშვილი, დათო ტურაშვილი, ელიშერ ბერაძე, ლაშა ბაბუნია, გაგა გობრონიძე, დავით ქოჩხირიძე, კოტე ჯანდიერი, ლელა ჯიქიაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ნინო რეხვიაშვილი...

ინგლისის ნაკრები

# კაპელომ ნასვლის დღე დათქვა...

## ანუ დაუბრუნეთ რიოს სამკლავური!

**რიო ფერდინანდი** ამბობს - როცა მოედანს დავუბრუნდები, **სტივენ ჯერარდი** ნაკრების კაპიტნის სამკლავურს დამიბრუნებსო. მაგრამ ფიქრობს კი ასე ინგლისელთა თავკაცი **ფაბიო კაპელო?** იტალიელი ჯერარდის კაპიტნობით აღფრთოვანებულია. ის დაჟინებით იმეორებს, რომ ლივერპულელი მსოფლიოს ჩემპიონატზეც დიდებული იყო და ევრო 2012-ის შესარჩევი ტურნირიც საუცხოოდ დაიწყო. ფერდინანდს ჟურნალისტებმა სწორედ ამის შესახებ ჰკითხეს. მანჩესტერელმა უპასუხა:

*„ვფიქრობ, დიდი დრო გავიდა მას მერე, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ვინმემ რამე ორაზროვნად თქვა. ბოლოს, როცა კაპიტნობაზე იყო ლაპარაკი, კაპელომ თავისი დამოკიდებულება ძალიან მკაფიოდ გამოხატა“.*

და მართლაც, აგვისტოში, როცა ინგლისის ნაკრებმა „უემბლიზე“ უნგრეთს ამხანაგურ შეხვედრაში 2:1 მოუგო, სინიორ ფაბიომ ასე ბრძანა: *„ჩვენი კაპიტანი რიოა, ჯერარდი კი ვიცე-კაპიტანი გახლავთ. იმედი მაქვს, ფერდინანდი მალე გამოჯანმრთელდება და ისევ გაიკეთებს კაპიტნის სამკლავურს“.*

მაგრამ მას მერე ინგლისელებმა ორი თამაში კიდევ უფრო შთამბეჭდავად მოიგეს: ბულგარელებს შინ 4:0 აჯობეს, შვეიცარიაში კი 3:1 გაიმარჯვეს. ამ სამშაბათსაც, ბაზელში ჩამოვარდა ამ ყბადაღებულ სამკლავურზე ლაპარაკი. კაპელომ თქვა:

*„ჩემთვის მთავარი მკლავზე შესაბმელი ზონარი კი არა, არამედ - ფეხბურთელია. როგორ თამაშობს ესა თუ ის მოთამაშე - აი, რას ვაქცევ ყურადღებას“.*

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი პასუხი? შესაძლოა, ფერდინანდისთვის სახიფათოს არაფერს, მაგრამ ინგლისურმა გაზეთებმა მაინც დასვეს კითხვის ნიშნები. თუ გახსოვთ, როცა კაპელომ ინგლისის ნაკრები ჩაიბარა, პირველ შეხვედრაში კაპიტნად სწორედ ჯერარდი დანიშნა, მაგრამ მაშინ ლივერპულელმა ყოჩის თვისებები ვერ გამოამჟღავნა და შეცვალეს...

თუმცა კაპიტნობა კაპიტნობად და, კაპელომ საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან კითხვასაც გასცა პასუხი: 2012-ში ევროპის ჩემპიონები რომც გავხდეთ, თანამდებობიდან გადავდგებიო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაფლავების შემდეგ ინგლისში ბევრი ითხოვდა იტალიელის მოშორებას, მაგრამ კონტრაქტი კონტრაქტია, მისი დარღვევა კი იმას ნიშნავს, რომ დამრღვევმა მხარემ ფული უნდა გადაიხადოს. და რამდენია კაპელოს ხელფასი? წელიწადში 6 მილიონი გირვანქა, ანუ 9.3 მილიონი ამერიკული დოლარი.

შესაბამისად, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ამ თანხის ასე უბრალოდ გადაყრას და ზედაც ახალი მწვრთნელისთვის ხელფასის დანიშვნას მოერიდა. მერედა, ვინ უნდა მოეყვანათ ისეთი, საქმე კაპელოზე უკეთ რომ ეცოდინებოდა? ვერავინ. გამოვიდოდა, რომ ამხელა სპეციალისტი გაუშვეს, უზარმაზარი ფული ისე უბრალოდ გაატანეს და თან მოიყვანეს ვილაც ახალი, რომელიც ან მოიგებს ან ვერა და არანაკლებ ხელფასსაც ჩაიჯიბავს.

*„ახლა ყველაფერს თავიდან ვიწყებ. როცა გერმანიასთან დავმარცხდით და მსოფლიოს ჩემპიონატი დავტოვეთ, გარშემო ძალიან ცუდი ატმოსფერო იყო. ახლა ფეხბურთელების ახალი ჯგუფი შემოვიკრიბე, მათ გამარჯვებულის მენტალიტეტს ვუნერგავ და ატმოსფეროც უკვე სულ სხვაა. რაც შეეხება ჩემს კონტრაქტს, ის პრობლემას არავის შეუქმნის. იმ დროისთვის უკვე მოხუცი ვიქნები და სიამოვნებით მივეცემი პენსიონერის ცხოვრებას“.*



ფაბიო კაპელო და რიო ფერდინანდი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# გზა მშვიდობისა, გერი...

„ბოლტონის“ მწვრთნელი **ოუენ კოილი** შიშობს, რომ **გერი კეჰილს** წაართმევენ - 24 წლის მცველი **ფაბიო კაპელოს** ნაკრებში ჰყავდა გამოძახებული და ამან ის საყოველთაო ყურადღების საგნად აქცია. „ასტონ ვილას“ ყოფილ ფეხბურთელს ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ იუნაიტედიც“ უსაფრდებოდა და „არსენალიც“, რომელსაც ბოლტონელები ხვალ ეთამაშებიან, თუმცა არის საშიშროება (თუმცა გააჩნია, ვისთვის), რომ კეჰილის მსურველთა რიგებს „ინტერიც“ შეუერთდება. საქმე ისაა, რომ 188 სმ სიმაღლის ფეხბურთელი ძალიან მოსწონს „ლივერპულის“ ყოფილ თავკაც **რაფა ბენიტესს**, ის კი, მოგეხსენებათ მილანში გადაბარგდა. კაპელომ კეჰილი გასულ პარასკევს, „უემბლიზე“ ბულგარელებთან 4:0-ზე მოგებულ შეხვედრაში შეცვლაზე შეიყვანა. ამ, თითქოსდა უბრალო ამბავმა, ფეხბურთელის ფასი 17,5 მილიონ ფუნტამდე (21,3 მილიონი ევრო) გაზარდა. თავად ფეხბურთელს ეს რასაკვირველია, ესიამოვნა კიდეც, კოილი კი შეშფოთდა. მწვრთნელმა განაცხადა:

*„აუცილებლად დადგება დღე, როდესაც გერი კეჰილი ჩვენგან სხვა კლუბში გადავა. მოგეხსენებათ, ასეთ საკითხებს თანამედროვე ფეხბურთში ფინანსები განაპირობებს. აქ, მე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია - დიდი იმედი მაქვს, ეს დღე ახლა იანვარშივე არ დადგება, ზოგადად კი ამ ბიჭს პრემიერლიგის ოთხი უძლიერესი გუნდიდან ნებისმიერში შეუძლია თამაში. ერთი სიტყვით, როდესაც გერის ჩვენი ლიგის ძლიერები მიიწვევენ, წინ ვერაფრით აღვუდგებით და გზას დავულოცავთ. ის საუცხოო ფეხბურთელია. გუნდს თავდადებით ემსახურება. და იცით, რატომ მიიპყრო ამდენი გუნდის ყურადღება? იმიტომ, რომ ჩემს ხელში რეგულარულად თამაშობდა. მე ყოველთვის ერთსა და იმავეს ვიმეორებ, თუ ფეხბურთელი საქმეში გულს აქსოვს, ჩემთვის საუკეთესოა. სწორედ ამიტომ გერის გზაზე არც გადაველობები“.*

„ბოლტონთან“ დაკავშირებით კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ ამ გუნდის 18 წლის ფორვარდის **დენი უორდის** სეზონის ბოლომდე ქირაობა ჩემპიონშიპის კლუბებს „მილუოლსა“ და „ქოვენთრისაც“ უნდათ. ამ გაქირავების წინააღმდეგი არც კოილია. ის ფიქრობს, რომ ყმაწვილკაცი ასე გამოცდილებას შეიძენს.



გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიუბილეო ინტერვიუ

## ფრანც ბეკენბაუერი

# ცხოვრება ერთი დღესავითაა...



## კაიზერი 65 წლის ხდება, მაგრამ თავს პენსიონერად არ გრძნობს და არც სიკვდილის ეშინია

**ფრანც ბეკენბაუერი** ერთადერთი გერმანელია, რომელსაც შეუძლია, ჩრდილოეთ კორეაში პასპორტის გარეშე იმოგზაუროს. იყო ფრანცი, ნიშნავს, იყო გერმანული ფეხბურთის და სრულიად გერმანიის სახე. გერმანიისთვის და გერმანული ფეხბურთისთვის ის ყველაფერია: მელა, მგელი, არწივი, ლომი. კაიზერი წესრიგის, მშვიდობის, პასუხისმგებლობის, იდეალურობის სახეცაა.

**ხვალ ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი 65 წლის ხდება. „ბილდში" გამოქვეყნებული ინტერვიუც, განსაკუთრებული, მართლა საიუბილეო გამოვიდა.**

**- ჰერ ბეკენბაუერ, შაბათს 65 წლის ხდებით. რამდენია თქვენი პენსია?**

- პენსიონერი არ ვარ! სხვათა შორის, საპენსიო დანაზოგიც არასდროს გამიკეთებია. აქტიური სპორტული კარიერის დროს, ფეხბურთელებს შეეძლოთ საპენსიო გადასახადისგან გათავისუფლება და რაც უნდა გასაკვირი იყოს, ასეც მოვიქეცი. ასე რომ, პენსია არც არასდროს დამენიშნება.

**- მაგრამ თავს პენსიონერად გრძნობთ, ასე არ არის?**

- 65 წლის ასაკში მყოფი ადამიანი თავს ისე ვერ იგრძნობს, როგორც 18-19 წლის ბიჭი - ეს ფაქტია. მაგრამ არც ისეა საქმე, ბევრს რომ ჰგონია. ჩემთვის პენსიონერი თითქმის უმოქმედო, ლიპიან კაცთან ასოცირდება. მე კი სულ აქეთ იქით დავრბივარ, ვვარჯიშობ კიდეც და თავს ისე ვგრძნობ, როგორც 50 წლის ასაკში ვგრძნობდი - მხნედ, თავისუფლად, ჯანმრთელად და სპორტულად. ასაკის მატების გამო არასდროს მინერვიულია. ჩემი მეგობრები დამრგვალებულ საიუბილეო თარიღებს ვერ იტანენ, მე კი არც მაშინ მქონდა პრობლემა, როცა 50 წლის გავხდი და არც მაშინ მექნება, როცა 70 წლის გავხდები. ცხადია, ვისურვებდი, რომ ცხოვრების მატარებელი უფრო ნელა მიდიოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ არის - ძალიან სწრაფად მიექანება.

**- ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაში ხართ და საინტერესოა, როგორ ახერხებთ ამას 65 წლის ასაკში?**

- ფეხბურთი 20 წელია აღარ მითამაშია და ვერც დავიჩემებ, რომ მოედანზე სირბილი შემიძლია. სამაგიეროდ, ძალიან ხშირად ვთამაშობ გოლფს და ვცდილობ, ფორმა რაც შეიძლება დიდხანს შევინარჩუნო. გარდა ამისა, ძალიან ხშირად დავხეტიალებ მთებში და როცა სახლში ვარ, მაშინაც ვვარჯიშობ ხოლმე. სულ ესაა, ამიტომაც ვარ კარგ ფორმაში.

**- ადამიანს ასაკი რაც უფრო ემატება, მით უფრო ხშირად ფიქრობს ხოლმე სიკვდილზე. თქვენ ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა! თანაც, ყოველდღე. არ არსებობს ადამიანი, ვინც სიკვდილზე არ ფიქრობს და მით უმეტეს მაშინ, როცა უკვე 65 წლისაა. სიკვდილი ხომ გარდაუვალია. სამაგიეროდ, მე შემიძლია ვთქვა, რომ სიკვდილის არ მეშინია. უბრალოდ ვიცი, რომ ერთხელაც ყველაფერი დამთავრდება. ერთ-ერთ წიგნში წავიკითხე და სრულიად ვეთანხმები ამ მოსაზრებას: ცხოვრება ერთი დღესავითაა, საღამოს დაღლილი რომ ხარ და დაძინება გჭირდება, ისეა ცხოვრებაც - ბოლოს უკვე ცხოვრებისგან ხარ დაღლილი.

**- თქვენ ცხოვრებისგან დაღლილი ხართ?**

- ჯერ არა. ამიტომაც, სიკვდილს ჯერ არც ვაპირებ (იცინის).

**- ლოცულობთ ხოლმე?**

- აუცილებლად, თანაც, ყოველდღე. მაგრამ ღმერთს არაფერს ვთხოვ! ეს სამადლობელი ლოცვებია. გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემნაირი ცხოვრება ძალიან ცოტას თუ ჰქონია. თანაც, 45 წელია, აბსოლუტურად სრულყოფილი და უპრობლემო ცხოვრება მაქვს. შესაბამისად, ვალდებული ვარ, რომ მადლობელი ვიყო. ჩემი ლოცვები მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ღმერთს ყოველდღე მადლობას ვეუბნები. ყველაფრისთვის!

**- ანუ, მორწმუნე ადამიანი ხართ და ეჭვი არ გეპარებათ, რომ ღმერთი არსებობს.**

- ერთ დღესაც ყველანი შევიტყობთ, რა და როგორ არსებობს სინამდვილეში, ან არსებობს თუ არა. სიკვდილამდე კი, ასი პროცენტით დარწმუნებული ვერავინ ვერაფერში იქნება. მე ვამბობ, რომ არ ვიცი, შევხვდებით თუ არა მაგალითად თქვენ და მე სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს ყველაფერი დამთხვევა და შემთხვევითობა არ არის. მე მჯერა ძალის, დიდი ძალის, რომელიც ჩვენ, ადამიანებს გვმართავს. ჩვენ საიდანლაც, დაუსრულებელი სივრციდან მოვდივართ და ჩვენი სულები იქვე დაბრუნდებიან. არ ვიცი, რამდენად სწორად გამოვხატავ ჩემს აზრს, მაგრამ დაახლოებით ასე ვფიქრობ. შესაბამისად, მჯერა მფარველი ანგელოზის არსებობისაც და ვხვდები, რომ მე არა ერთი, არამედ რამდენიმე მფარველი ანგელოზი მყავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ცხოვრება ასე პოზიტიურად არ წარიმართებოდა.

**- რამდენადაც ვიცით, თქვენ ასტროლოგიითაც სერიოზულად ხართ დაინტერესებული და ჰოროსკოპსაც მუდმივად ეცნობით.**

- სწორი ინფორმაცია გაქვთ, მაგრამ ჰოროსკოპს გაზეთებში არ ვკითხულობ. ჩემი ყოფილი მეუღლე დიანე ზანდმანი ასტროლოგიაში ძალიან გარკვეულია და მუდმივად პერსონალურ ჰოროსკოპს მიდგენს ხოლმე. სიმართლე გითხრათ, ხანდახან სწორედ ჰოროსკოპის მიხედვით ვმოქმედებ. მე მჯერა, რომ დაბადების თარიღი და დრო ადამიანის ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს. ჰოროსკოპით ქალწული ვარ და როცა ქალწულთა დახასიათებას გავეცანი, გავოგნდი - ყველაფერი დაემთხვა. მამრი ქალწულები ძალიან პასუხისმგებლიანი, ერთგული, წესრიგის მოყვარული და სანდო ადამიანები, ამავდროულად, მგრძნობიარეები და ძალიან ფრთხილები ვართ - არაფერს ვაკეთებთ მანამდე, სანამ ასი პროცენტით არ ვიქნებით ქმედების სისწორესა და საკუთარ უსაფრთხოებაში დარწმუნებული.

**- ვფიქრობ, ამ კითხვის დასმას აზრი აღარ აქვს, მაინც შეგეკითხებით: თქვენს ცხოვრებაში რაიმეს შეცვლიდით?**

- არაფერს! მიუხედავად იმისა, რომ მწუხარებაც ბევრი მქონდა, რადგან ბევრ საყვარელ ქალს დავშორდი, მაინც არაფერს შევცვლიდი. დღეს ყოფილ მეუღლეებთან თუ მეგობარ ქალებთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადად კი, ცხოვრებაში ყველაზე მეტად ჩხუბს ვერ ვიტან. სამაგიეროდ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მშვიდობაა.

**- ანუ, კაიზერ-ფრანცი ასაკში რომ შევიდა, დამშვიდდა?**

- რა თქმა უნდა და ზუსტად ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. შესაძლოა, ადრე ჩემი ცხოვრება უფრო საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე იყო, სამაგიეროდ, დღეს გაცილებით ინტენსიური და ნაყოფიერი ცხოვრება მაქვს. ეს ყველაფერი კი ჩემი ბავშვების დამსახურებაა. ჯოელი ახლა 10 წლისაა, ფრანჩესკა კი ექვსის - მათზე ზრუნვა კი ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა.

**- რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც ცხოვრებაში გაგიკეთებიათ?**

- პატივი ეცი სხვა ადამიანებს! როცა სხვის მიმართ კარგად ხარ განწყობილი და მეგობრულად ექცევი, შენ არაფერი გეკარგება. სამაგიეროდ, შენ მიმართ სხვებიც კარგად განეწყობიან და ისინიც პატივს გცემენ.

**- ალბათ სწორედ ასეთი მიდგომის დამსახურებაა ის, რომ აგერ უკვე 45 წელია, რაც ყველაზე პოპულარული და პატივსაცემი გერმანელი ხართ...**

- შესაძლოა. ფაქტი ის არის, რომ მტრები არ მყავს. ყოველ შემთხვევაში, მე გამოვრიცხავ, რომ მტრები მყავდეს. მართალი ხართ, ეს ალბათ იმის დამსახურებაა, რომ ყველა ადამიანს პოზიტიურად ვუყურებ და ვხვდები.

**- რას აპირებთ 65 წლის ასაკში?**

- მინდა, რომ ჩემი ცხოვრება კიდევ უფრო დავალაგო და მოვაწესრიგო. 45 წელია, ქაოსში ვარ და ეს პრობლემა დღემდე ვერ მოვაგვარე. ძალიან ბევრს დავდივარ, უამრავ ადამიანს ვხვდები და ყველასთან ურთიერთობებს ვამყარებ. იცით, რაღაცაზე უარის თქმა ძალიან მიჭირს - ყოველთვის ასეთი ვიყავი. ახლა კი მართლა დროა, რომ ცოტათი დავისვენო. მოვალეობების დიდი ნაწილისგან უნდა გავთავისუფლდე. მინდა, რომ ოჯახისთვის მეტი დრო დამრჩეს. სიმართლე გითხრათ, ახლა მხოლოდ ერთი სამსახური მინდა მქონდეს და კერძოდ, ჩემი საქველმოქმედო ფონდი.

**- კიდევ რა მიზნები აქვს ფრანც ბეკენბაუერს?**

- მეტი არც არაფერი. კიდევ რა მიზნები უნდა მქონდეს? მე ყველაფერი გამოვცადე, ყველაფერი გამოვიარე - ამაზე მეტი უბრალოდ არ არსებობს. ფრანჩესკა მომავალ კვირაში სკოლაში უნდა მივიყვანოთ და ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება ჩვენს სახლში ამასთან დაკავშირებით. სრული ქაოსია! ფრანჩესკას სკოლაში მიყვანა ჩემთვის ახლა ასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი საფეხბურთო მატჩი ან ყრილობა. ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, რომ სიკვდილამდე ბედნიერი ვიქნები.

**- მაშინ გაგვაცანით თქვენი ბედნიერების ფორმულა.**

- ბედნიერების ფორმულა არ არსებობს. ბედნიერება ფანჯრიდან არ შემოფრენილა! მთავარია სურვილი და მონდომება - ადამიანმა ბედნიერებას თვითონ უნდა მიაღწიოს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## სკანდალი



ჰელენ ვუდი და ჯენიფერ ტომპსონი

# რუნის და მამიკოს გოგოები

ადრე **უეინ რუნის** სექს სკანდალთან დაკავშირებულ ერთ-ერთ წერილში მოგახსენეთ, რომ ინგლისურ პრესაში ბევრი ისეთი დეტალი იბეჭდება, რომლის „ლელოში“ გამოქვეყნება ზედმეტად მიგვაჩნია. მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს ქართველი მკითხველისთვის, კერძოდ, როგორ უღალატა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა ფეხმძიმე ცოლს, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი რამ მაინც უნდა გვეთქვა, უფრო სწორად, გაკვრით მაინც გვეხსენებინა 23 წლის მეძავი **ჰელენ ვუდი**, რომელიც რუნის სკანდალის ერთ-ერთი მთავარი გმირის **ჯენიფერ ტომპსონის** მეგობარია და... უეინის ვნების დაცხრობაში ჯენისთან ერთად ერთხელ მონაწილეობაც მიიღო. ამ უხამსი დეტალის ხსენება კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ბრიტანულ მასმედიაში თემა ასე გაგრძელდა: მეძავთა მშობლებმა რუნის მეუღლეს, **კოლინს** ოფიციალური ბოდიში მოუხადეს, ხოლო ფსიქოლოგებმა დიდრონი სტატიები გამოაცხვეს იმის შესახებ, თუ რატომ ხდებიან ასეთი ოჯახების შვილები ფასიანი კახპები...

დავაზუსტოთ: ჯენიფერ ტომპსონის მამა მსხვილი ნავთობკომპანიის ერთ-ერთი წამყვანი ინჟინერი და აღმასრულებელი შეფია, ხოლო ჰელენ ვუდისა - სელფორდის უნივერსიტეტში ლექტორია, მუსიკას ასწავლის.

შვილის საქციელით განადგურებულმა მშობლებმა **ჰემიშ ტომპსონმა** და მისმა პოლონელმა მეუღლე **დანუტამ** პორტუგალიაში შვებულება შეწყვიტეს და სასწრაფოდ ინგლისს დაბრუნდნენ. როგორც გაირკვა, ჰემიშსა და დანის წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ მათი ქალიშვილი, რომელსაც საჯარო კი არა, ძვირად ღირებული კერძო განათლება მისცეს, მეძავი იყო და ერთი ღამის მომსახურებაში 1 200 ფუნტს იღებდა. შინ დაბრუნებული მშობლები შვილს სკანდალის შემდეგ პირველად შეხვდნენ და... მათ სახლში რა მოხდა, ყოვლისმცოდნე ინგლისური პრესისთვის ჯერ ცნობილი არ არის, ოფიციალური განცხადება კი დაწერეს და გამოაქვეყნეს. სხვათა შორის, საინტერესო განცხადებაა:

*„ჩვენი შვილის ჯენიფერის შესახებ გაზეთებში სტატიები გამოქვეყნდა, რომელთა შინაარსიდან გამომდინარე, გვინდა გულწრფელი ბოდიში მოვუხადოთ კოლინ რუნისა და მის ოჯახს. რასაც ახლა ვიტყვით, შეიძლება ვერც დაიჯეროთ, მაგრამ გვერწმუნეთ, ჩემი მეუღლე და მე ვერასდროს შევეგუებით იმას, რაც მოხდა, ან კიდევ შეიძლება მოხდეს. წარმოდგენა არ გვქონდა იმის შესახებ, რაც გაზეთებში ეწერა. ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ საკითხის საჯარო განხილვაში მონაწილეობას აღარ მივიღებთ. ბოლო რამდენიმე დღემ ჩვენზე გამანადგურებლად იმოქმედა, მაგრამ ჯენიფერი ჩვენი შვილია, ჩვენ ის გვიყვარს და იმედია, მოგვცემთ საშუალებას, პრობლემას მივხედოთ როგორც ოჯახმა და არა - მასმედიის საშუალებით“.*

უწინაც გითხარით, რომ ჯენიფერ ტომპსონს სამი ძმა ჰყავს - **ჩარლზი**, რომელსაც ჩვენთვის ცოტა გაუგებარი პროფესია (პირადი მწვრთნელი) აქვს, სტილისტი **ალექსანდერი** და დრამის ფაკულტეტის სტუდენტი **მაქსი**. ალექსმა ცოცხალი თავით არ დაიჯერა, რომ მისი და მეძავია, უბრალოდ, ლამაზი გოგოა და ბიჭები დასდევენო, უთხრა ჟურნალისტებს. ტომპსონების ოჯახს ბოლტონში 400 ათასად ღირებული სახლი აქვთ.

რაც შეეხება ჰელენ ვუდის ლექტორ მამას, მისტერ სტივენს, მან თქვა: *„ჰელენმა სახლი 16 წლისამ დატოვა. ის ბოიფრენდთან გადავიდა საცხოვრებლად და მას მერე შვილთან ურთიერთობა აღარ მქონია. წარმოდგენა არ მაქვს, რას აკეთებს და რითი ცხოვრობს, თუმცა ძალიან ვწუხვარ, რომ მისმა საქციელმა ამდენი პრობლემა წარმოშვა. ჩვენი ოჯახის ისტორია ძალიან ტრაგიკულია და გული მტკივა, ჩემმა შვილმა სხვებსაც რომ გაუფუჭა ცხოვრება“.*

მეტისმეტად ჭორიკანა გაზეთებმა კი მთელი ინგლისი შემოირბინეს, იქნებ ვინმეს სადმე კიდევ ჰქონდეს ფოტო - რუნი ახალ ქალთან რომ იქნება გადაღებულიო, და რაღაც მართლა გამოჩხრიკეს, ოღონდ... ამ სურათით არაფერი მტკიცდება. უბრალოდ ვიღაცამ თქვა ერთ-ერთ წვეულებაზე **რიო ფერდინანდის** რესტორანში უეინი ამ ქალს ეპრანჭებოდაო. რუნის მავანმა მეგობარმა კი ტაბლოიდებს საგანგებოდ განუცხადა: „უეინმა კოლინსაც გულწრფელად უთხრა, რომ ამის მეტი სასიყვარულო თავგადასავალი არ ჰქონია. დაუჯერებს თუ არა, ეს უკვე კოლინის საქმეა“.

**ილია ბაბუნაშვილი**

## ყვითელი ამბავი

# არც ცოლი, არც გელფრენდი

დორტმუნდის „ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** გერმანული „ბილდის“ ჟურნალისტს თავისი პირადი ცხოვრების ერთი დეტალი გაანდო, რომელმაც მთელი გერმანიის ყურადღება მიიპყრო. 30 წლის გოლკიპერის თქმით, ის ეძებს *„ნამდვილ ქალს, ოღონდ არა გასართობად, არამედ თანაცხოვრებისთვის“.*

ვაიდენფელერის გულახდილობამ სრულიად გერმანიის სუსტი სქესის წარმომადგენელთა თავისუფალი, მარტოხელათა ნაწილი ააფორიაქა - რომანს არც გარეგნობა დაეწუნება, არც ფინანსური მდგომარეობა, თან მთელი ქვეყნის მასშტაბით დამსახურებული და პოპულარული კაცია...

მერე კი გაირკვა, რომ „ბორუსიას“ რიგებში მარტოხელა მხოლოდ ვაიდენფელერი როდია. კიდევ სამია ასეთი...

21 წლის **შინჯი კაგავა** დორტმუნდში იაპონიიდან აგვისტოში ჩავიდა, მაგრამ ქალებზე ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებობს: *„გაოგნებული ვარ დორტმუნდში ლამაზი ქალების სიმრავლით. განსაკუთრებით ქერათმიანი გოგონები მომწონს“.*

თუმცა, იაპონელ ნახევარმცველს ჯერჯერობით არ სცალია „არასაფეხბურთო“ კავშირების დასამყარებლად: *„ამ ეტაპზე მხოლოდ ფეხბურთზე ვარ კონცენტრირებული. თავისი უნარების განვითარებას მხოლოდ ის ახერხებს, ვინც თავდაუზოგავად შრომობს“.*

ეს დევიზი დორტმუნდული კლუბის მეორე მეკარე **მიტჩელ ლანგერაკსაც** მოუხდება, ვისაც მშობლიური მელბურნისგან და, შესაბამისად, ოჯახისგან 16 355 კილომეტრი აშორებს. თუმცა მარტოობა მას ჯერჯერობით არ აწუხებს.

*„აქ გულღია, კეთილი ხალხი ცხოვრობს. მე ეს მომწონს“*, - თქვა 22 წლის ავსტრალიელმა. უნდა ითქვას, რომ ლანგერაკი დორტმუნდელი გოგონების საოცნებო მამაკაცად მიიჩნევა...

სერბი მცველი **ნევენ სუბოტიჩი** „ბორუსიას“ ორი წლის წინათ შეუერთდა და იმხანად მისი გული ჭოკით მხტომელ **ლიზა რიჟიხს** ეკუთვნოდა, - გერმანიაში გადასახლებულ რუს გოგონას. მათი ურთიერთგატაცება ხანმოკლე აღმოჩნდა, თუმცა სუბოტიჩი ამბობს, მე და ლიზა მეგობრებად დავრჩითო. *„როცა ლიზამ ბარსელონაში ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მე პირველი ვიყავი, ვინც SMS-ით მიულოცა“*, - იხსენებს 21 წლის მცველი.

ასეა - დორტმუნდის „ბორუსიის“ მხოლოდ ოთხი ფეხბურთელია მარტოხელა და გერმანული ყვითელი პრესის ფლაგმანი „ბილდი“ მოუთმენლად ელის, თუ ვინ გამოაკლდება პირველი ამ უცოლოთა და უგელფრენდოთა კვარტეტს...

**სლავა გასპაროვი**



ნევენ სუბოტიჩი და ლიზა რიჟიხი

## ნოვაცია

# MESTALLA: GUANYAR, GUANYAR I GUANYAR!

ვალენსიის „მესტალიაზე“ საინტერესო სიახლეა - საფეხბურთო მოედნისკენ მიმავალი გვირაბის ჭერსა და კიბეზე ფეხბურთელების გამამხნევებელი წარწერები გაჩნდა.

*„როცა ლივერპულის სტადიონ „ენფილდზე“ ხართ და მოედანზე გასასვლელად ემზადებით, მისკენ მიმავალ გვირაბში უკანასკნელი, რაც თქვენს ყურადღებას იპყრობს, არის წარწერა „This is Anfield“ - „ეს ენფილდია“*, - ამბობს „ვალენსიას“ წარმომადგენელი, - *ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მსგავსი რამ „მესტალიაზეც“ გაეკეთებინა. ამიერიდან, ვიდრე მინდორზე გავლენ, ჩვენი ფეხბურთელები შემდეგ ფრაზას წაიკითხავენ: „Mestalla: Guanyar, Guanyar i Guanyar!“ („მესტალია: გამარჯვება, გამარჯვება და გამარჯვება!“). როცა ასეთ მოწოდებას წაიკითხავს, ფეხბურთელი წესითა და რიგით, საკუთარი ძალების უფრო მეტად უნდა ირწმუნებს და მოედანზე მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრით გავა. იმედია, ასეც იქნება“.*

ზემოთ მოყვანილი ფრაზა გვირაბის ჭერზეა, ხოლო კიბის საფეხურებზე ყველა საკლუბო ტიტული და მიღწევაა აღბეჭდილი - ესპანეთის ექვსი ჩემპიონობა, ესპანეთის შვიდი „სამეფო თასი“, ესპანეთის ორი სუპერთასი, უეფას სამი თასი, თასების მფლობელთა თასი და ევროპის ორი სუპერთასი.

**სლავა გასპაროვი**

## ტრანსფერი

# ნაპოლი ყველა არგენტინელის ოცნებაა

„ნაპოლის“ არგენტინელი ნახევარმცველის **ხოსე ერნესტო სოსას** აგენტმა **ფაბიო ბილარდომ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი კლიენტი ნეაპოლში გადაბარგებას დიდ იმედებს უკავშირებს და იქაურ კლუბში წარმატებული თამაშით არგენტინის ნაკრებში მოხვედრას შეძლებს. შეგახსენებთ, რომ 25 წლის სოსამ ბოლო ნახევარი წელიწადი „ესტუდიანტესში“ გაატარა, სადაც მიუნხენის „ბაიერნმა“ გაანათხოვრა. აგვისტოში კი მისი კონტრაქტი „ნაპოლიმ“ გამოისყიდა...

*„ხოსეს ირგვლივ ნეაპოლში დიდი მოლოდინია. მისი პერსონა ქალაქში დიდ ინტერესს იწვევს. სოსა ძლიერი ფეხბურთელია, წესით, მას წარმატებული სეზონი უნდა გამოუვიდეს, - თქვა ფაბიო ბილარდომ, - მწვრთნელ ვალტერ მაცარისთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. ხოსე გერმანიის ჩემპიონატის თავისებურებებს ვერ მოერგო, აი იტალიური პირველობა კი სულ სხვაა, ხოლო „ნაპოლის“ ღირსების დაცვა ნებისმიერი არგენტინელი ფეხბურთელის ოცნებაა. სოსას მიზანთა შორის კლუბში კარგი თამაშის გზით ნაკრებში დამკვიდრებაცაა - ხომ გვახსოვს, რომ ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე სულ ცოტა დააკლდა“.*

**სლავა გასპაროვი**

## გაზეთის დაბეჭდვამდე

# გეკასმა ნაკრები დატოვა

საქართველოს ნაკრების მეტოქე საბერძნეთის ეროვნული გუნდის ფორვარდმა **თეოფანის გეკასმა** გადაწყვიტა, ქვეყნის მთავარი გუნდის მაისურა აღარ ჩაიცვას და კარიერის ბოლო წლები მხოლოდ საკლუბო ფეხბურთს დაუთმოს. 30 წლის ფორვარდი, რომელსაც საბერძნეთის ნაკრებში 52 მატჩი ჩაუტარებია და 20 გოლიც გაუტანია, მესამე ბერძენი ფეხბურთელი გახდა, ეროვნული გუნდი **ფერნანდო სანტუშის** მოსვლის შემდეგ რომ დატოვა.

# დამატებითი დრო აღარ იქნება?

ფიფა რევოლუციურ პროექტს განიხილავს. როგორც **ზეპ ბლატერმა** განაცხადა, მოსალოდნელია, რომ 2014 წლის მუნდიალზე, პლეი ოფის მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში, პირდაპირ 11-მეტრიანების სერია დაინიშნოს, ან აღდგეს „ოქროს გოლის“ წესი, რომელიც 1998 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოქმედებდა. ამ ცვლილებებზე ფიფას აღმასკომი 28-29 ოქტომბერს, ციურიხის სხდომაზე იმსჯელებს.

# ლა ვოლპეს კოსტა რიკა ჩააბარეს

არგენტინელი სპეციალისტი **რიკარდო ლა ვოლპე**, რომელიც 2006 წლის მუნდიალზე მექსიკას თავკაცობდა, კოსტა რიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ლა ვოლპე თვეში 50 ათას დოლარს მიიღებს, კონტრაქტი კი 4-წლიანია. ახალი მწვრთნელის ამოცანა გარკვეულია - კოსტა რიკის ნაკრებმა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის მთავარ გუნდს 1990, 2002 და 2006 წლების მუნდიალებზე უასპარეზია.

**სლავა გასპაროვი**

## უკრაინა

# მარკევიჩი: უცხოელი? ფული არ ეყოფათ...

უკრაინის ნაკრების ექსთავკაცმა **მირონ მარკევიჩმა** განაცხადა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას არ აღმოაჩნდება საიმისო თანხა, რათა მის მიერ დატოვებულ თანამდებობაზე უცხოელი სპეციალისტი მოიყვანოს.

*„უცხოელი? უცხოელ მწვრთნელს 20-30-ჯერ მეტი უნდა უხადო, ვიდრე მირონ მარკევიჩს. მეეჭვება, ფედერაციაში ამხელა ფული იყოს. თანაც იბადება კითხვა - რას მოგვცემს უცხოელის დანიშვნა? სანამ საქმის კურსში ჩადგება... სანამ ის, სანამ ეს... მაგრამ... ეს არაა ჩემი საქმე. ჩემი გონება „მეტალისტითაა“ დაკავებული, ხოლო ნაკრებზე ისე ვსაუბრობ, როგორც რიგითი გულშემატკივარი. ნაკრების ბედი ყოველთვის ამაღელვებს. გუნდის ამჟამინდელ დამრიგებელ იური კალიტვინცევთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ან როგორი უნდა მქონდეს? მას პატივს ვცემ - როგორც ფეხბურთელს და როგორც მწვრთნელს. იმედია, ისიც იმავეს იტყოდა ჩემზე. მწვრთნელის პროფესია კი ასეთია: დღეს მოიგე და გმირი ხარ, ხვალ წააგებ და ყველაფერი შენ დაგბრალდება. ამისთვის მზად უნდა იყო. ეს ეტაპი გავლილი მაქვს, კალიტვინცევი კი გზის დასაწყისშია“*, - თქვა მარკევიჩმა, ვინც აგვისტოში უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წავიდა.

**სლავა გასპაროვი**

● ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მორიგი სირცხვილი

ქართულ ძიუდოს ესღა აკლდა - **ირაკლი ცირეკიძემ** ტოკიოში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კუბელ **ორეიდის დესპანიესთან** შეხვედრაზე დაიგვიანა და წაგება ჩაეთვალა! ქართული სპორტი ერთხელ უკვე გაეხვია მსგავს სამარცხვინო ისტორიაში და მაშინაც ძიუდოს გამო - 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზე მძიმეწონოსან ოლიმპიურ ჩემპიონ **დავით ხახალეიშვილს** ანონვაზე დააგვიანდა და უმთავრესი ფავორიტი ტურნირს დაწყებამდე გამოეთიშა. ქომაგს ჯერ ის ამბავი ვერ მოუნელებია და ნამდვილად არ გვეგონა, ასეთსავე ვითარებაში თუ აღმოვჩნდებოდით. თუმცა ახლანდელი შემთხვევა წინამორბედზე მძიმეა - მაშინ სასტუმროდან დარბაზში მისვლა დააგვიანდათ, ახლა კი ცირეკიძე დარბაზში იყო და კუბელამდე ორი შეხვედრაც მოიგო.

> **რატომ უნდა გვექცეს მსგავსი სამარცხვინო ფაქტები სინდრომად? მომხდარი ხომ ისედაც უნიკალურია, მწვრთნელის განმარტება კიდევ უფრო გასაკვირი იყო. ისიც საკითხავია, სხვა მწვრთნელები რას აკეთებდნენ ამ დროს?**

უცნაური პარალელებია - მაშინაც და ახლაც უსიამოვნება ქუთაისელ ძიუდოისტებს შეემთხვათ. თანაც ორივე შემთხვევაში დაზარალებულის როლში ოლიმპიური ჩემპიონები გამოვიდნენ...

ტოკიოში მსოფლიოს ჩემპიონატი გუშინ დაიწყო და ჩვენთვის პირველივე დღე ფატალური აღმოჩნდა. თითქოს უმედლოდ დარჩენა არ გვეყოფოდა და ცირეკიძის ამბავი ხომ მთლად სამარცხვინო ფაქტია - კიდევ ერთხელ გავხდით დასაცინნი მსოფლიოში. ჩრდილოელმა მეზობლებმა აკი უმალ აიტაცეს ეს თემა - რეპორტაჟშიც აღნიშნეს, ატლანტას ამბავიც გაიხსენეს და საიტებზეც მყისიერად გამოაქვეყნეს ცნობა.

ნაკრების თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმა** სატელევიზიო კომენტარში მომხდარის დეტალები ასე განმარტა - როცა ცირეკიძეს საჭიდაოდ უხმეს, კიმონოს გამოცვლა ვერ მოასწრო და მხოლოდ ერთი წუთი დაგვაგვიანდაო!!! ყველაფერს ვიფიქრებდით ასეთი პასუხის გარდა... მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ ზუსტად არ იცოდნენ, როდის უწევდა ცირეკიძეს გამოსვლა და ვერც მომზადებულები შეხვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოცხადების მერე კი არ დაუწყებდნენ კიმონოს ძებნას, ადრევე დაიჭერდნენ თადარიგს და სპორტსმენი მოთელვასაც მოასწრებდა. მიმაჩნია, რომ არ უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი ეგრეთ წოდებულ მოხალისეებზე - მწვრთნელებს ოქმები უნდა სჭეროდათ ხელში და თავად გამოეთვალათ, ვის შემდეგ უწევდა ჭიდაობა ცირეკიძეს. კუბელმა ხომ ზუსტად იცოდა, როდის გადიოდა ტატამზე და რაღა ქართველებისთვის გახდა ამის დადგენა შეუძლებელი?! როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი უთავბოლობა ქართულ ძიუდოში და რატომ უნდა გვექცეს მსგავსი სამარცხვინო ფაქტები სინდრომად? მომხდარი ხომ ისედაც უნიკალურია, მწვრთნელის განმარტება კიდევ უფრო გასაკვირი იყო. ისიც საკითხავია, სხვა მწვრთნელები რას აკეთებდნენ ამ დროს? ხომ წარმოუდგენელია, იმდენმა ხალხმა ვერ დაადგინა, როდის გადიოდა სპორტსმენი საჭიდაოდ! ეს ხომ მათი უშუალო მოვალეობაა, რადგან არენის ტერიტორიაზე, ანუ იქ, სადაც ტატამია დაგებული, მოსათელი დარბაზი და გასახდელია, სპორტსმენის, მწვრთნელების და გუნდის მომსახურე პერსონალის - ექიმის, მასაჟისტის, ფსიქოლოგის (ვისაც ჰყავს) და ამგვარების გარდა სხვა ვერავინ შევა. იქ მოსახვედრად სპეციალური საშვია საჭირო, რასაც დასახელებულთა გარდა სხვას არ აძლევენ. ვიმედოვნებთ, ამჯერად კონკრეტული დამნაშავე გაირკვევა და ესეც ატლანტური ინციდენტივით ბურუსით მოცული არ დარჩება. ახლა, როცა ესოდენ სამარცხვინო ფაქტი მოხდა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვისი მიზეზით ან რატომ დააგვიანა ცირეკიძემ, მაგრამ დამნაშავის დასახელება და დასჯა იმიტომაა საჭირო, რომ მომავალში მსგავსი რამ კიდევ არ მოხდეს, დაუშვებელია, ქართულ სპორტს პერიოდულად არყევდეს ასეთი ინციდენტები. სავარაუდოდ, ამ ამბავმა ამირან ტოტიკაშვილის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა, თუმცა ეს აქამდეც გარკვეული იყო, ახლა კი ალბათ, ყველაფერს წერტილი დაესვა. იგივე შეიძლება ითქვას ფედერაციის პრეზიდენტზეც, რომელიც შვებულებიდან ფედერაციაში აღარ დაბრუნებულა. მომხდარის შემდეგ მედლებზე ლაპარაკი იქნებ აზრსაც კარგავს, მაგრამ ახლა არც ამით შეგვიძლია თავის დამშვიდება - გუშინ ოთხივე ქართველმა წააგო და უმედლოდ დავრჩით. ატლანტისა არ იყოს, ეტყობა, გუნდი



სტარტზევე ფსიქოლოგიურადაც გატყდა. ცირეკიძე როცა ტატამზე დროულად გაიყვანეს, ორი შეხვედრის გამართვა მოასწრო და ორივე ვადამდე მოიგო - უკრაინელ **არტემ ბლოშენკოს** სამწუთნახევარში ჯერ ვაზარი აართვა, მერე პირდაპირ იპონზე დასცა, უზბეკ **რამზიდინ საიდოვთან** კი ორი ვაზარის მოსახვეჭად ოთხ წუთზე ცოტა მეტი დასჭირდა. ამის შემდეგ ის ავბედითი ეპიზოდი და კუბელის ზეობა იყო...

> **დამნაშავის დასახელება და დასჯა იმიტომაა საჭირო, რომ მომავალში მსგავსი რამ კიდევ არ მოხდეს, დაუშვებელია, ქართულ სპორტს პერიოდულად არყევდეს ასეთი ინციდენტები.**

დანარჩენი ქართველებიდან ყველაზე უკეთ მძიმეწონოსანმა **ლაშა გუჯეჯიანმა** იჭიდავა - სანუგეშოში მხოლოდ ის გადავიდა. ჩვენებური პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა - უზბეკი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **აბდულო ტანგრიევი**. გუჯეჯიანს მისთვის ადრეც ბევრჯერ მოუგია და ახლაც იმარჯვა, მაგრამ საამისოდ დიდი გარჯა დასჭირდა - გაფრთხილებებით დაამარცხა. ტანგრიევთან შედარებით სლოვენიელი **მატიას სერაი** ბევრად სუსტი ბარიერი იყო და ჩვენებურმაც იოლად მიითვალა იპონი. ამას მეოთხედფინალი და იქ რიო დე ჟანეიროს წლევანდელი „დიდი მუზარადის" იაპონელ ჩემპიონ **კაზუჰიკო ტაკაჰაშისთან** წაგება მოჰყვა - გუჯეჯიანი დიდხანს უძალიანდებოდა მასპინძელს, მაგრამ შეხვედრის მიწურულს წუთნახევარში ორი ვაზარი გაატარა და სანუგეშოში გადაინაცვლა ბრაზილიელ **რაფაელ სილვასთან შესახვედრად**. გუჯეჯიანი მალევე დაწინაურდა - მეტოქე ორჯერ გააფრთხილებინა და იუკო მოიპოვა, მაგრამ სილვამ ჯერ ანგარიში გაქვითა, ბოლოს კი ვაზარიც აუღო და ჩვენებურიც გამოეთიშა ჩემპიონატს.

> **ვიმედოვნებთ, ამჯერად კონკრეტული დამნაშავე გაირკვევა და ესეც ატლანტური ინციდენტივით ბურუსით მოცული არ დარჩება.**

ამავე წონაში პირველ წრეში **ადამ ოქრუაშვილიც** ისვენებდა, მეორეში კი მომავალ ფინალისტთან, გერმანელ **ანდრეას ტოლცერთან** ორი ვაზარით წმინდად წააგო. **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) მოლდოველ **სტანისლავ კერნეგას** წმინდად მოუგო, მაგრამ მომდევნო შეხვედრა უზბეკ **უხტირ კურბანიოვთან** ასევე იპონით დათმო და გავარდა.

100 კილოში ლამის უპრობლემოდ გაიმარჯვა მასპინძელმა **ტაკამასა ანაიმ** და შარშანდელი ბრინჯაო წლეულს ოქროდ გადაადნო. ის პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ლიტველი **მარიუს ლაბალაუკისის** გარდა, მას ყველა ტიტულოვანი მეტოქე შეხვდა - ებრაელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **არიელ ზეევი**, ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ლუკაშ კრპალეკი**, მომავალი მესამე პრიზიორი, ფრანგი **ტიერი ფაბრი**, ჩვენთვის ბედისწერად ქცეული კუბელი მსოფლიოს პრიზიორი დესპანიე და ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ჰენკ ხროლი**... ასეთ ძლიერ კამპანიაში მან სამი იპონი მიითვალა - ლიტველთან, ებრაელთან და ფრანგთან, ჩეხს და კუბელს ვაზარით აჯობა, ხროლი კი ორჯერ გააფრთხილებინა... ქებას იმსახურებს ხროლიც, რომელმაც ბოლო სამი შეხვედრა წონის აღიარებულ ლიდერებთან გამართა და დიდი წარმატებითაც იჭიდავა - მესამე წრეში ბელგიაში გადასული თანამემამულე **ელკო ფან დერ ხესტი** იპონზე დააგდო, მერე კი მსოფლიოს შარშანდელ ფინალში წაგებისთვის ღირსეული რევანში აუღო ყაზახ **მაქსიმ რაკოვს** - ორი გაფრთხილებით იუკო და ზედ ვაზარიც. ნახევარფინალში ასევე ორი გაფრთხილებით მონღოლ ოლიმპიურ ჩემპიონ **ნაიდინ ტუვშინბაიარს** აჯობა. სამწუხაროდ, ხროლმა ზედიზედ მეორედ წააგო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, მაგრამ ანაიმაც ღირსეულად გაიმარჯვა.

მძიმე წონაშიც ასევე სრულიად დამსახურებულად გაჩემპიონდა ფრანგი **ტედი რინერი**. რაც უნდა ვაკრიტიკოთ მისი ჭიდაობის სტილი, ფაქტია - ამ კაცმა მოიგო ბოლო სამი მსოფლიოს პირველობა. საყურადღებოა, რომ მან ფინალის გარდა, დანარჩენ ხუთ შეხვედრაში იპონით იმარჯვა, ფინალში კი გერმანელი **ანდრეას ტოლცერი** იუკოთი დაამარცხა. ამ წონაში ცოტა გასაკვირია მასპინძელთა მარცხი, თუმცა მათი ლიდერი, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **კეიჯი სუძუკი** ადრევე გავარდა, **კაზუჰიკო ტაკაჰაშიმ** კი ბრინჯაოსთვის ბრძოლა წააგო ეგვიპტელ **ისლამ ელ შეჰაბისთან**.

იაპონელებს ცოტა დააკლდათ, ახალი წესით - წონაში ქვეყნიდან ორი მონაწილის გამოყვანით ბოლომდე ესარგებლათ. ამის შანსი ქალთა ტურნირზე მძიმე წონაში მიეცათ, სადაც ნახევარფინალში მათი ორივე მონაწილე გავიდა და სხვადასხვა მხარესაც იყვნენ, მაგრამ იქ პატარა სენსაცია მოხდა - იაპონელთა მთავარი იმედი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მაკი ცუკადა** ჩინელ **ქიან ქინთან** დამარცხდა. არადა, მას შემდეგ, რაც ცუკადას მთავარი კონკურენტი, დოპინგის მოხმარებისთვის დისკვალიფიცირებული ჩინელი ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ვენ ტონგი** ტურნირს ტოვებდა, ცუკადა თითქოს ფავორიტი ჩანდა, მაგრამ, ეტყობა, ჩინელების კომპლექსი სჭირს. იაპონელებს ნამუსი **მიკა სუგიმოტომ** მოსწმინდა - ფინალში ქინს აჯობა და ჩემპიონი გახდა.

78-ში მსოფლიოს ჩემპიონი პირველად გახდა ამერიკელი **კაილა ჰარისონი**, რაც მისთვის დიდი წარმატებაა.

დღეს ტოკიოში ვაჟებში 90 და 81 კგ წონის ფალავნები იჭიდავებენ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ **ვალერი ლიპარტელიანი** (90) ინდოელ **საჰილ პატანიას** ხვდება, ამათში მოგებულის მეტოქე კი ბრიტანელი **ვინსტონ გორდონისა** და ტაილანდელი **ვუტიკრაი სრისოპრარის** შეხვედრაში გაირკვევა. **მინდია ბოდაველი** ბრიტანელ **მაიკლ ჰორლის** ეჭიდავება, სავარაუდო მეტოქე კი ბერძენ ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისისა** და სერბ **ნიკოლა მილოშევიჩის** წყვილშია საძებნი.

**ლევან ნიკლაური** (81) პირველ შეხვედრას ამერიკელ **ტრევის სტევენსთან** ჩაატარებს, ამათში მოგებულს კი მეორე წრეში შვეიცარიელი **მიშა ეგერი** ელოდება. ამავე წონაში **გრიგოლ შინჯიკაშვილი** აზერბაიჯანელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ელნურ მამადლის** ხვდება.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

ვაჟები. **100 კგ:** 1. ტაკამასა ანაი (იაპონია), 2. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია), 3. ორეიდის დესპანიე (კუბა), ტიერი ფაბრი (საფრანგეთი).

**+100 კგ:** 1. ტედი რინერი (საფრანგეთი), 2. ანდრეას ტოლცერი (გერმანია), 3. ისლამ ელ შეჰაბი (ეგვიპტე), მატიე ბატე (საფრანგეთი).

ქალები. **78 კგ:** 1. კაილა ჰარისონი (აშშ), 2. მაირა აგუიარი (ბრაზილია), 3. ხიულ იანგი (ჩინეთი), აკარი ოგატა (იაპონია).

**+78 კგ:** 1. მიკა სუგიმოტო (იაპონია), 2. ქიან ქინი (ჩინეთი), 3. მაკი ცუკადა (იაპონია), იდალის ორტისი (კუბა).

● თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

## დღეს გოჩაშვილის ჯერია

მოსკოვში მიმდინარე მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატში დღეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც ჩაებმებიან, თუმცა მათგან მხოლოდ ერთი - 55-ის ფალავნები ისპარეზებენ. **ბესარიონ გოჩაშვილის** პირველი მეტოქე ჩინელი **მუდე ქია**, მასთან მოგების შემთხვევაში კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ ირანელ **ჰასან რაჰიმისა** და პოლონელ **ადრიან ჰაიდუკს** შორის მოგებულს შეხვდება. ჩვენებურს დიდად არც წილისყრამ გაუმართლა - ბადის ამავე ნახევარში მოხვდნენ რუსი მსოფლიოს პრიზიორი **ვიქტორ ლებედევი** და ბულგარელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რადოსლავ მარინოვ ველიკოვი**, ოღონდ ისინი ჩვენებურამდე ერთმანეთს შეხვდებიან.

იმედია, ქართველი „თავისუფლები" მოსკოვში უფრო წარმატებით გამოვლენ, ვიდრე - ბერძენ-რომაელები, რომელთათვისაც საუკეთესო შედეგი მეხუთე ადგილი იყო.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

## მაკა ჩახნაშვილი წყვილებში დარჩა

27 წლის მაკა ჩახნაშვილი (219) ვერ მოხვდა ბიელას საერთაშორისო ტურნირის (100 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში, მაგრამ ის მაინც იტალიაში რჩება. ჩახნაშვილი პოლონელ **მარტა დომაჩოვსკას** (190) შეუწყვილდა და ამ თანრიგის პირველ წრეში ქართულ-პოლონურმა დუეტმა რუსი **ვალერია სავინიხისა** (241) და ლიხტენშტაინელი **შტეფანი ფოიტის** (394) წყვილს აჯობა - 6:3, 6:3.

პოლონურ კატოვიცეში (25 ათასი დოლარი) მთელი დღე წვიმდა, ამიტომაც მხოლოდ წყვილთა მატჩები გაიმართა გადახურულ კორტზე. ასე რომ, პირველ ნომრად განთესილი **ოქსანა კალაშნიკოვას** (189) შეხვედრა სლოვაკ **მიხაელა პოჩაბოვასთან** (270) გადაიდო. კალაშნიკოვა წყვილებში უკრაინელ **ტეტიანა არეფიევასთან** (311) ერთად ასპარეზობს და მეოთხედფინალშია გასული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● თარიღი კომენტარით

## ავთანდილ ციბაძე 85



საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებითაა შესული პროფესორ ავთანდილ ციბაძის სახელი. დღეს მას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა.

**გიული კახიძე**, პროფესორი: „ავთანდილ ციბაძე ბრწყინვალე პიროვნება და მეცნიერი გახლდათ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი სპორტის აკადემიის სახე იყო. იმ უმაღლესი სასწავლებლისა, სადაც 50 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს, დიდხანს ხელმძღვანელობდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიის კათედრას. იყო პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პედაგოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. მისი ნაშრომები იბეჭდებოდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ქართული სპორტის ისტორიის საკითხებზე გამოსცა 30-ზე მეტი წიგნი, აქედან 10 სახელმძღვანელო; თავისივე სცენარებით შექმნა სასწავლო კინოფილმები, რომლებიც პრემიით აღინიშნა. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში. მისი თაოსნობით დაარსდა ოლიმპიური აკადემია, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ონში უკვე მესამედ...

ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციამ ონში კვლავ მოუყარა თავი ქართული ჭიდაობის ოსტატებს ლეგენდარული ქართველი მოჭიდავის **კოსტა მაისურაძის** სახელობის III ტურნირზე. სპორტსმენებმა მკლავჭიდსა და საჯილდაო ქვის აწევაშიც იასპარეზეს.

ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება (მთავარი მსაჯი **გიორგი ზუბიტაშვილი**) 1946 წელს შემუშავებული წესებით და დადგენილი საჭიდაო ფორმით ჩატარდა 6 წონით კატეგორიაში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. **60 კგ**: 1. ლაშა კვირიკაშვილი (წყალტუბო), 2. ვაჟა მარგველაშვილი, 3. მინდია ლოლიჯაშვილი (ორივე — გორი); **65 კგ**: 1. ზურაბ შერვაშიძე (ქუთაისი), 2. იოსებ არჩვაძე (გორი), 3. შოთა ჩარკვიანი (წყალტუბო); **72 კგ**: 1. ანრი ბიბილაშვილი (გორი), 2. თორნიკე ლურსმანაშვილი (ქუთაისი), 3. ანდრო ბეჟუაშვილი (გორი); **80 კგ**: 1. ზვიად ბაზანდარაშვილი (გორი), 2. დიმიტრი სულამანიძე, 3. ლაშა გუმბერიძე (ორივე — ქუთაისი); **90 კგ**: 1. ლაშა გურული, 2. გოჩა ლომთაძე, 3. თორნიკე ინასარიძე (სამივე — ქუთაისი); **აბსოლუტური** წონითი კატეგორიის (8 მონაწილე) ფინალში **ლაშა გურულმა** ონელ **კობა კერესელიძეს** სძლია და კოსტა მაისურაძის სახელობის თასს დაეუფლა.

ტურნირის საუკეთესო სპორტსმენად ქუთაისელი **ზურაბ შერვაშიძე** დასახელდა. მადლობა დაიმსახურეს მუსიკოსებმა **აკაკი (თემურ) პაპაშვილმა, შალვა ილურიძემ** და **მიხეილ ქანანოვმა**.

**მკლავჭიდში** ადგილები ასე განაწილდა: **60 კგ**: 1. ასლან გურჩიანი (წყალტუბო), 2. ვაჟა მარგველაშვილი (გორი); **70 კგ**: 1. თემურ გავაშელაშვილი, 2. ლევან ქაფიანიძე (ორივე — ონი); **80 კგ**: 1. ლაშა გუმბერიძე (ქუთაისი), 2. გივი კაკირაშვილი (ონი); **აბსოლუტური**: 1. ვალერი გობეჯიშვილი (ონი), 2. გოჩა ლომთაძე (ქუთაისი).

**საჯილდაო ქვის აწევა**: 1. ვალერი გობეჯიშვილი (ონი), 2. გიგა გუბელაძე (ქუთაისი), 3. მიხეილ ქანანოვი (ყვარელი).

ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში ორგანიზატორებთან ერთად რაიონის ხელმძღვანელობამ და სპორტის თავკაცმა **რომან კირვალიძემ** შეიტანეს დიდი წვლილი. მხარდამჭერები კი ცნობილი ფირმები იყვნენ. რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე **შალვა ჯაფარიძე** ასოციაციას დაჰპირდა, რომ მოიძიებენ და მხარდამჭერებთან ერთობლივი ძალისხმევით აღადგენენ კოსტა მაისურაძის ქოხს და ეზოს სოფელ ცხმორში.



**დიმიტრი დუნდუა,**
**ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტი**
**ბესო კვეკვესკირის** ფოტოები



## მილოცვები



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავენ ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელს, ევროპის ოთხგზის ჩემპიონს და ხუთგზის მეორე პრიზიორს, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს და ოთხგზის მეორე პრიზიორს, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ღირსების ორდენოსანს **რუსუდან ხოფერიას.**

■ ■ ■



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, დაბადების დღეს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონს და სამგზის პრიზიორს, ევროპის ოთხგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ფილას ორდენის კავალერს **ზარ[illegible] ბერიაშვილს.**

კალათბურთი



მარცხნიდან: ოთარ ქორქია, ლევან ინწკირველი, შოთა ქორქაშვილი, ჯუმბერ ნიჟარაძე, ალეკო მესხი, სულიკო თორთლაძე, ვაჟა ქლენტი, ნოდარ ჯორჯიკია, დავით გოძიაშვილი. 1950 წელი. ვილნიუსი

# ეს იყო ვილნიუსში... 60 წლის წინათ

**იოსებ სტალინის ვაჟი ვასილი ომის შემდეგ სამხედრო-საჰაერო ძალებს ხელმძღვანელობდა. სპორტის დიდმა ქომაგმა კალათბურთელთა გუნდის ჩამოყალიბებაც გადაწყვიტა. ამიტომაც სხვა უძლიერეს საბჭოთა კალათბურთელებთან ერთად ვვს-ში ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას გადაყვანაც სურდათ, მათ კი თბილისის „დინამოს“ სპორტული ღირსების დაცვა არჩიეს...**

არაერთხელ ითქვა და დაიწერა, რომ გასული საუკუნის 50-60-იანი წლები ქართული კალათბურთის ოქროს ხანა იყო. ჩვენი სპორტის მატიანეში სახელოვანი ფურცლები ჩაწერა თბილისის „დინამომ“, რომელსაც რვა ათეული წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი და საკავშირო სარბიელზე პირველად 1937 წელს გამოჩნდა. ათი წლის შემდეგ სსრკ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, 1948 წელს — „ბრინჯაო“, 1949 წელს კი საკავშირო თასი დაისაკუთრა. განსაკუთრებით დაუვიწყარი 1950 წელი აღმოჩნდა — ქართველი კალათბურთელები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდნენ.

გვესაუბრება მაშინდელი ბატალიების მონაწილე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სამგზის (1950, 1953, 1954) გამარჯვებული და ორგზის საკავშირო თასის მფლობელი (1950, 1951), სოციალისტური ქვეყნების დინამიადების ოქროს მედალოსანი და საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1954 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის ბრინჯაოს პრიზიორი, საპატიო დინამოელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი **ვაჟა ქლენტი.**

— თბილისის „დინამო“ განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა ანგარიშგასაწევი ძალა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მის რიგებს ოთარ ქორქია, ალეკო მესხი, ჯუმბერ ნიჟარაძე და სულიკო თორთლაძე შემოუერთდნენ. 1950 წლის დასაწყისში დინამოელებს შეემატა ევროპის ჩემპიონი ნოდარ ჯორჯიკია. სწორედ, აქედან იწყება მძლავრი აღმასვლა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის უილიამ ჯონსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დინამო“ ქარიშხლის, ტექნიკისა და სათამაშო დისციპლინის ნაზავად იქცა.

1950 წელს ჯერ ამიერკავკასიის სპარტაკიადა მოვიგეთ, შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჩავებით, რომელიც სამ ეტაპად გაიმართა. საკვალიფიკაციოში 24 გუნდი მონაწილეობდა. ჩვენს ჯგუფში ზედიზედ ვძლიეთ ოდესის „ნაუკას“ — 71:43, ალმაატის „ბოლშევიკსა“ — 86:41 და ყაზანის „სპარტაკს“ — 57:40. ნახევარფინალში 12 გუნდი ორ ჯგუფად გაიყო და შეხვედრები ისევ წრიული სისტემით ჩატარდა. მოსკოვის „დინამოს“ (24:21) გარდა, ლენინგრადის არმიის სასპორტო კლუბი (46:39), მოსკოვის „ლოკომოტივი“ (56:29), ლენინგრადის „დინამო“ (71:39) იოლად დავამარცხეთ. ბოლო მატჩი სამხედრო-საჰაერო ძალების (ვვს) გუნდთან გვქონდა. რადგანაც ფინალური ეტაპის საგზური უკვე ჯიბეში გვედო, მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა ძირითადი შემადგენლობა დაასვენა და მატჩში სათადარიგოები ჩააბა. ჩვენებმა გამოცდილი კალათბურთელების (ოთხი მათგანი — კონეევი, მოისევი, ალექსეევი, სილნიში — სსრკ ნაკრების წევრი იყო) შეტევებს ვერ გაუძლეს და 34:72 დამარცხდნენ...

აქ ბატონ ვაჟასთან საუბარს დროებით შევწყვეტთ და გულშემატკივრებს **ოთარ ქორქიასთან** დაკავშირებულ ერთ საინტერესო ეპიზოდს ვუამბობთ, რომელიც თავის დროზე ქართული კალათბურთის ლეგენდისგან ჩავიწერეთ:

ვვს-ის კალათბურთელთა გუნდი 1948 წელს ჩამოყალიბდა ვასილ სტალინის მეურვეობით. კლუბს გენერალმაიორი ვასილკევიჩი ხელმძღვანელობდა. საუკეთესო მოთამაშეებს მოუყარეს თავი. ხარკოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე „მფრინავებს“ უფროსების საამებლად ოქროს მედლების მოპოვება სურდათ. დინამოელებს სთხოვეს, მატჩი დაგვითმეთო, მაგრამ უარი მიიღეს. მოსკოველებმა ორთაბრძოლა წააგეს. შეხვედრის შემდეგ ოთარ ქორქიას და ვვს-ის კალათბურთელებს შორის შელაპარაკება დიდ ჩხუბში გადაიზარდა. გაბრაზებულმა გენერალმა ქორქიას დაპატიმრება გადაწყვიტა, მაგრამ ხარკოველებმა იგი ოჯახის წევრებთან ერთად სასწრაფოდ თბილისში გამ[illegible]აგზავრეს. შინ დაბრუნებულს ხელმძღ[illegible]ანელობამ დეპეშა დაახვედრა: საბჭოთა ოფიცრებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების დროშის შეურაცხყოფისთვის სპორტის ოსტატი ოთარ ქორქია პასუხისგებაში მიეცითო. დეპეშის ტექსტს ხელს ვასილ სტალინი აწერდა. გიორგი ავალიშვილი და ოთარ ქორქია მოსკოვს გაემგზავრნენ. საკითხი საკავშირო სპორტკომიტეტის სხდომაზე განიხილეს. ხარკოვში ინციდენტის შემსწრეებს დაუდასტურებიათ, რომ დებოშის ამტეხი ვვეესელები მთვრალები იყვნენო. ამ დროს ადგილიდან გენერალი ვასილკევიჩი წამომხტარა: —ეს ცილისწამებაა, — შესძახა თურმე მან. — მთვრალი კაცი მესმის მე, აი, ისეთი, თხრილში რომ წევს, ძაღლი ლოკავს და მისი თავიდან მოშორება არ შეუძლია...

— თქვენით ნუ სჯით, ამხანაგო გენერალო! — ვასილკევიჩს თურმე სიტყვა შეაწყვეტინა სპორტკომიტეტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა პიროგოვმა. დარბაზმა გადაიხარხარა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ დებოშის წარმომწყებნი თითო ვარსკვლავით ჩამოაქვეითეს, ქორქიას კი საყვედური გამოუცხადეს. ამის შემდეგ ქართველ კალათბურთელთა ვვს-ში გადასვლის საკითხი არც განუხილავთ.

აი, ამ გუნდთან თბილისის „დინამოს“ ვილნიუსში 1950 წლის ჩემპიონატზე ორჯერ მოუხდა შეჯახება. როგორც აღვნიშნეთ, ნახევარფინალში ახალგაზრდული შემადგენლობით ჩვენები დამარცხდნენ, ფინალურ ეტაპზე კი დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს მოსკოველებს — 36:34. არადა, ნახევარი საათის განმავლობაში წინ „მფრინავები“ იყვნენ, მერე ანგარიში გათანაბრდა. ბოლო წუთებზე ბურთს თბილისელები ფლობდნენ (მაშინ ბურთის ტარების დრო შემოფარგლული არ იყო). რუსებმა სამჯერ დაარღვიეს წესი, მაგრამ ჩვენებმა საჯარიმოების ტყორცნაზე უარი თქვეს — ბურთის გათამაშება არჩიეს. ბოლო წამებზე ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა ჯუმბერ ნიჟარაძე, რომელმაც თავისიანებს გამარჯვების მომტანი ორი ქულა შესძინა.

— ვილნიუსში ვვს-თან შეხვედრამდე საბჭოთა კავშირის წინა წლის ჩემპიონს — ტარტუს უსკ-ს მოვუგეთ, — განაგრძო თხრობა ბატონმა ვაჟამ. — ბოლო მესამე მატჩში ვიცე-ჩემპიონ „ჟალგირისს“ დავუპირისპირდით. საინტერესო სატურნირო სიტუაცია შეიქმნა: „დინამო“ თუ მოიგებდა, მასპინძლები უმედლოდ რჩებოდნენ; ჩვენ თუ წავაგებდით, მაშინ ჩემპიონობის ბედს განმეორებითი შეხვედრა გაარკვევდა. თუმცა საქმე აქამდე არ მიგვიყვანია, რადგან ისე ვიყავით შემართული, რომ მაშინ ჩვენი შეჩერება არავის შეეძლო. ბალტიისპირელებს 25:20 ვძლიეთ და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა პირველად მოვიპოვეთ (მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: უსკ, ვვს, „ჟალგირისი“). ამ მატჩში განსაკუთრებით გამოვიდე თავი, რადგან სწორედ იმ ორთაბრძოლაში გადავლახე საკავშირო პირველობის მატჩებში მონაწილეობის 50-პროცენტიანი ზღვარი და ოქროს მედალი მეც მერგო. 1950 წელს საკავშირო თასიც შევინარჩუნეთ.

იმ წელინადს თბილისის „დინამოს“ ღირსებას ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ჯუმბერ ნიჟარაძე, ლევან ინწკირველი, დავით გოძიაშვილი, ვაჟა ქლენტი, შოთა ქორქაშვილი, ალეკო მესხი, სულიკო თორთლაძე, გივი რუხაძე, თენგიზ მეძმარიაშვილი იცავდნენ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ისინი პირველად ზუსტად 60 წლის წინათ — 1950 წლის 10 სექტემბერს ავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი




# ერთი წელი ახალ ზელანდიამდე

2011 წლის მსოფლიო თასის დაწყებამდე ზუსტად ერთი წელი დარჩა. მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმი მომავალი წლის 9 სექტემბერს ახალი ზელანდიისა და ტონგას ნაკრებთა მატჩით გაიხსნება ოქლენდის „ედენ პარკზე".

მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა კი ორი დღის მერე ველინგტონში უელსის ნაკრებს დაუპირისპირდება. ტურნირი ექვს კვირას გასტანს და 23 ოქტომბერს ოქლენდში, „ედენ პარკზე" გამართული ფინალით დასრულდება.

2011 წლის მსოფლიო თასის ორგანიზატორები მზადების პროცესით კმაყოფილნი არიან.

*„ჩვენ ისეთ ტურნირს მოვაწყობთ, რომ ყველა ახალზელანდიელი იამაყებს. სტადიონები ნელ-ნელა სიცოცხლეს იძენენ. სარაგბო კლუბები, საზოგადოებები, რეგიონული ფედერაციები ყოველდღიურად აქტიურად არიან ჩართულნი მზადების ფერხულში. ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩვენი ქვეყანა კარგად წარმოვაჩინოთ მსოფლიოში".* - თქვა 2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა **მარტინ სნედენმა.**

მიუხედავად მსოფლიოს ფინანსური კრიზისისა და მიწისძვრისა, რომელმაც ქალაქი ქრაისთჩერჩი საგრძნობლად აზარალა, მასპინძლები შესანიშნავ შოუს გვპირდებიან.

IRB-ის შეფმა **ბერნარ ლაპასემ** თქვა:

*„ეჭვიც არ მეპარება, რომ ახალი ზელანდიაში ყველაფერი ბრწყინვალედ იქნება ორგანიზებული. მზდება სწრაფ ტემპში მიმდინარეობს და მსოფლიო რაგბის თემი მოუთმენლად ელის ზეიმს. მსოფლიო თასის მეშვიდე გათამაშება ხომ ძველი სარაგბო კულტურის ქვეყანაში გაიმართება.*

*ქრაისთჩერჩში მომხდარმა მიწისძვრამ, ცხადია, გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა. თუმცა, ამ ეტაპზე არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს ქალაქი მსოფლიო თასს ვერ უმასპინძლებს. აქ შვიდი თამაში უნდა გაიმართოს და ორგანიზატორები ინჟინრებთან ერთად ყველაფერს აკეთებენ სტადიონის შესაკეთებლად. უკიდურეს შემთხვევაში გვაქვს გეგმა „B", რომლის მიხედვითაც ქრაისთჩერჩის ნაცვლად, როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კუნძულებზე თითო ქალაქი მზადაა, მსოფლიო თასის მონაწილეებს უმასპინძლოს.*

*სხვა ქალაქებში საქმე წინ მიდის. ოქლენდში „ედენ პარკი" 10 ოქტომბერს გაიხსნება. ოტაგოს ახალი სტადიონის მშენებლობა კი მომავალი წლის დასაწყისში დამთავრდება. სხვა სტადიონებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულებას კი უკვე წლის ბოლოს ვაპირებთ".*

მალე დაიწყება მსოფლიო თასის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვის მეორე ფაზა. პირველმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. უკვე გაყიდულია 503 ათასი ბილეთი. მყიდველთა შორის 20 ათასი უცხოელი რაგბის ქომაგია.

ამასთან, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა სამხრეთ აფრიკამ ქომაგთა მობილიზაცია დაიწყო. „ბოკე" ახალ ზელანდიაში „ვებ ელისის" თასის შენარჩუნებას ეცდება და, ცხადია, საამისოდ გულშემატკივრების დიდი მხარდაჭერა დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები B ჯგუფში არგენტინასთან, ინგლისთან, შოტლანდიასთან და რეპეშაჟიდან ამოსულ გუნდთან ერთად იასპარეზებს. „ბორჯღალოსნების" მეოთხე მეტოქე ნოემბრის ბოლოს გაირკვევა. მსოფლიო თასის ბოლო საგზურისთვის ერთმანეთს ურუგვაისა და რუმინეთის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში პირველ მატჩს 14 სექტემბერს დანიდინის „ქარისბრუკზე" შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან გამართავს. მერე კი მიწისძვრით დაზარალებულ ქრაისთჩერჩში გადაინაცვლებს, სადაც 2007 წლის მსოფლიო თასის ფინალისტ ინგლისის ნაკრებს „ემი სთედიუმზე" დაუპირისპირდება.

ამის შემდეგ „ბორჯღალოსნებს" ცხრადღიანი შესვენება ექნებათ და ჯგუფში ბოლო ორ მატჩს 28 სექტემბერსა და 2 ოქტომბერს, შესაბამისად, რეპეშაჟის გამარჯვებულთან და არგენტინის ნაკრებთან", პალმერსტონ ნირდში „არენა მანავატუზე" გამართავენ.

აღსანიშნავია, რომ B ჯგუფში მეორე ადგილის მფლობელი A ჯგუფის გამარჯვებულს, სავარაუდოდ, ახალი ზელანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება. პირველ ადგილზე გასული კი ამავე ჯგუფის მეორეადგილოსანთან, სავარაუდოდ, საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან მოსინჯავს ძალებს.

### მსოფლიოს თასი

A ჯგუფი: **ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, კანადა, იაპონია**

B ჯგუფი: **არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია, საქართველო, რეპეშაჟი**

C ჯგუფი: **ავსტრალია, ირლანდია, იტალია, რუსეთი, აშშ**

D ჯგუფი: **სამხრეთ აფრიკა, უელსი, ფიჯი, სამოა, ნამიბია.**

### B ჯგუფის კალენდარი:

10 სექტემბერი: **შოტლანდია-რეპეშაჟი, არგენტინა-ინგლისი**

14 სექტემბერი: **საქართველო-შოტლანდია**

17 სექტემბერი: **არგენტინა-რეპეშაჟი**

18 სექტემბერი: **საქართველო-ინგლისი**

24 სექტემბერი: **ინგლისი-რეპეშაჟი**

25 სექტემბერი: **არგენტინა-შოტლანდია**

28 სექტემბერი: **საქართველო-რეპეშაჟი**

2 ოქტომბერი: **საქართველო-არგენტინა, ინგლისი-შოტლანდია.**



სამი ერი

# მოსალოდნელი რეკორდების სერია სიდნეიში

ხვალ სიდნეიში სამი ერის წლევანდელი გათამაშების ბოლო შეხვედრა გაიმართება. ავსტრალიის ნაკრები წლევანდელ ჩემპიონს, ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ოლ ბლექსის" მთავარმა მწვრთნელმა გუნდის შემადგენლობაში ხუთი ცვლილება შეიტანა.

ახალზელანდიელთა მგეზავმა **დენ კარტერმა** ფეხის ტერფის ოპერაცია გაიკეთა და მკურნალობს. „ვოლაბებთან" მის ნაცვლად ითამაშებს **აარონ კრადენი,** რომელსაც აქამდე ხუთი კეპი მოუხვეჭია. ის ხუთივე მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და ძირითად შემადგენლობაში პირველად დაასახელეს.

კრადენის ნაცვლად სათადარიგოთა სკამზე ადგილს „ქენთერბერის" მგეზავი **კოლინ სლეიდი** დაიკავებს. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გარემარბ **ჯო როკოთოკოს** მაგივრად **იზრაელ დაგი** ითამაშებს. ცხრა ნომერზე ძირითადში **ჯიმი ქოუანს** ისევ **პირი ვიპუ** შეცვლის.

ადგილები გაცვალეს პირველხაზელმა ძმებმა **ფრენკსებმა, ოუენი** ძირითადში ითამაშებს, **ბენი** განაცხადში არ არის. მესამეხაზელ **ჯერომ კაინოს** პოზიციას **ვიქტორ ვიტო** დაიკავებს.

ახალი ზელანდიის ნაკრებმა სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში პირველი ადგილი 22 აგვისტოს



კოლინ სლეიდი

იოჰანესბურგში სამხრეთ აფრიკასთან მოგებით დაიბევა და ტურნირს დაუმარცხებლად ლიდერობს.

ახალზელანდიელთა თავკაცი **გრემ ჰენრი** დარწმუნებულია, რომ მეტოქე საკუთარ მოედანზე ყველაფერს ილონებს, რათა „ოლ ბლექსს" პირველი მარცხი აგემოს. მით უფრო, რომ „ვოლაბები" ერთი კვირის წინ სამხრეთ აფრიკაში გამარჯვების შემდეგ ფრთაშესხმულნი იქნებიან.

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ხვალინდელ მატჩში რამდენიმე რეკორდი დაემხობა. მესამეხაზელი **რიჩი მაკქოუ** „ოლ ბლექსს" 52-ედ უკაპიტნებს. ამ მაჩვენებლით ის ახალზელანდიელთა ლეგენდარულ კაპიტანს **შონ ფიცპატრიკს** გაუსწრებს.

გრემ ჰენრიმ ასე დაახასიათა შეგირდი:

*„რიჩი შესანიშნავი ლიდერი და წინამძღოლია. ვფიქრობ, მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეა. ის სამაგალითო პიროვნებაა და ძალიან გაგვიმართლა, რომ გუნდში ასეთი ადამიანი გვყავს".*

ახალი ზელანდიის ნაკრები ხვალ ეცდება, ავსტრალიას ზედიზედ მეათედ მოუგოს, რაც ტესტებში ზედიზედ მეთხუთმეტე მოგება იქნება. „ოლ ბლექსი" გამარჯვების შემთხვევაში პირველი იქნება, ვინც სამი ერის გათამაშებას წაუგებლად დაასრულებს.

გრემ ჰენრის სამწყსოს 18 ქულა სჭირდება საკუთარი რეკორდის დასამხობად. ახალზელანდიელებმა 2006 წელს სამი ერის გათამაშებაში ყველაზე მეტი, 179 ქულა მოიპოვეს. წლეულს კი ლელოების რეკორდი - 20, უკვე გააუმჯობესეს.

აღსანიშნავია, რომ შერკინების კვაჭი **კევინ მეალამუ** სიდნეიში მე-80 კეპს მოიხვეჭს.

ახალზელანდიელებს ავსტრალიასთან მატჩისთვის მზადებაში ხელი შვიდბალიანმა მიწისძვრამ შეუშალა. ჰენრის ასისტენტი **სტივ ჰანსენი** საწვრთნელ შეკრებაზე მოგვიანებით ჩავიდა, რადგან მიწისძვრამ ქრაისთჩერჩთან ახლოს მდებარე მისი სახლი მთლიანად დაანგრია. გარკვეული მატერიალური ზარალი განიცადეს ასევე, მთავარი მწვრთნელის კიდევ ერთმა ასისტენტმა **უეინ სმიტმა** და „ოლ ბლექსის" რვა ქრაისთჩერჩელმა მოთამაშემ.

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. ქორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. იზრაელ დაგი, 10. აარონ კრადენი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ვიქტორ ვიტო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი.**

*16. კორი ფლინი, 17. ჯონ აფოა, 18. ენტონი ბორიჩი, 19. ჯერომ კაინო, 20. ჯიმი ქოუანი, 21. კოლინ სლეიდი, 22. რენე რეინჯერი.*

# ვოლაბები ნაგებების სერიის შეწყვეტას ეცდებიან

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა **რობი დინსმა** ბლუმფონტეინში სამხრეთ აფრიკასთან გამარჯვების შემდეგ (რითაც „ვოლაბებმა" სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში მეორე ადგილი გაინაღდეს) გუნდში ორი ცვლილება განახორციელა.

ახალ ზელანდიასთან მატჩში პირველ კეპს მოიხვეჭს გარემარბი **ლეჩი ტერნერი,** რომელიც ბლუმფონტეინური მატჩის ერთ-ერთ გმირს **დრიუ მიტჩელს** შეცვლის.

ტრავმირებულია შერკინების კვაჭი **საია ფაინგაა,** მის ნაცვლად 22-კაციან განაცხადში **ჰაია ედმონდსი** მოხვდა. ის ახალ ზელანდიაშია დაბადებული და ბავშვობაში „ოლ ბლექსის" ფანი იყო.

*„ოლ ბლექსის" დიდი ქომაგი ვიყავი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემი ძმა მანუელი ავსტრალიის ნაკრებში მოხვდა, ყველაფერი შეიცვალა. ახალ ზელანდიაში ჩემი ოჯახი ამჟამადაც ცხოვრობს. ისინი გამუდმებით მირეკავენ და მატჩის ბილეთებს მთხოვენ,"* - ნაიწუწუნა ედმონდსმა.

ავსტრალიის ნაკრებში კიდევ ერთი ახალ ზელანდიაში დაბადებული მორაგბე თამაშობს. ეს ბოლო დროს სკანდალურად ცნობილი მგეზავი **ქუადე კუპერია.** მას აქამდე ეროვნულ ნაკრებში 19 კეპი მოუხვეჭია, თუმცა ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ არასოდეს უთამაშია.

კუპერის რაგბილიგაში გადასვლის თაობაზე აურზაური ჯერაც არ ჩამცხრალა. აი, რას ამბობს მის შესახებ „ვოლაბების" კიდევ ერთი ახალგაზრდა ვარსკვლავი **ჯეიმზ ოკონორი:**

*„გადაბარგდება თუ არა რაგბილიგაში კუპერი, ეს მისი გადასაწყვეტია. მე კი მინდა, რომ ჩვენთან დარჩეს. ძალიან მიყვარს მასთან ერთად თამაში, ის შესანიშნავი პარტნიორია."*

ასეა თუ ისე, კუპერი ჯერ „ვოლაბების" მგეზავია და ყველაფერს ილონებს, რათა ავსტრალიის ნაკრებს „ოლ ბლექსთან" ცხრამატჩიანი ნაგებების სერიის დასრულებაში დაეხმაროს.

ავსტრალია: **15. ქართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. მეთ გიტო, 11. ლეჩი ტერნერი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. სტივენ მური, 3. სალესი მააფუ, 4. მარკ ჩისჰოლმი, 5. ნათან შარპი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. ბენ მაკკალმენი.**

*16. ჰაია ედმონდსი, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. დენ მამი, 19. რიჩარდ ბრაუნი, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. ენტონი ფაინგაა.*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ავსტრალიის ნაკრები

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# სერენას იდეალური მამაკაცი


სერენა ყოფილ ბოიფრენდთან

როგორც ჩანს, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა** ოცნების მამაკაცი იპოვა. გაზეთ New York Post-ის ინფორმაციით, ჩოგბურთელი 23 წლის რეპერ **დრეიკზეა** შეყვარებული.

ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ სერენამ თავის აგენტებს მომღერალთან შეხვედრის ორგანიზება სთხოვა. დრეიკი ჩოგბურთელზე 5 წლით უმცროსია. *„აგენტებს იმედი აქვთ, რომ სერენასა და დრეიკს ამ თვის ბოლოს შეახვედრებენ ერთმანეთს“*, - ამბობს უმცროსი უილიამსის ერთ-ერთი მეგობარი.

თავად დრეიკი ასეთი ნაცნობობის წინააღმდეგი არ არის. *„მიყვარს ჩემზე უფროსი ქალები,* - ამბობს მომღერალი. *- მომწონს მათი გამოცდილება. მათგან ბევრი რამის სწავლა და რჩევის მიღება შეიძლება“.*

სერენამ კი იდეალური მამაკაცის საკუთარი ვარიანტი შემოგვთავაზა. *„ის ახლოს უნდა იყოს ჩემს მშობლებთან, უპირველესად, დედასთან,* - თქვა მან ცოტა ხნის წინ. *- და კიდევ, არ უნდა ენეოდეს“.*

# როჯერმა გართობისთვის მოიცალა

მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავები - **როჯერ ფედერერი, სერენა უილიამსი** და **კაროლონ ვოზნიაცკი** Fashion's Night Out-ის საღამოს სტუმრები იყვნენ. ჩვენებაზე ძირითადად მოდისა და კინოს ვარსკვლავები შეიკრიბნენ, სპორტის სამყაროდან კი ზემოთ ჩამოთვლილი სამი ჩოგბურთელი ვიხილეთ. ორგანიზატორები უფრო ბევრ ცნობილ სტუმარს ელოდნენ, მაგრამ ახლა მსახიობები სხვადასხვა კინოფესტივალზე გაემგზავრნენ და წითელ ხალიჩაზე საკმაო ხალთავობა იყო.

საღამო ნიუ იორკის Lincoln Center-ში ოთხშაბათს გაიმართა.

## ამბები

**ბიატლონი**

### დეფრანი ოლიმპიურ კომიტეტში დაასაქმეს

ტურინის ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი **ვენსან დეფრანი**, რომელმაც ამ სეზონის შემდეგ დაასრულა კარიერა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დაიწყებს მუშაობას. ბიატლონისტი სამი კომიტეტის წევრი იქნება. გარდა ამისა, დეფრანს ჩეხეთის ნაკრების კონსულტანტის თანამდებობას სთავაზობდნენ, მაგრამ ფრანგმა უპირატესობა ოლიმპიურ კომიტეტში მუშაობას მიანიჭა.

*„ძალიან მინდოდა ამ ინდუსტრიაში დარჩენა. ოლიმპიურ კომიტეტში მუშაობა მსოფლიო სპორტის უკეთ გაცნობის ბრწყინვალე შანსია“*, - განაცხადა დეფრანმა.

**ჩოგბურთი**

### გასკემ მწვრთნელი შეიცვალა

ამერიკის ღია პირველობის მერვედფინალში **გაელ მონფილსთან** წაგების შემდეგ, ფრანგმა **რიშარ გასკემ** მწვრთნელ **გაბრიელ მარკუსთან** ურთიერთობა გაწყვიტა.

გასკემ არგენტინელ სპეციალისტთან ვარჯიში 2009 წლის ბოლოს დაიწყო. ის სეზონი ფრანგმა აშკარად ჩააგდო და, სპორტული შედეგების ნაცვლად, გულშემატკივრებს კოკაინის დადებითი ტესტით დაამახსოვრა თავი.

რიშარის ახალი მწვრთნელი ფრანგი **ერიკ დებლიკე** გახდება.

**ფორმულა 1**

### ესპანელებს სასამართლო ემუქრებათ

ესპანურ საჯინიბო HRT F1-ს სასამართლო გარჩევა ელის. როგორც Sport Business წერს, უმსხვილესი საერთაშორისო საადვოკატო სააგენტო DLA Piper გუნდის წინააღმდეგ სასამართლო პროცესს იწყებს. როგორც ირკვევა, HRT F1-ს უკვე ერთი წელია არ გადაუხდია იურიდიული მომსახურების ხარჯები.

*„ხშირი შეხსენების მიუხედავად, HRT-ს ჯერ ცენტიც არ გადმოურიცხავს ჩვენს ანგარიშზე,* - ამბობს DLA Piper-ის წარმომადგენელი **ჯონ ევერეტი**. *- იმ აზრამდე მივედით, რომ გუნდს თანხა არ გააჩნია, ამიტომაც შესაბამისი სარჩელი მოვამზადეთ“.*

შეგახსენებთ, რომ HRT-ის შეფმა **კოლინ კოლესმა** გასულ კვირას განაცხადა, რომ გუნდის ფინანსური სიტუაცია თანდათან უმჯობესდება და ესპანელები დიდი ხნით აპირებენ ფორმულა 1-ში დარჩენას.

**მძლეოსნობა**

### იამაიკელი ორი წლით დასაჯეს

400მეტრზემორბენალი იამაიკელი **ბობი-გეი უილკინსი** აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. სპორტსმენი 2012 წლის აპრილამდე ვერ მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირებში.

დადებითი შედეგი აჩვენა დოპინგსინჯმა, რომელიც უილკინსისგან მარტში, დარბაზებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს აიღეს. ბობ-გეი ესტაფეტის გუნდის წევრი იყო, რომელმაც ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიგო.

*აშშ-ის ღია პირველობა*

# ფედერერის რევანში

მამაკაცთა მეოთხედფინალური ეტაპის პირველმა მატჩმა ლოგიკური შედეგები დააფიქსირა. ვერც **გაელ მონფილსმა** და ვერც **რობინ სიოდერლინგმა** დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და **როჯერ ფედერერს.**

არადა, მონფილსმა შესანიშნავად დაიწყო ჯოკოვიჩთან მატჩი. ფრანგი სერბს ზუსტი და აქტიური თამაშით ჯობდა და ბრეიკით დაწინაურებაც მოახერხა. თუმცა შემდეგ გაელის თამაშში რაღაც მოიშალა. ამაში შეიძლება ძლიერი ქარიც (გუშინდელი მატჩების დროს, ქარის სიჩქარე საათში 60 კილომეტრს აღწევდა) იყო დამნაშავე, რადგან ბევრი დარტყმა, რომელიც ფრანგმა ჩაიფიქრა, სწორედ ამის გამო ვერ აღწევდა მიზანს. ამან მონფილსი ძალიან აანერვიულა, თუმცა მან მაინც მოახერხა ტაი-ბრეიკამდე მისვლა, მაგრამ იქ მარტო ორი ქულა აიღო. ამის შემდეგ მხოლოდ ჯოკოვიჩი თამაშობდა, გაელი კი მომენტებში თუ გაიბრწყინებდა. მეორე და მესამე სეტებში ნოვაკმა ექვსჯერ აიღო მონფილსის მოწოდება, თავად ერთი ბრეიკი დაუთმო მეტოქეს და ორსაათ-ნახევარში მოიპოვა ნახევარფინალის საგზური. ეს არის ჯოკოვიჩის ზედიზედ მეოთხე ნახევარფინალი აშშ-ის ღია პირველობაზე.

წინა სამ შემთხვევაში სერბი „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე **როჯერ ფედერერთან** მარცხდებოდა - ერთხელ ფინალში და ორჯერ ნახევარფინალში. ნოვაკმა ვერც ამჯერად აიცილა თავიდან შვეიცარიელთან შეხვედრა. როჯერმა სიოდერლინგთან მატჩში დაგვანახვა, რომ კვლავაც ბრწყინვალე ფორმაშია და ისევ შეუძლია თავისი საფირმო თამაშის ჩვენება.

ფედერერმა სულ რაღაც ორი საათი მოანდომა შვედთან როლან გაროსზე წაგებული მატჩისთვის რევანშის აღებას. პირველი ორი სეტი ერთნაირი სცენარით წარიმართა. თავიდან ბრძოლა მიდიოდა: შვედმა პირველ სეტში ოთხი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მეორეში საპასუხო ბრეიკი გააკეთა, მაგრამ პარტიების ბოლოს როჯერი თამაშს უმატებდა, მეტოქის მოწოდებას იღებდა და სეტი გამარჯვებამდე მიჰყავდა. მესამე პარტიაში კი სიოდერლინგს მოგების რეალური შანსი გაუჩნდა - 4:3-ზე ბრეიკი გააკეთა და 5:3 დაწინაურდა. მაგრამ საკუთარი შეცდომების გამო სეტზე ვერ ჩაანოდა, რის შემდეგაც ფედერერმა იოლად აიღო სამი გეიმი და თამაში თავის სასარგებლოდ დაასრულა. როჯერი ზედიზედ მეშვიდედ გავიდა ნახევარფინალში და ერთი ნაბიჯი აკლია ამერიკის ღიას ზედიზედ მეშვიდე ფინალამდე.

ფედერერი და ჯოკოვიჩი 15-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და შვეიცარიელს ორჯერ მეტი მატჩი აქვს მოგებული - 10:5. მათი ბოლო მატჩი გასულ თვეს, ტორონტოს მასტერსზე ჩატარდა და როჯერმა სამ სეტში გაიმარჯვა - 6:1, 3:6, 7:5.

■ ■ ■

განსაკუთრებული ბრძოლა არც ქალების დარჩენილ ორ მეოთხედფინალში ყოფილა. რუსმა **ვერა ზვონარევამა** და დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ორ-ორი სეტი იკმარეს ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად.

ზვონარევასა და ესტონელი **კაია კანეპის** მატჩი უამრავი უნებლიე შეცდომით აღინიშნა. მარტო ბალტიისპირელმა მოახერხა 60 შეცდომის დაშვება. კანეპის არც მეტოქე ჩამორჩა. აღსანიშნავია, რომ პირველ ორ გეიმში მეტოქეებს 12 უნებლიე შეცდომა და მხოლოდ ერთი აქტიურად მოგებული ქულა ჰქონდათ. ამ შემთხვევაშიც მსგავსი უკლასო თამაში ძლიერ ქარს დაჰბრალდა.

ზვონარევა კარიერაში მესამედ გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირის ნახევარფინალში. 2009 წელს ავსტრალიის ღიაზე თანამემამულე **დინარა საფინასთან** წააგო, წელს უიმბლდონზე კი ბულგარელ **ცვეტანა პირონკოვას** სძლია, მაგრამ ფინალში **სერენა უილიამსთან** წააგო.

ამჯერად რუსს პირველ ნომრად განთესილი კაროლინ ვოზნიაცკის წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. დანიელისთვის **დომინიკა ციბულკოვასთან** მატჩში ქარი პრობლემა არ ყოფილა. კაროლინმა მხოლოდ 18 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რითაც დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა სეზონის მეორე ნახევარს. სკანდინაველმა ზედიზედ მე-13 გამარჯვებას მიაღწია - შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღიამდე ვოზნიაცკიმ ორი კვირის განმავლობაში ორი ტურნირი მოიგო (მონრეალსა და ნიუ ჰევენში).

პირველი სეტი კაროლინმა ძალიან იოლად მოიგო - 1:1-ის (მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს) შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და პარტია 6:2 დასრულდა. მეორე სეტი უფრო დაძაბული გამოვიდა. გოგონებმა ისევ გაცვალეს ბრეიკები, ამასობაში, ციბულკოვა ქარს შეეჩვია და უფრო აქტიურად ათამაშდა, თუმცა ვოზნიაცკი თავს კარგად იცავდა. ისე ჩანდა, რომ სეტი ტაი-ბრეიკზე დასრულდებოდა, მაგრამ 5:5-ზე კაროლინმა ბრეიკის აღება შეძლო და თითქმის ისეთივე ანგარიშით გაიმარჯვა, რომლითაც მისმა მომავალმა მეტოქემ ვერა ზვონარევამ.

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეიც, 2)-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5) 6:4, 6:4, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 3)-გაელ მონფილსი (საფ, 17) 7:6(2), 6:1, 6:2.

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი** (დან, 1)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:2, 7:5; **ვერა ზვონარევა** (რუს, 7)-კაია კანეპი (ესტ, 31) 6:3, 7:5.

**1/2 ფინალი**

ვოზნიაცკი (1)-ზვონარევა (7); ვ. უილიამსი (3)-კლაისტერსი (2).


მონფილსი ეფექტური იყო, მაგრამ...

# სეზონი შემცირდება?

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) პრეზიდენტი **ადამ ჰელფანტი** აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია უახლოეს ხანში მიიღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. კერძოდ, სეზონებს შორის არდადეგები ხუთიდან შვიდ ან რვა კვირამდე გაიზრდება. ცვლილების მიღების შემთხვევაში, ახალი წესი 2012 წლიდან ამოქმედდება.



ადამ ჰელფანტი

ჰელფანტმა ეს განცხადება ნიუ იორკში გააკეთა, სადაც ამერიკის ღია პირველობა მიმდინარეობს. *„სერიოზული საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ 2012 და 2013 წლების სეზონებს შორის ჩოგბურთელებს უფრო მეტი დასვენების საშუალება მივცეთ. მოთამაშეები უფრო კარგად მოემზადებიან ახალი სეზონისთვის და ტრავმებს აიცილებენ თავიდან. ჩვენ უკვე დიდი ხანია განვიხილავთ ამ პრობლემას და ჯერჯერობით პროგრესს ვერ მივაღწიეთ. თუმცა მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი საკითხის წლის ბოლოსთვის მოგვარება“*, - ამბობს APT Tour-ის ხელმძღვანელი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ნოემბერში, წლის შემაჯამებელი ტურნირის დროს მიიღებენ.

გარდა ამისა, ჰელფანტმა განაცხადა, რომ, ამერიკულ ჩოგბურთში არსებული კრიზისის მიუხედავად, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებულ ტურნირებზე მაყურებელთა რიცხვისა და ტელეტრანსლაციების რაოდენობის ზრდა შეიმჩნევა. სწორედ ამის გამო, ოთხშაბათს ხელი მოეწერა ATP-სა და კომპანია FEDEX-ს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი. ვუელტა

# ანდორაში ლიდერი შეიცვალა

სეზონის მესამე გრანდ-ტურზე - ესპანურ „ვუელტაზე" გამარჯვების მთავარ პრეტენდენტთა ჯგუფი გამოიკვეთა. ეს მოხდა მე-11 ეტაპზე - ანდორაში 20-კილომეტრიანი მძიმე ფინიში მრბოლელებისთვის ყველაზე სერიოზული გამოცდა აღმოჩნდა.

საფინალო მთას თუ არ ჩავთვლით, ეტაპის რელიეფი განსაკუთრებულად რთული არ ყოფილა, ამიტომაც სამთო სპეციალისტებს რბოლის პირველ ნაწილში სერიოზული შეტევები არ განუხორციელებიათ. პირველი მნიშვნელოვანი იერიში ფინიშამდე 5 კილომეტრით ადრე მანამდე ჩრდილში მყოფმა **ეზეკილ მოსკერამ** წამოიწყო. მის გაქცევას მხოლოდ **ვინჩენცო ნიბალიმ** და საერთო ჩათვლის ლიდერმა, რუსული „კატიუშას" ესპანელმა წევრმა **ხოაკინ როდრიგესმა** აუბეს მხარი. თანდათან ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდნენ როდრიგესის მთავარი კონკურენტი **იგორ ანტონი** და „ჩერველოს" ახალი კაპიტანი **ხავიენ ტონდო**. ორი კილომეტრის შემდეგ უკვე როდრიგესმა წამოიწყო შეტევა, მაგრამ ნიბალის ვერ გაექცა. ამ გაქცევით „კატიუშას" წევრს საბოლოოდ გამოეცალა ძალები და თანდათან ჩამორჩა კონკურენტებს.

სწორედ აქ გაირკვა, რომ ყველაზე მეტი ძალა ანტონმა შეინარჩუნა. თავიდან ბასკი სხვა ლიდერთა ჩრდილში იმყოფებოდა, შემდეგ კი გადამწყვეტი იერიში მიიტანა ფინიშამდე კილომეტრნახევრით ადრე. მისი ტემპი მხოლოდ მოსკერამ შეინარჩუნა. ნიბალიმაც ვერ გაუძლო ბოლო შეტევას და წინ გაუშვა ტონდო და Caisse d'Epargne-ის მრბოლელები - **მარციო ბრუზუგინა** და **რიგობერტო ურანი**. ყველაზე მეტად როდრიგესი დაზარალდა. ესპანელს ძალიან მძიმე ფინიში ჰქონდა და ამ ჩავარდნით არა მარტო ლიდერის წითელი მაისურა, არამედ პირველ სამეულში ადგილი დაკარგა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ როდრიგესი განცალკევებით დროზე რბოლაში არც ისე ძლიერია, საბოლოო გამარჯვებაზე მისი პერსპექტივები მეტად ბუნდოვნად ჩანს.


ვუელტას ახალი ლიდერი

საერთო ჩათვლაში მეორე პოზიცია შეინარჩუნა ნიბალიმ, თუმცა უკვე 45 წამს აგებს ახალ ლიდერ იგორ ანტონისთან. მე-11 ეტაპზე აქტიურობამ სამეულში შეიყვანა ხავიერ ტონდო.

ამ სამთო ეტაპის შემდეგ, მრბოლელები დაბლობზე გადავლენ და სპრინტერებს მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება.

■ ■ ■

ამასობაში, „ვუელტაზე" პირველი დოპინგ-სკანდალი აგორდა. ბელგიელი **როი სენტიენსის** ორგანიზმში ერითროპოეტინი აღმოაჩინეს, რის შემდეგაც ველომრბოლი ესპანური ველომარათონიდან მოკვეთეს.

დადებითი შედეგი აჩვენა ტესტმა, რომელიც ბელგიელისგან ეტაპებს შორის შესვენებისას აიღეს. სენტიენსი საერთო ჩათვლაში 49-ე ადგილს იკავებდა და 29 წუთით ჩამორჩებოდა ლიდერს.

**XI ეტაპი**

**ვილანოვა-ანდორა. 208.4 კმ**

1. **იგორ ანტონი** (ესპანეთი, Euskaltel-Euskadi) - 5.25,44; 2. **ეზეკილ მოსკერა** (ესპანეთი, Xacobeo Galicia) - +0,03; 3. **ხავიერ ტონდო ვოლპინი** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +0,10; 4. **რიგობერტო ურანი** (კოლუმბია, Caisse d'Epargne) - +0,16; 5. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas-Doimo) - +0,23; 6. **ფრანკ შლეკი** (ლუქსემბურგი, Saxo Bank) - იგივე დრო... 9. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +0,32... 18. . **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა") - +0,59... 55. **რომან კროიციგერი** (ჩეხეთი, Liquigas-Doimo) - +5,05; 56. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +5,06...

**საერთო ჩათვლა**

1. **იგორ ანტონი** (ესპანეთი, Euskaltel-Euskadi) - 47.37,15; 2. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas-Doimo) - +0,45; 3. **ხავიერ ტონდო ვოლპინი** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +1,04; 4. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა") - +1,17; 5. **ეზეკილ მოსკერა** (ესპანეთი, Xacobeo Galicia) - +1,29... 10. **ფრანკ შლეკი** (ლუქსემბურგი, Saxo Bank) - +2,30... 13. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +3,03... 28. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +8,55... 40. **რომან კროიციგერი** (ჩეხეთი, Liquigas-Doimo) - +20,26...

TV პროგრამა

**10 სექტემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:35** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-აზერბაიჯანი.
**08:20** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. იტალია-ფარერები.
**10:10** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-ანდორა.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**12:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:30** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ბელარუსი-რუმინეთი.
**14:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:20** ევრო 2011. შესარჩევი მატჩი (ახალგაზრდულები). ინგლისი-ლიტვა.
**16:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:10** ახალი ამბები.
**16:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:30** საფეხბურთო პროგრამა.
**17:00** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-პორტუგალია.
**18:45** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-აზერბაიჯანი.
**20:30** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:35** ახალი ამბები.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** საფეხბურთო პროგრამა.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-შალკე (LIVE).
**00:25** ახალი ამბები.
**00:45** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ფინეთი.
**02:30** გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-შალკე.
**04:20** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-ანდორა.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**11:00** სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი.
**13:30** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი.
**15:15** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**15:45** სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:45** ველოსპორტი. ვუელტა. XIII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:45** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**21:45** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).
**02:00** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**02:30** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი.

ცხელი კვალი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იორგრიტე-სუნდსვალი | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| აშშ-რუსეთი | 89:79 |
| ლიტვა-არგენტინა | 104:85 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-ავტომობილ. | 2:0 |
| ს. იულიაევი-ტრაქტორი | 7:2 |
| სკა-დინამო (რ) | 4:4 დ.დ. 0:1 |
| ცსკა-სპარტაკი | 1:5 |
| დინამო (მნ)-ტორპედო | 1:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვაკეთი (U20)-მარტინი | 1:5 |

რალი

# კიმიმ ავარიით დაიწყო



რაიკონენის დაზიანებული მანქანა

დაირღვა იაპონიის რალისთვის **კიმი რაიკონენის** გეგმური მზადება: გუშინ დილით ფინელმა პილოტმა საწვრთნელი რბოლისას საკუთარი „სიტროენი" დააზიანა. მანქანას უკანა მარჯვენა საბურავი მოსძვრა, თუმცა რაიკონენი ოპტიმიზმს ინარჩუნებს.

*„ამ ინციდენტის გამო არ ვნერვიულობ, - ამბობს რაიკონენი. - მარჯვენა მოსახვევში შევედი, სადაც გზის განაპირას ბეტონის ბარიერები ეწყო. ერთ-ერთი ოდნავ წინ იყო გამოწეული და სწორედ მას შევეხე მარჯვენა საბურავით. ასევე დაზიანებულია მარჯვენა წინა მხარე, მაგრამ მექანიკოსები მოასწრებენ აღდგენას და ვარჯიშს გავაგრძელებ".*

იაპონური ტრასის შესწავლის შემდეგ რაიკონენმა აღიარა, რომ მისთვის ეს ეტაპი ძალიან რთული იქნება: *„რთული გზებია. ზოგიერთ ადგილას ძალიან ბევრი ჭუჭყია, ზოგან ღრმა ორმოები. ასეთ პირობებში რბოლის ნაკლები გამოცდილება მაქვს, ასე რომ, აქაც სწავლა მომიწევს. მთავარია, ფინიშამდე მივაღწიო და იქნებ ქულებიც მოვიპოვო".*

ფორმულა 1

# ვილნევი არ ნებდება

როგორც გუშინ ვწერდით, ავტოსპორტის ფედერაციამ 2011 წლის ჩემპიონატში არ დაუშვა მე-13 გუნდი. პელოტონში მოხვედრის ერთ-ერთი კანდიდატი გახლდათ მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი **ჟაკ ვილნევი**, რომელსაც ერთობლივი პროექტი ჰქონდა იტალიურ კომპანია „დურანგოსთან". ახლა კანადელი პილოტი სათადარიგო გეგმის ამოქმედებას აპირებს, კერძოდ, ვილნევი და „დურანგო" რომელიმე მოქმედი გუნდის შეძენას აპირებენ.

*„ახლა ჩვენ B გეგმაზე გადავდივართ, რომელიც უკვე არსებულ გუნდთან თანამშრომლობას ითვალისწინებს. ეს უფრო ძვირი დაგვიჯდება და უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ შემთხვევაში მოქმედების სრული თავისუფლება გვექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფორმულაში ჩვენს მოსვლას აზრი დაეკარგება. მთლიანად დარწმუნებული ვართ ჩვენი ბოლიდის შესაძლებლობებში. ამ პროექტის რეალიზება გვინდა და არა სხვა გუნდთან მიკედლება.*

*ახლა ჩვენს პარტნიორებთან ერთად კარგად უნდა მოვიფიქროთ ყველაფერი. გარდა ამისა, კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ ვითარდება ჩემი კარიერა ნასკარის სერიაში. მოკლედ, საქმეები კარგად მიდის"*, - განაცხადა ვილნევმა Motorsport-თვის მიცემულ ინტერვიუში.

კრივი



მაიკ მეუღლესთან ერთად

# ტაისონი რვაგზის მამა გახდება

15 თვის წინ ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ **მაიკ ტაისონმა** ტრაგიკული ინციდენტისას ოთხი წლის ქალიშვილი დაკარგა. მაგრამ ახლა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი სასიამოვნო ამბის მოლოდინშია. კერძოდ, მოკრივე მერვე შვილის დაბადებას ელის - მაიკის მესამე მეუღლე **ლაკია სპენსერი** ფეხმძიმობის მეხუთე თვეშია.

ტაისონმა ლაკიაზე შვილის დალუპვიდან მეცხრე დღეს იქორწინა. მათ ერთი ქალიშვილი ჰყავთ - ორი წლის **მილანი**. ამჯერად წყვილს ვაჟი ეყოლება.

„რკინის მაიკს" ორი შვილი (**რეინა** და **ამირი**) დარჩა მეორე ცოლისგან, **მონიკა ტერნერისგან**, რომელთან ერთადაც 1997-2003 წლებში ცხოვრობდა. კიდევ ოთხი შვილი - **მიკი, მიგელი, დ'ამატო** და შარშან დაღუპული **ექსოდუსი** სხვადასხვა ქალებიდან ჰყავს.

*„შესანიშნავი ცხოვრება მაქვს. მყავს ბრწყინვალე მეუღლე, რომელიც ჩემზე ზრუნავს. ღმერთს ამისთვის მადლობას ვწირავ! - აღნიშნა 44 წლის ტაისონმა. - მე არ ვიმსახურებ ასეთ ცოლსა და შვილებს, მაგრამ ეს ყველაფერი მაქვს და ბედნიერი ვარ".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



არტესტი უცნაური მანქანით

# მრბოლი არტესტი

„ლეიკერსის" ფორვარდი **რონ არტესტი** ლოს ანჯელესის ქუჩებში სარბოლო მანქანით სეირნობის გამო დააკავეს.

როგორც ვებგვერდი TMZ წერს, სამართალთამცავებთან მცირე შელაპარაკების მიზეზი ის გახდა, რომ მანქანას რეგისტრაციის ვადა ჰქონდა გასული, თანაც ის არტესტზე არ იყო გაფორმებული. საბოლოოდ, კალათბურთელს მოძრაობის გაგრძელების უფლება მისცეს.

# კიდევ ერთი კრიმინალი




მეტ ბარნსი ლეიკერსის მაისურით

უფრო სერიოზული პრობლემები აქვს პოლიციასთან „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველ **მეტ ბარნსს**. ის ძალადობაშია ეჭვმიტანილი და ერთი დღე წინასწარი დაკავების საკანში გაატარა.

პოლიციის სერჟანტმა **ტიმ კარენმა** სააგენტო AP-სთან საუბარში განაცხადა, რომ ბარნსი მისი სახლიდან განხორციელებული სატელეფონო ზარის შემდეგ დააკავეს. კალათბურთელის მეგობარმა გოგონამ აღიარა, რომ ძალადობის მსხვერპლი გახდა, თუმცა თავად ბარნსის განცხადებით, სწორედ მასზე მოხდა თავდასხმა.

ყურმილში ისმოდა ჩხუბის ხმები და კალათბურთელის ყვირილი, რომელიც ქალს გაჩუმებას ურჩევდა. როცა პოლიცია ინციდენტის ადგილას მივიდა, ჩხუბის კვალი ქალსაც და მამაკაცსაც ემჩნეოდათ. სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ კონფლიქტის ინიციატორი კალათბურთელი იყო და პოლიციაში სწორედ ის წაიყვანეს, საიდანაც რამდენიმე საათის შემდეგ 50 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაუშვეს.

ბარნსმა ამ ზაფხულს უარყო „ორლანდოს" წინადადება კონტრაქტის გაგრძელების შესახებ და თავის მეგობარ **კობი ბრაიანტთან** „ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გადავიდა. *„ჩემი ოცნება იყო, ერთ გუნდში მეთამაშა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშესთან ერთად"*, - განაცხადა მეტმა. ბარნსს კალიფორნიულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი აქვს, რომლის მიხედვითაც 1.7 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

## ამბები

### სუფთა ჩემპიონატი

თურქეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატისას FIBA-მ უკვე 60 დოპინგტესტი ჩაატარა და ყველა სინჯი „სუფთა" აღმოჩნდა. ჯგუფური ეტაპის მსვლელობისას თითო გუნდიდან ორ-ორი კალათბურთელი შემოწმდა, კიდევ 12 ტესტი მერვედფინალური ეტაპის დროს ჩატარდა.

სულ ფედერაცია 160 ტესტის ჩატარებას აპირებს. ტურნირის ისტორიას არ ახსოვს ასეთი მასშტაბის ანტისადოპინგო კამპანია.

### 2013 წლის ევრობასკეტი იტალიასა და სლოვენიას უნდათ

დასრულდა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა განაცხადების მიღება. ფინალური ტურნირის ორგანიზების სურვილი იტალიამ და სლოვენიამ გამოთქვეს. წლის ბოლოს FIBA-Europe-ის ბიუროს სხდომაზე ორივე განაცხადის პრეზენტაცია მოხდება, რის შემდეგაც ფარული კენჭისყრით აირჩევენ 2013 წლის ევრობასკეტის მასპინძელ ქვეყანას.

შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ევროპის ჩემპიონატს ლიტვა უმასპინძლებს.

### ისრაელი FIBA-ს უჩივის

ისრაელის კალათბურთის ფედერაცია სასამართლოში უჩივის FIBA-Europe-ს. ისრაელი არ ეთანხმება 2011 წლის ევრობასკეტზე მონაწილეთა რიცხვის 16-დან 24 გუნდამდე გაზრდას.

ისრაელის მხარემ ოფიციალური წერილი გაგზავნა FIBA-Europe-ში, სადაც აპროტესტებს ამ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, ქვეყნის ფედერაცია ერთ მილიონ დოლარს ითხოვს იმ დანახარჯების კომპენსაციისთვის, რომელიც ნაკრებს შესარჩევი ტურნირისას ჰქონდა. ფედერაციის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ შეჯიბრება ფაქტობრივად, ტყუილუბრალოდ ჩატარდა.

### ფინიქსი ორ ვეტერანს გასინჯავს

ახალი სეზონის წინ „ფინიქს სანზმა", შესაძლოა, ორი ვეტერანი კალათბურთელი დაიმატოს. ამ გუნდში თამაშის სურვილი გამოთქვეს მცველმა **ჩაკი ატკინსმა** და ფორვარდმა **სტივენ ჰანტერმა**. კალათბურთელებს იმედი აქვთ, რომ შეავსებენ არიზონელთა საწვრთნელ ბანაკს, რომელიც 28 სექტემბერს გაიხსნება. ატკინსმაც და ჰანტერმაც უკვე მოასწრეს „ფინიქსის" რიგებში ერთი ვარჯიშის ჩატარება.

შარშან „დეტროიტში" ატკინსის სტატისტიკა 4.0 ქულასა და 2.3 შედეგიან პასს უდრიდა, ჰანტერი „მემფისში" 2.5 ქულასა და 2.0 მოხსნას აგროვებდა.

მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი

# 9 სექტემბერი არ განმეორდა

უცნაური ამბები დატრიალდა გუშინდელ მეოთხედფინალებში. ბრძოლა იყო ამერიკისა და რუსეთის მატჩში, არადა, ყველა „დრიმ თიმის იოლ გამარჯვებას ელოდა, ხოლო არგენტინისა და ლიტვის შეხვედრაში მოსალოდნელი თრილერის ნაცვლად, მაყურებელმა სამხრეთამერიკელთა პირწმინდა განადგურება იხილა.

რუსულ პრესაში არნახული აჟიოტაჟი სუფევდა. ბევრს იქაურ მიმომხილველს სერიოზულად სჯეროდა, რომ განმეორდებოდა 38 წლის წინანდელი ისტორია - ზუსტად 9 სექტემბერს, 1972 წლის ოლიმპიადის ფინალში ბოლო წამზე **ბელოვის** მიერ ჩაგდებულმა ბურთმა სსრკ-ს ნაკრებს ამერიკაზე გამარჯვება მოუტანა. ამერიკელები დღემდე უარს ამბობენ ვერცხლის მედლების მიღებაზე, რადგან მიაჩნიათ, რომ ბოლო ბურთი წესების დარღვევით ჩავარდა. კერძოდ, შედეგიანი პასის ავტორმა - **ედეშკომ** ბურთის თამაშში შეტანის მომენტში პირით ხაზზე დააბიჯა ფეხი.

აჟიოტაჟი გუშინდელ მატჩში მონაწილე გუნდების მწვრთნელებსაც გადაედოთ. რუსების ამერიკელმა დამრიგებელმა **დევიდ ბლატმა** განაცხადა, რომ იმ ტრანსლაციის შემდეგ იტირა, მაგრამ დროთა განმავლობაში გაარკვია, რომ მსაჯებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

ბლატის კომენტარი უყურადღებოდ არ დატოვა აშშ-ის დამრიგებელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ**, რომელმაც კოლეგას „რუსი" უწოდა: *„ის ხომ რუსეთის ნაკრებს ავარჯიშებს, ამიტომაც აქვს ასეთი მოსაზრება. იმ ფინალის გამო ამერიკელებს ყოველთვის ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ზღაპრების სჯერა. რაც უნდა ის იფიქროს. ეს სულაც არ აისახება იმაზე, რის გაკეთებასაც ხვალ მოედანზე ვაპირებთ. ჩვენ დიდი მიზანი გვაქვს და სწორედ მის შესრულებაზე ვართ კონცენტრირებული"*.

ცოტა ხანში ბლატის პასუხმაც არ დააყოვნა: *„მაიკს გამორჩა ის ფაქტი, რომ მეც ისეთივე ამერიკელი ვარ, როგორც თვითონ. ამერიკაში გვასწავლიან, რომ სიტყვისა და აზროვნების თავისუფლება საგნებზე ობიექტურად დაკვირვების და საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის საშუალებას გვაძლევს. როგორც ჩანს, მას ამის უნარი აღარ შერჩა ან ეშინია, ნაკლებ პატრიოტიზმში არ დასდონ ბრალი.*

*რუსი არ ვარ, მაგრამ ვამაყობ იმით, რომ შემიძლია ობიექტური ვიყო და საკუთარი აზრი ისე ჩამოვაყალიბო, რომ არავის შეურაცხყოფა არ მივაყენო. ადამიანები სამართლიანები უნდა ვიყოთ"*.

მოკლედ სიტუაცია უკიდურესად დაძაბული იყო. რაც შეეხება მატჩის სპორტულ მხარეს, ბუკმეიკერები აბსოლუტურ უპირატესობას ამერიკას ანიჭებდნენ, ბლატმა კი ისიც აღიარა, რომ არ იცის, როგორ დაამარცხოს მეტოქე.

როგორც ჩანს, ამერიკელმა სპეციალისტმა მცირე ეშმაკობას მიმართა. მატჩის დებიუტი მის შეგირდებს აშკარად გამოუვიდათ - ზედიზედ სამი სამქულიანით რუსეთი 9:8 დაწინაურდა. რუსების უპირატესობა შეიძლება უფრო დიდი ყოფილიყო, რომ არა მათი ცენტრის **საშა კაუნის** ნერვიულობა, რომელიც იოლ ბურთებს ვერ აგდებდა. ამის გამო, ბლატმა სამი წუთის შემდეგ მოედანზე „ნიუ იორკის" ახალწვეული **ტიმოფეი მოზგოვი** შეუშვა. ამერიკელთა აშკარა ლიდერი **კევინ დურანტი** იყო, რომლის შეჩერებას რუსეთი ჯარიმებით ახერხებდა. მასთან ბრძოლაში ორი პერსონალური მიიღო **სერგეი მონიამ** და სათადარიგოთა სკამზე დაჯდომამ მოუწია.

მეხუთე წუთისთვის ამერიკამ ექვსქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ რუსეთს რეზერვისტები - **ვორონოვი** და **ხვოსტოვი** დაეხმარნენ და იმდენი მოახერხეს, რომ სამი ქულით გაიყვანეს წინ საკუთარი გუნდი - 23:20. მეოთხედი ფრედ დასრულდა და „დრიმ თიმის" არანაირ უპირატესობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. უფრო მეტიც, რუსებმა ფარი მოუგეს მეტოქეს - 15:10.

მეორე მეოთხედში ამერიკელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა - **ბიკოვის** სამქულიანის შემდეგ რუსეთი ხუთი ქულით დაწინაურდა - 35:30 მეოთხედის დასრულებამდე 5 წუთით ადრე. კრჟიჟევსკის ტაიმაუტის აღებამ მოუწია და სწორედ ამის შემდეგ მოეგნენ გონს ამერიკელები. რუსეთმა მომდევნო ოთხი წუთი ქულა ვერ აიღეს, ამერიკა კი **დერიკ როუზის** ფანტასტიკური სისწრაფის წყალობით 12:0 გაიქცა. პირველი ტაიმი კრჟიჟევსკის გუნდმა ხუთი ქულით მოიგო - 44:39.

მეორე ტაიმში თამაშის სურათი არ შეცვლილა. რუსები კვლავ ზონურ დაცვას მიმართავდნენ, რომელსაც ამერიკელები ინდივიდუალური მოქმედების ხარჯზე არღვევდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე კევინ დურანტი (33 ქულა), რომლის შეჩერება რუსებმა ვერ მოახერხეს. ასევე ბრწყინვალე იყო მეორე ოკლაჰომელი - **რასელ უესტბრუკი**, რომელიც სამქულიანებსაც აგდებდა, ბურთს კალათში ტენიდა და პასებს არიგებდა. ამ დუეტის წყალობით, პირველად ამერიკამ ორნიშნა უპირატესობა მესამე მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთითა და 21 წამით ადრე მოიპოვა - 58:47. საქმეს ბლატის ტაიმაუტმაც ვერ უშველა. სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა და ერთ მომენტში 18 ქულას მიაღწია. მხოლოდ ამის შემდეგ მოდუნდა აშშ და რუსეთს მეოთხე მეოთხედის მოგების საშუალება მისცა, თუმცა ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა - ამერიკამ მატჩი მესამე მეოთხედში მოიგო.

რუსეთის ნაკრებმა ყველას დაანახვა - ამერიკასთან ბრძოლა შეიძლება. საინტერესოა, დურანტს თამაში რომ არ წაუვიდეს, აქვს თუ არა ამ შემთხვევისთვის სათადარიგო გეგმა კრჟიჟევსკის?!

**აშშ-რუსეთი 89:79**

**25:25, 19:14, 26:17, 19:23**

**აშშ**: დურანტი (33+5 მოხსნა), ბილაპსი (15+5 პასი), უესტბრუკი (12), იგუოდალა (6), ოდომი (6+12 მოხსნა), როუზი (6), გორდონი (6), ჩენდლერი (3), კარი (2), ლავი, გეი.

**რუსეთი**: ბიკოვი (17), ვორონცევიჩი (14+12 მოხსნა), მოზგოვი (13), ვორონოვი (9), ხვოსტოვი (8+5 პასი), მონია (5), კაუნი (4), ჟუკანენკო (4), პონკრაშოვი (2), ფრიძონი (2).

■ ■ ■

რვა მეოთხედფინალისტს შორის ექვსი ევროპული გუნდი იყო, ოთხი ნახევარფინალისტიდან კი სამი ნაკრები წარმოადგენდა „ბებერ კონტინენტს". FIBA-ს წარმომადგენლები, ალბათ, დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომაში, როცა ევროპისთვის მხოლოდ შვიდი საგზურის მიცემა უნდოდათ. კარგია, რომ კალათბურთში უაილქარდის სისტემა მოქმედებს, თორემ ამ ჩემპიონატზე ვერ ვიხილავდით ბრწყინვალე ლიტვის ნაკრებს - ახალგაზრდა გუნდს, რომელმაც გუშინ დაამტკიცა, რომ წინა ექვს მატჩში მიღწეული ასპროცენტიანი შედეგი შემთხვევითობა არ იყო და ამ საკალათბურთო ქვეყანაში ახალი შესანიშნავი თაობა გაიზარდა.

ამ მატჩის მთავარი ინტრიგა ორი ბრწყინვალე კალათბურთელის - **ლუის სკოლასა** და **ლინას კლეიზას** ორთაბრძოლა იყო. ის გუნდი, რომელიც მეტოქის ლიდერის შეჩერებას მოეხერხებდა, გამარჯვების რეალურ შანსს მიიღებდა. ლიტველებმა ეს შეძლეს. სკოლა რობოტი არ არის და მას ჰქონდა ჩემპიონატზე ერთი მატჩის ჩაგდების უფლება. მისდა სამწუხაროდ, ეს ჩავარდნა სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში მოხდა. ლუისმა 16-დან მხოლოდ ხუთი ბურთი ჩააგდო, მისი შეცვლა კი **კარლოს დელფინოს** გარდა ვერავინ მოახერხა. სწორედ ეს გახდა არგენტინელთა განადგურების ერთ-ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი სამქულიანების ცუდად შესრულება იყო. სტატისტიკის მიხედვით, არგენტინამ ზუსტად ისეთი პროცენტით ჩაყარა ორქულიანები, როგორც ლიტვამ, უკეთესად ესროლა საჯარიმოები, მეტი მოხსნა ჰქონდა შეტევაში, სამით მეტი ჩაჭრა გააკეთა და შეცდომაც მხოლოდ ორით მეტი დაუშვა. რაც შეეხება სამქულიანებს, 21-დან მხოლოდ ოთხი გამოყენებული სროლა ძალიან ცუდი მაჩვენებელია, იმ დროს, როცა ლიტვამ 50 პროცენტის (!) სიზუსტით ესროლა სამქულიანები.

რაც შეეხება თამაშს, არგენტინა მხოლოდ პირველი ოთხი წუთი ლიდერობდა, მაგრამ 10:9-ის შემდეგ, ლიტვა 8:0 გაიქცა. ამის შემდეგ ბალტიისპირელთა უპირატესობა მხოლოდ იზრდებოდა და მესამე მეოთხედში 32 ქულას მიაღწია. ბოლო 10-წუთეულში არგენტინელი რეზერვისტების აქტიურობამ მხოლოდ ის გამოიწვია, რომ სხვაობა 19 ქულამდე დავიდა.

**ლიტვა-არგენტინა 104:85**

**28:18, 22:12, 35:23, 19:32**

**ლიტვა**: იასაიტისი (19), კლეიზა (17+9 მოხსნა), პოჩიუსი (16), დელინინკაიტისი (16), კალნიეტისი (12+5 მოხსნა+5 პასი), მაჩიულისი (12), იანკუნასი (12+7 მოხსნა+5 პასი), სეიბუტისი, იავტოკასი.

**არგენტინა**: დელფინო (25), სკოლა (13), ხასენი (11+5 მოხსნა), პრიჯიონი (7+6 პასი), ლ. გუტიერესი (7), სეკერა (6), კინტეროსი (6), ობერტო (4+5 მოხსნა), ხ. გუტიერესი (4), მატა (2).

**1/2 ფინალი**

**11 სექტემბერი**

თურქეთი-სერბეთი

აშშ-ლიტვა




კევინ დურანტი

# კარმელო დენვერიდან გარბის

„დენვერ ნაგეტსის" ლიდერი **კარმელო ენტონი** იმედს არ კარგავს, რომ უახლოეს ხანში მოახერხებს ახალ გუნდში გადასვლას. Yahoo sports-ის ინფორმაციით, ენტონისთვის „ჩიკაგო ბულზისა" და „ნიუ იორკ ნიქსის" ვარიანტებია პრიორიტეტული. მაგრამ „ნეტსის" შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები ამ ბრძოლაში ფავორიტად „ჩიკაგოს" აქცევს.

„ხარებს" შეუძლიათ „დენვერს" ენტონის სანაცვლოდ **ლუოლ დენგი** ან ორი ახალგაზრდა კალათბურთელი - **ტაჯ გიბსონი** და **ჯეიმს ჯონსი** შესთავაზოს. ასეთი ვარიანტი ორივე კლუბისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა. „ჩიკაგო" ასევე მზად არის, მომავალ ზაფხულს დაელოდოს და ენტონი თავისუფალი აგენტის სტატუსით გაიფორმოს.

ასეთივე გეგმა აქვს „ნიუ იორკს", რომელსაც მხოლოდ 2011 წლის ზაფხულში შეეძლება კარმელოს აყვანა, როცა **ედი კარის** „მძიმე" კონტრაქტი დასრულდება. მაგრამ „დენვერმა", შესაძლოა, არ მოინდომოს გაისად ენტონის უკომპენსაციოდ დაკარგვა და წელსვე გაყიდოს თავისი ლიდერი. ამ შემთხვევაში, „ბულზი" და „ნიქსი" ხელმოცარულნი დარჩებიან. თუ „ნიუ იორკმა" და „ჩიკაგომ" არ იაქტიურეს, მაშინ ენტონი, გამორიცხული არ არის, „ნიუ ჯერსიში", „ჰიუსტონში" ან „ლოს ანჯელეს კლიპერსში" აღმოჩნდეს. სამივე გუნდმა გამოთქვა კარმელოს შეძენის სურვილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**